საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№44 (609)
8 – 14 დეკემბერი, 2021
საქართველო მსოფლიოში
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

16-17 «დაე, ცრემლები ხახვის ჭრისგან გვდიოდეს მხოლოდ»

საქართველო 2 ტყუილების კორიანტელში



ისევ იმავე წრეზე მივყავართ, რომელზეც, აგერ უკვე სამი ათეული წელიწადია, დავდივართ, და ბოლოს „მაპ-ზე უკეთესი“ შეგვრჩება ხელში



ოლონდაც დასავლეთი 3 არ შეშფოთდეს...

გულბაათ რცხილაძე:

უკრაინის მიმართ დაძაბულობა რუსეთისა და ამერიკის 4 პრეზიდენტების შეხვედრის ჩასაშლელად ხელოვნურად შეიქმნა

6-7 დიდი სამამულო ომის ექო

«უახლოეს ათწლეულში უკრაინას, 10 საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა არ აქვთ»

ომარ მარგველაშვილი: 5

საქართველოს მწირ ბიუჯეტს შესული წურბელები

არ გრცხვენიათ, ზამთარში საქართველოს სომხეთიდან 35 მილიონი დოლარის 9 ყურძენი რომ შემოაქვს?

მაია დვალიძე:

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის იმპერატიული რეკომენდაციები საფრთხეს 10 უქმნის ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს

პროსპექტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს აუცილებლად მოუწევს პოზიციის გამოხატვა და, ვფიქრობთ, ეს პოზიცია არ იქნება ნეიტრალური. განცხადებებში განსაკუთრებული მოზომილობა გვმართებს, მაგრამ ამის შესაძლებლობას დასავლელი პარტნიორები, უბრალოდ, არ მოგვცემენ. არ მოგვცემენ, რადგან ეს არის კარგად მომზადებული და ორგანიზებული იერიში რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც მარტივად არ ჩაივლის.

საქართველო ტყუილების კორიანტელში

ისევ იმავე წრეზე მივყავართ, რომელზეც, აგერ უკვე სამი ათეული წელიწადია, დავდივართ, და ბოლოს «მაპ-ზე უკეთესი» შეგვრჩება ხელში

5 დეკემბერს CNN-მა, ამერიკის სამხედრო დაზვერვაზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთმა უკრაინის საზღვართან 175 ათასი ჯარისკაცი განალაგა. ისე, თურმე მხოლოდ ჩვენი ჭირი არ ყოფილა, საიდუმლო ინფორმაციას ტელევიზიით რომ ვიგებთ ხოლმე და ბარაქალა ამერიკის სამხედრო დაზვერვას, ტელევიზია რომ უშუქებს საიდუმლო მოვლენებს. ამ განცხადებამდე კი იყო ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის, განცხადება: „აშშ-ის მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ურყევია. მოვუწოდებთ უკრაინას, თავშეკავება გამოიჩინოს, რადგან რუსეთის მიზანია, საბაბად მოიყვანოს პროვოკაცია, რომელსაც, უკვე დიდი ხანია, გეგმავს“. ამ განცხადებით ბლინკენმა ხელები დაიბანა. თუ შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყება, ამერიკის სახელმწიფო მდივანი უკრაინას შეუთვლის: ხომ გაფრთხილებდით, პროვოკაციას არ აჰყვეთო; აქეთ კი რუსეთს დაანამუსებს: ხომ ვამბობდი, ომს დაიწყებო. კინაღამ დამავიწყდა: ბლინკენი აუცილებლად გამოთქვამს შეშფოთებას (აღშფოთება ევროპელი დიპლომატების კუთვნილებაა, შეშფოთება — ამერიკელების. ასე აქვთ დანაწილებული).

კიდევ უფრო ადრე იყო განცხადებები, რომ ნატოს მომავალ მინისტერიალზე ამერიკა და ევროპა მხარს დაუჭერენ საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაციის პროცესს. ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, მორიგი **„დაბოლების“ პროცესი აქტიურად დაიწყო,** სურთ, იმავე წრეზე წაგვიყვანონ, რომელზეც, აგერ უკვე მერამდენე ათეული წელია, დავდივართ, და ბოლოს, სავარაუდოდ, „მაპ-ზე უკეთესს“ მოგვცემენ. თანაც, ერაყიდან და ავღანეთიდან ჯარების გაყვანის შემდეგ, საქართველოს ჯარისკაცები არც ამერიკას სჭირდება და აღარც ევროპას, ახლა საქართველოს მხარდაჭერა მხოლოდ რუსეთისთვის ნერვების მოსაშლელად აძლევთ ხელს. აქტიურად მიმდინარეობს საუბარი იმაზე, რომ უკრაინასა და საქართველოში, შესაძლოა, სამხედრო ბაზები განლაგდეს (რეალურია თუ არა, სხვა საკითხია) და სწორედ ამ საუბრებს უმკაცრესი გაფრთხილებით გასცა პასუხი რუსეთის პრეზიდენტმა.

„ამერიკასა და მის მოკავშირეებთან დიალოგისას დაჟინებით მოვითხოვთ კონკრეტული შეთანხმებების შემუშავებას, რომლებიც გამორიცხავს ნატოს ნებისმიერ შემდგომ წინსვლას აღმოსავლეთისკენ და უშუალოდ რუსეთის ტერიტორიის სიახლოვეს, ჩვენთვის საფრთხის შემქმელი იარაღის განთავსებას. ვთავაზობთ საგნობრივი მოლაპარაკებების დაწყებას ამ საკითხზე. განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს: ჩვენ გვჭირდება უშუალოდ სამართლებრივი, იურიდიული გარანტიები, რადგან დასავლელმა კოლეგებმა არ შეასრულეს ნაკისრი სიტყვიერი ვალდებულებები, არად ჩააგდეს რუსეთის შეშფოთება და კვლავაც განაგრძობენ ამას. ჩვენ განსაკუთრებულ პირობებს არ ვითხოვთ. გვესმის, რომ ნებისმიერი შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს როგორც რუსეთის, ისე ყველა ჩრდილოატლანტიკური სახელმწიფოს ინტერესებს. წყნარი, სტაბილური ვითარება ყველასთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი და ასეთი ვითარება სჭირდება ყველას, გამონაკლისის გარეშე“, — განაცხადა **ვლადიმერ პუტინმა.**

ლოგიკურია, მსოფლიოს ყველაზე დიდი სახელმწიფო საკუთარ თავზე რომ ზრუნავს და არ ეთანხმება მის საზღვართან სამხედრო ბაზებისა და საჰაერო რაკეტების განლაგების პერსპექტივას. რაღა თქმა უნდა, რუსეთის განცხადება მაშინვე აიტაცეს დასავლელმა ლიდერებმა და აგრესიაში დაადანაშაულეს. ვაღიაროთ ისიც, რომ **ვლადიმერ ზელენსკის** არ აქვს არანაირი პოლიტიკური გამოცდილება, ის ჩვეულებრივი მასხარა იყო და ხელისუფლებაში შემთხვევით მოხვდა. შედეგად, ზელენსკი იძულებულია, დაუჯეროს მრჩევლებს, რომლებიც თავს დასავლეთმა მოახვია და ამის მაგალითად **მიხეილ სააკაშვილიც** კმარა, კაცი, რომელიც დღეს ქართულ ციხეში ზის, სამი თვის წინათ უკრაინაში პოლიტიკურ ამინდს ქმნიდა და კანონებს უწერდა. სწორედ სააკაშვილი შეახსენა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** ზელენსკის.

„იმედი მაქვს, რომ კიევის ამჟამინდელი რეჟიმიც კი არ გაუყვება მიხეილ სააკაშვილის გზას 2008 წლის აგვისტოს მაგალითზე. საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი, ბატონი სააკაშვილი მყისვე აჟიტირდა და დაიწყო აგრესიული სამხედრო ქმედებები, საკუთარი მოქალაქეებისა და რუსი სამშვიდობოების დაბომბვა. უკრაინის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მეტი წინდახედულობა გამოიჩინა და ცუდ მაგალითს არ მიჰყვა“, — განაცხადა ლავროვმა.

უკრაინაზე ლაპარაკისას ლავროვის მიერ საქართველოს ხსენება, წესითა და რიგით, ჩვენი ხელისუფლებისთვის სერიოზული მინიშნება უნდა იყოს, მაგრამ მთავრობის წევრები ისე არიან აღტყინებული ნატოს სამიტზე მიწვევით, რომ საეჭვოა, რამე გონივრული თქვან და მოიმოქმედონ. უფრო იმას ველოდებით, რომ მაღალი ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ გააკრიტიკებენ რუსეთს და, რაც მთავარია, სალანძღავ სიტყვებს არ დაიშურებენ. და ეს ყველაფერი იმის ფონზე, როცა უკრაინასთან სამხედრო კონფლიქტი, შესაძლოა, ნებისმიერ წამს დაიწყოს და როგორი იქნება ევროპის უდიდესი ქვეყნისა და მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს დაპირისპირება, თავად განსაჯეთ. მით უმეტეს, როცა საუბარია 175 ათასი ჯარისკაცის მობილიზებაზე და ეს მხოლოდ დასაწყისია.

მაშინ, როცა მსოფლიო ვერაგ ვირუსს ებრძვის, ასეთი

უკრაინაზე ლაპარაკისას ლავროვის მიერ საქართველოს ხსენება, წესითა და რიგით, ჩვენი ხელისუფლებისთვის სერიოზული მინიშნება უნდა იყოს, მაგრამ მთავრობის წევრები ისე არიან აღტყინებული ნატოს სამიტზე მიწვევით, რომ საეჭვოა, რამე გონივრული თქვან და მოიმოქმედონ. უფრო იმას ველოდებით, რომ მაღალი ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ გააკრიტიკებენ რუსეთს და, რაც მთავარია, სალანძღავ სიტყვებს არ დაიშურებენ. და ეს ყველაფერი იმის ფონზე, როცა უკრაინასთან სამხედრო კონფლიქტი, შესაძლოა, ნებისმიერ წამს დაიწყოს

მასშტაბის კონფლიქტი არა მხოლოდ ორ ქვეყანას, არამედ სრულიად მსოფლიოს უქმნის საფრთხეს. ისიც ხომ ყველასთვის ცხადია, ვის მხარეს დადგებიან ამერიკა და ევროპა და საიდან მიიღებს შეიარაღებას უკრაინის ჯარი. ამ დროს ყველაზე მეტად რიგითი ადამიანები ზარალდებიან და, სამწუხაროდ, ეს უკვალოდ არც საქართველოსთვის ჩაივლის. რომ არაფერი ვთქვათ შავ ზღვაზე, სადაც გადაადგილება უსაფრთხო აღარ იქნება. უკრაინიდან და რუსეთიდან საქართველოში უამრავი რამ შემოდის და გარდა იმისა, რომ ტვირთების გადაზიდვა შეფერხდება, საქართველოს აუცილებლად მოუწევს პოზიციის გამოხატვა და ვფიქრობთ, ეს პოზიცია არ იქნება ნეიტრალური. განცხადებებში განსაკუთრებული მოზომილობა გვმართებს, მაგრამ ამის შესაძლებლობას დასავლელი პარტნიორები, უბრალოდ, არ მოგვცემენ. არ მოგვცემენ, რადგან **ეს არის კარგად მომზადებული და ორგანიზებული იერიში რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც მარტივად არ ჩაივლის.**

რუსეთის ეკონომიკა ბოლო პერიოდში ისეთი ტემპით ვითარდება, თუ ძალით არ შეაფერხეს, დასავლეთი ვერც ერთი მიმართულებით კონკურენციას ვერ გაუწევს. ეს ყველაზე კარგად ევროპამ და ამერიკამ იციან და ახლა **ბრძოლა არა უკრაინის გადასარჩენად, არამედ მსოფლიოში პირველობისთვის იწყება. ამ ბრძოლაში კი, გვინდა თუ არა, ჩართულები ვიქნებით, ოღონდ ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, დავიცავთ თუ არა ნეიტრალიტეტს. ანუ, ბეწვის ხიდზე გვიწევს გავლა და,** სამწუხაროდ, ამას დამოუკიდებლად ვერ გავაკეთებთ, ამის ნებას დასავლეთი არ მოგვცემს.

ყველაფერთან ერთად, **ვლადიმერ ჟირინოვსკი** ბირთვული ომის საფრთხეზეც ალაპარაკდა და მართალია, ამ პოლიტიკოსს ხშირად არასერიოზულად აღიქვამენ, პროგნოზებში ის თითქმის არასდროს ცდება. **ბირთვულ ომზე მინიშნება, შესაძლოა, რუსეთის მხრიდან კონკრეტული მუქარის შემცველი მესიჯი იყოს დასავლეთისადმი, რადგან რეალურად უკრაინაში იმაზე გაცილებით მშვიდი ვითარებაა, ვიდრე ამას დასავლეთი ხატავს.** თუ გახსოვთ, აგვისტოს ომის წინაც ვითარება სწორედ დასავლეთმა დაძაბა, როცა ე.წ. სამშვიდობო მისიების წარმომადგენლები ყოველდღიურ რეჟიმში გზავნიდნენ ცნობას, რომ რუსული ჯარის ნაწილების მობილიზება შეინიშნებოდა და ყოველდღიურად იბომბებოდა ქართული სოფლები. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, გაირკვა, რომ რუსული ჯარი ცხინვალში არ ყოფილა და მხოლოდ ომის დაწყების შემდეგ შევიდა. ამიტომაც **ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ამერიკის სამხედრო დაზვერვიდან ინფორმაციამ შეგნებულად გაჟონა და CNN-მაც ასევე შეგნებულად დაასახელა 175-ათასიანი არმიის მობილიზაცია უკრაინის საზღვართან.** ვერ გეტყვით, როგორ გაგრძელდება რუსეთსა და უკრაინას შორის შექმნილი დაძაბულობა, მაგრამ ფაქტია, რომ ახალი ცხელი წერტილის საჭიროება შეიქნა. **ავღანეთსა და ერაყში კონფლიქტების დასრულების გამო, იმ პირობებში, როცა მძლავრი საომარი მოქმედებები აღარც სირიაში მიდის, ახალი შეიარაღებული დაპირისპირება (თანაც, როგორი მასშტაბის ქვეყნების) იარაღის გაყიდვის კარგი საფუძველია. ამასთანავე, ე.წ. სამშვიდობო ჯარები უქმად არიან, მათი შენახვა კი სახელმწიფოებს ძვირი უჯდებათ, ამიტომ გაუშვებენ შემდეგ საზღვრის საკონტროლოდ და მათ რჩენას უკრაინას დააკისრებენ.** ეს არის ერთ-ერთი ვერსია, რატომ შეიძლება აძლევდეს ხელს ომი დასავლეთს, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც რუსეთის დასუსტებაა. **რუსეთს თავისუფლად განვითარების შესაძლებლობა რომ მიეცეს, ისეთი ტემპი აქვს აღებული, მალე მისი გათვალისწინების ვალდებულება ყველა სახელმწიფოს ყველა სფეროში ექნება — ეს იქნება იძულებითი ნაბიჯი, რადგან უზარმაზარ სახელმწიფოს კონკურენციას ფიზიკურად ვერ გაუწევენ.**

ჩვენ კი აუცილებლად უნდა ვიფიქროთ საქართველოზე, რომელიც კიდევ ერთ კონფლიქტში ჩაბმას ფიზიკურად ვერ გადაიტანს. რისი რესურსიც დღეს გაგვაჩნია, არის სატელევიზიო ანძის უკრაინის დროშის ფერებში განათება. სხვა რესურსი, უბრალოდ, არ გვაქვს და, **თუ ვინმეს იმის ილუზია აქვს, რომ ამერიკისგან ნაყიდი „ჯაველინებით“ რამეს შევძლებთ, ძალიან შემცდარა. „ჯაველინების“ გაყიდვის შემდეგ აღიარა ამერიკამ, რომ ამ იარაღის დრო წავიდა და ახლა ომი სხვა ტექნოლოგიებით იქნება, რისი ნათელი მაგალითიც არც თუ დიდი ხნის წინათ ყარაბაღის კონფლიქტში ვნახეთ.**

ბესო ბარბაქაძე

პოლიტიკური ზონა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პატიმრებმა ბუნტი რომ მოაწყონ და ზუსტად ისეთი მოპყრობა მოითხოვონ, როგორც მიშას ეპყრობიან, იქნებიან თუ არა მართლები? რა თქმა უნდა, იქნებიან და, რაც მთავარია, პატიმრების უმრავლესობას სააკაშვილის ციხე გამოვლილი აქვს და ისიც სურს, რომ სააკაშვილსაც ზუსტად ისე მოექცნენ, როგორც მისი რეჟიმის დროს ეპყრობოდნენ პატიმრებს. გასაგებია, რომ ამას დასავლეთი არ დაგვანებებს (თუმცა მიშას ანებებდა), მაგრამ მოეპყარით ამ კაცს ისე, როგორც ეპყრობიან რიგით პატიმრებს საქართველოში, ან ყველა პატიმარს მოეპყარით ისე, როგორც ეს სააკაშვილის შემთხვევაში ხდება.

ოლონდაც დასავლეთი არ შეშფოთდეს...

ოპოზიციონერობა თითქოს ხელშეუხებლობის გარანტად და კანონის დარღვევის შესაძლებლობად იქცა

ვინმეს დაადგინა, რომ მიშა სასჯელს მაინცდამაინც რუსთავის №16 დაწესებულებაში უნდა იხდიდეს? გადაიყვანეთ გორიდან იმავე რუსთავში, ოღონდ მეექვსე დაწესებულებაში. ეს შენობა ტრიალ მინდორში დგას, არც გზა გადაიკეტება, მინდორშიც უკეთესად გაიშლებიან აქციის მონაწილეები, კოვიდრეგულაციებსაც დაიცავენ და იყვირონ, რამდენიც უნდათ

მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი ნამდვილად იქცა შოუდ. საამისოდ ყველაფერი გააკეთა როგორც ხელისუფლებამ, ისე სააკაშვილმა და მერე რა, რომ სანახაობასთან ერთად, პური კვლავ არ არის. მერამდენე დღეა, პრეზიდენტყოფილის პროცესი განხილვის მთავარი თემაა და, თითქოს სხვა პრობლემა არ არსებობდეს, მიდის ჭიდაობა სამთავრობო და ოპოზიციურ ტელევიზიებში, ვინ წარმოაჩენს მიშას გმირად და ვინ — გაკოტრებულ პოლიტიკოსად. რაც მთავარია, ამ შოუს ტაშს უკრავენ ევროპა და ამერიკა და ხელისუფლებას მადლობას უხდიან იმისთვის, რომ მიშას აქვს უფლება, მიმართოს ხალხს და სასამართლოზე რამდენიმესაათიანი მონოლოგი წაიკითხოს. ანუ, ევროპაც და ამერიკაც კანონის დარღვევას უჭერენ მხარს და ახლავე გეტყვით რატომ:

იმავე ევროპა-ამერიკაში მკაცრად არის გაწერილი სასამართლოზე ქცევის წესები. ბრალდებული ვალდებულია, ისაუბროს მხოლოდ კონკრეტული ბრალდების შესახებ, ანუ, რასაც იტყვის, ყველაფერი უნდა ეხებოდეს მიმდინარე საქმეს. პირველივე მცდელობა, რომ მან სხვა თემაზე ისაუბროს, ისჯება გაფრთხილებით, ხოლო გამეორების შემთხვევაში დარბაზიდან აძევებენ და პროცესი ბრალდებულის გარეშე გრძელდება. ეს იცის ყველამ, ადვოკატი აფრთხილებს დასაცავ პირს ამის შესახებ და, საზოგადოდ, ნებისმიერ ქართულ სასამართლოზეც იგივე ხდება — პირს არ აქვს უფლება, ისაუბროს სხვა თემაზე, გარდა განსახილველი საქმისა. აი, **სააკაშვილის** შემთხვევაში ყველაფერი პირიქით არის — ის საუბრობს ყველაფერზე, გარდა იმ ბრალისა, რომელიც აქვს წაყენებული და რომელზეც, უბრალოდ, ამბობს, რომ აბსურდია. სხვათა შორის, **მიშამ ისიც თქვა, ჩემ გვერდით სანდრაც უნდა იჯდეს, რადგან ხარჯების უდიდესი ნაწილი სწორედ მას ეკუთვნისო, პროკურატურამ კი ამასაც წაუყრუა. არადა, ბრალდებულმა სასამართლო პროცესზე დაასახელა თანამონაწილე, რაც სხვა შემთხვევაში აუცილებლად შეიქნებოდა ძიების მიზეზი, მაგრამ, რადგან სანდრას დაკითხვაზე გამოძახება აღქმული იქნებოდა ზემოქმედებად და არა კანონიერ მოქმედებად, პროკურატურამ ბრალდებულის ჩვენება ერთი ყურიდან მეორეში გაატარა.** ჰო, სანამ სააკაშვილზე გავაგრძელებთ, **„ნაცმოძრაობის“ დე ფაქტო თავმჯდომარე ნიკა მელიაზეც ვთქვათ, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამოკითხვაზე დაიბარეს, მან კი მისვლაზე უარი განაცხადა, არ გაღიარებთო. იგივე რომ მე ან თქვენ გვექნა, მერწმუნეთ, სუს-ის თანამშრომლები მუხლებზე ფორთხვით მიგვიყვანდნენ და დაუმორჩლებლობისთვის ჯარიმასაც გამოგვიწერდნენ, მელიას შემთხვევაში კი ეს პოლიტიკურ ზენოლად იქნება აღქმული და მას კანონის დარღვევის უფლება აქვს.** არაერთხელ დაგვიწერია და კიდევ გავიმეორებთ: ხელისუფლების ერთ-ერთი დიდი შეცდომა, რომელიც ბოლო პერიოდში დაუშვა, არის ის, რომ ოპოზიციონერობა თითქოს ხელშეუხებლობის გარანტად და კანონის დარღვევის შესაძლებლობად იქცა.

რაც შეეხება პრეზიდენტყოფილს, სააკაშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ 2 დეკემბრის პროცესზე სამი საათით ადრე მიიყვანეს და სხდომა 50 წუთით გვიან დაიწყო. იმაზე არაფერი უთქვამს, სასამართლოს შესასვლელი მის მხრეებს რომ ჰქონდათ ჩახერგილი და მოსამართლისა თუ პროკურორის შესვლას ვინ ჩივის, მისივე ადვოკატებს შეექმნათ გადაადგილების პრობლემა. რაც შეეხება სასამართლოს შენობაში სამი საათით ადრე მიყვანას, **ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფნის პერიოდში, მაშინ, როცა სააკაშვილს ყველაფრის უფლება ჰქონდა (ისე, თითქოს ახლაც ყველაფრის უფლება აქვს) და გლდანის ციხე სასაკლაოდ იყო ქცეული, პატიმრები პროცესზე დილის 8 საათზე მიჰყავდათ. ღამის 2-3 საათზე წამოყრიდნენ ლოგინებიდან, გადათვლიდნენ, შეტენიდნენ „ვარონკებში“ და ერთ რეისზე მიჰყავდათ ყველა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, პროცესი დილის 11-ზე იყო ჩანიშნული თუ საღამოს 5-ზე, ყველა ერთად მიჰყავდათ, შეყრიდნენ საქალაქო სასამართლოს ფუქსებში, სადაც არ იყო საპირფარეშო და ასე აცდევინებდნენ 3 საათს კი არა, ხშირად 11 და 12 საათსაც კი,** გლდანის ციხიდან სასამართლომდე და უკან ამაზე მეტი დროც გადიოდა. ცალკე საუბრის თემაა ის „ვარონკები“, რომლებსაც პატიმრები გადაჰყავდა. წესითა და რიგით, თითო მანქანაში 8 პატიმარი უნდა ყოფილიყო და უსაფრთხოების მიზნით კოლონა სამ მანქანაზე მეტისგან არ უნდა შემდგარიყო, ამიტომ, ყველაფერი ერთ რეისზე რომ მოესწროთ, ბადრაგი რვა კაცის ნაცვლად, სულ ცოტა, 20 კაცს ტენიდა „ვარონკაში“ და მიჰყავდა. იშვიათი არ იყო შემთხვევა, როცა უჰაერობით შეჭირვებულ პატიმრებს გული მისდიოდათ, გონებას კარგავდნენ, მაგრამ, სანამ დიღომში მდებარე სასამართლომდე არ მივიდოდნენ, კოლონა არ ჩერდებოდა და ესეც უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე. არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა, გარეთ 40 გრადუსი სიცხე იყო თუ ყინვა. ზაფხულის ხვატში პატიმრები, უბრალოდ, იხარშებოდნენ. ჰო, ეს ხდებოდა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და ახლა თურმე სამი საათით ადრე კომფორტულად, ცალკე მანქანით რომ მიაბრძანეს, არ მოსწონს. მას, სავარაუდოდ, ისიც არ მოსწონს, გზაზე ცოცხალ დერეფანს რომ არ უწყობენ მხარდამჭერები და ტაშით არ აცილებენ გორის ჰოსპიტალიდან საქალაქო სასამართლომდე. ეს უნდა, ამას ითხოვს, მაგრამ მისი გადაადგილების დრო გასაიდუმლოებულია და ამიტომ ბელადის ტაშით დაჯილდოება ვერ ხერხდება.

ცალკე საუბრის თემაა სააკაშვილის გორის ჰოსპიტალში ყოფნა. ის იქ იმიტომ გადაიყვანეს, რომ ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა და შიმშილობის შემდეგ შეუძლოდ იყო (სავარაუდოდ, ხბოს პშტეტმა აწყინა). ახლა კი ბოლო ხმაზე გაჰყვირის: გამოვჯანმრთელდი, ჩემს სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება და სასამართლოზე დამასწარითო. კეთილი და პატიოსანი, დაესწრო სასამართლო პროცესს, მიმართა საკუთარ ამომრჩეველს და ისმის ლეგიტიმური კითხვა — **რა უნდა ჯანმრთელ პატიმარს საავადმყოფოში და რატომ არ გადაჰყავთ ციხეში? თუ ითვალისწინებთ, ლიზა იასკომ რომ თქვა, მიშას საავადმყოფოშიც ისეთი განცდა აქვს, თითქოს ციხეშიაო? თითქოს კი არა, ეგ კაცი არის სისხლის სამართლის დამნაშავე, მისჯილი აქვს რამდენიმე ეპიზოდზე, ახლა მიდის სხვა საქმეზე სასამართლო პროცესები და კეთილი ინებეთ, ციხეში დააბრუნეთ! სხვა შემთხვევაში, გადაიყვანეთ ყველა პატიმარი საავადმყოფოში და იქ მათი მონახულების უფლება მიეცით ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ახლობლებს, ნაცნობებს.** ახლა არ თქვათ, სააკაშვილის შემთხვევაში ასე არ ხდებაო. მაშინ ვინ არის ლიზა იასკო და რატომ შედის მიშასთან, როცა ამის სურვილი ან ერთს აქვს, ან მეორეს?!

„ქართული ოცნების“ ლიდერები დღემდე იმეორებენ, რომ სააკაშვილი იყო დიქტატორი და ეს ის თაობაა, რომელიც ცნობილი რუმინელი დიქტატორის, **ნიკოლაუ ჩაუშესკუს** მაგალითზე გაიზარდა. ალბათ, გახსოვთ, რა უქნეს ჩაუშესკუს (თუ არ გახსოვთ, წიგნის გადამშლელები არ ხართ და დაგუგლეთ მაინც) და რატომ ეპყრობით დიქტატორს, როგორც მეფეს? თუ დიქტატურას ეროვნება აქვს და ქართულ სინამდვილეში სხვაგვარია?! **როგორი დასაჯერებელია, რომ ვერ ხვდებიან „ოცნების“ ლიდერები, ცეცხლს რომ ეთამაშებიან? პატიმრებმა ბუნტი რომ მოაწყონ და ზუსტად ისეთი მოპყრობა მოითხოვონ, როგორც მიშას ეპყრობიან, იქნებიან თუ არა მართლები? რა თქმა უნდა, იქნებიან. რაც მთავარია, პატიმრების უმრავლესობას სააკაშვილის ციხე გამოვლილი აქვს და ისიც სურს, რომ სააკაშვილსაც ზუსტად ისე მოექცნენ, როგორც მისი რეჟიმის დროს ეპყრობოდნენ პატიმრებს. გასაგებია, რომ ამას დასავლეთი არ დაგვანებებს (თუმცა მიშას ანებებდა), მაგრამ მოეპყარით ამ კაცს ისე, როგორც ეპყრობიან რიგით პატიმრებს საქართველოში, ან ყველა პატიმარს მოეპყარით ისე, როგორც ეს სააკაშვილის შემთხვევაში ხდება.**

როგორც კულუარულად გვითხრეს, ციხეში სააკაშვილის დაბრუნებას იმიტომ არ ჩქარობენ, რომ ციხესთან კვლავ გაიმართება მისი მხარდამჭერების აქციები, გადაიკეტება გზები და ახლა კი მორატორიუმია გამოცხადებული და გორის ჰოსპიტალთან არავინ მიდის. იცით, რა გვაინტერესებს? **ვინმემ დაადგინა, რომ მიშა სასჯელს მაინცდამაინც რუსთავის №16 დაწესებულებაში უნდა იხდიდეს? გადაიყვანეთ გორიდან იმავე რუსთავში, ოღონდ მეექვსე დაწესებულებაში. ეს შენობა ტრიალ მინდორში დგას, არც გზა გადაიკეტება, მინდორშიც უკეთესად გაიშლებიან აქციის მონაწილეები, კოვიდრეგულაციებსაც დაიცავენ და იყვირონ რამდენიც უნდათ.** მაგრამ არა, ხელისუფლებას ის აშფოთებს, რომ მიშას გამო, შესაძლოა, ისევ დაიწყოს შიმშლობა ადამიანების გარკვეულმა ჯგუფმა და დასავლეთი შეშფოთდეს. დასავლეთის სიმშვიდის გამო კი ერსა და ბერს თავზე ვახვევთ რამდენიმე კანონს და ამ ყველაფერს, სავარაუდოდ, გაგებით უნდა მოვეკიდოთ. სინამდვილეში კი ყველაზე მეტად სააკაშვილი ხვდება, საქართველოში განსხვავებული გარემო დახვდა და არა ისეთი, როგორსაც ელოდა და როგორსაც უხატავდნენ, ამიტომ ცდილობს, ისტერიკული ქმედებებით ხელისუფლება დაანშანტაჟოს. რას ერჩით?! ჯერჯერობით კარგად გამოსდის.

ბესო ბარბაქაძე

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველოს ერთადერთი სავაჭრო მიმართულება შავ ზღვაზე გადის. ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო ფასეულობა დამოკიდებულია შავ ზღვაზე. თუ მოხდება შავი ზღვის მილიტარიზაცია, იქ ომი ან გარკვეული სამხედრო მანევრები დაიწყება, ორივე ქვეყანა ერთმანეთს დაბლოკავს და ეს მოქმედებები საქართველოს პირდაპირ დაარტყამს, სერიოზულ ზიანს მოუტანს ჩვენს ქვეყანას“.

უკრაინის მიმართ დაძაბულობა რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების შეხვედრის ჩასაშლელად ხელოვნურად შეიქმნა

«არსებობს დიდი ალბათობა, რომ შავ ზღვაში დიდი ქვეყნების დაპირისპირება საქართველოსთვის მშვიდობიანად არ ჩაივლის და ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საომარი მოქმედებები დაიწყება»

გასულ კვირას დასავლური მედია პერმანენტულად ძაბავდა ვითარებას და რუსეთს უკრაინაში სამხედრო შეჭრის მზადებაში ადანაშაულებდა. თვითონ უკრაინაც ამზადებს სამხედრო ოპერაციას დონბასში. დასავლელი პოლიტიკოსები "შეშფოთებით" ამბობდნენ, რომ „ნატო რუსეთის შეჭრის შემთხვევაში უკრაინაში არ იბრძოლებს, მაგრამ პოლიტიკურ მხარდაჭერას გამოუცხადებს“. ეს ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სოლტენბერგმა განაცხადა. აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის თქმით კი, ამზადებს ინიციატივების პაკეტს, რათა უკრაინა რუსეთის შესაძლო თავდასხმისგან დაიცვას. 2 დეკემბერს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა თავის რუს კოლეგას განუცხადა, რომ უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში რუსეთი სერიოზული შედეგების წინაშე დადგება, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რა შედეგებზეა ლაპარაკი. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ამბობს, რომ რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ აგრესიული ქმედებები დაგეგმა. ზოგიერთი ექსპერტის ვარაუდით, უკრანამ რუსეთის საზღვართან პროვოკაციები მიზანმიმართულად დაგეგმა რუსეთის საპასუხო მოქმედებებზე გამოსაწვევად, რათა ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების 7 დეკემბერს დანიშნული მოლაპარაკება არ გამართულიყო.
რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ევროპა წავა პროვოკაციაზე და საქართველოსა და უკრაინას ნატოში მიიღებს; რა ელის საქართველოს, თუ შავ ზღვაში ზესახელმწიფოების დაპირისპირება დაიწყება — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრება.

გულბაათ რცხილაძე

— **პუტინისა** და **ბაიდენის** შეხვედრა საკრიზისო მენეჯმენტის აუცილებლობაა. წამყვანი ქვეყნების ლიდერები ერთმანეთს მაშინ ესაუბრებიან, როდესაც კრიზისია და ვითარება მძაფრდება. ასე მოხდა პუტინისა და ბაიდენის წინა შეხვედრისას და ასეა ახლაც. კრიზისები ერთმანეთშია გადახლართული.

რუსეთ-ამერიკის დაპირისპირების თემებია უკრაინა, ყირიმი, შავი ზღვა, ნაწილობრივ ბელარუსი, ცენტრალური საკითხია ნატოს შემდგომი გაფართოება. რუსეთისთვის არსებობს წითელი ხაზები, მაგალითად, ნატო-ს გაფართოება აღმოსავლეთიტ და უკრაინისთვის შეტევითი იარაღის მიწოდება. ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირება უკრაინას უფრო უკავშირდება, ვიდრე საქართველოს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ჩათრეულია ამ პროცესებში ჩვენივე ხელისუფლების წყალობით, რადგან უკრაინაში დარბოდნენ.

საქართველოს პრემიერმინისტრი ჩავიდა უკრაინაში და განცხადებები გააკეთა ყირიმზე, ანალოგიურად მოიქცა საგარეო საქმეთა მინისტრიც. ეს ყოვლად დაუშვებელი, ანტიქართული და უპასუხისმგებლო საქციელი იყო. იაფფასიანი განცხადებები გააკეთეს იმისთვის, რომ უკრაინას საკაშვილისთვის მხარი არ დაეჭირა. დავაზუსტებ მკითხველისთვის: **ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება უკრაინაში არჩევნებამდე დარბოდა.**

— რამდენიმე დღის წინათ სტოკჰოლმში გაიმართა ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. იქ ლავროვი და ბლინკენი შეხვდნენ ერთმანეთს. იყო ეს შეხვედრა შედეგიანი?

— კონკრეტული შედეგი მათ საუბარს არ მოჰყოლია, ეს შეხვედრა იყო ბაიდენ-პუტინის საუბრის მოსამზადებლად. **რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების ცალკე აღებული ეს ერთი შეხვედრა გლობალურ პოლიტიკაში გარდატეხას და გარღვევას ვერ მოიტანს. ეს იქნება პირდაპირი ომის თავიდან აცილების მცდელობა, რაც უკვე კარგია, მაგრამ არ შეასუსტებს დაძაბულობას ევროპის კონტინენტსა და შავი ზღვის აკვატორიაში. ჩვენ კარგად უნდა გავითვალისწინოთ, რომ შავი ზღვა საქართველოსთვის ერთადერთი სარკმელია ევროპაში, როგორც ეს ისტორიულად იყო.** საქართველოს ერთადერთი სავაჭრო მიმართულება შავ ზღვაზე გადის. ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო ფასეულობა დამოკიდებულია შავ ზღვაზე. თუ მოხდება შავი ზღვის მილიტარიზაცია, იქ ომი ან გარკვეული სამხედრო მანევრები დაიწყება, ორივე ქვეყანა ერთმანეთის დაბლოკავს, და ეს მოქმედებები საქართველოს პირდაპირ დაარტყამს, სერიოზულ ზიანს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

— რა ზიანზეა საუბარი?

— თუკი შავ ზღვაზე მოხდება რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირება, როგორ ფიქრობთ, საქართველოში გემები შემოვლენ? სადაზღვევო კომპანიები დააზღვევენ ჩვენკენ მომავალ გემებს და ტვირთებს? ჩვენი ქვეყნის ყველა პორტი რომ გაჩერდეს, ტვირთბრუნვა რომ შემცირდეს, ეს ძალიან ცუდად აისახება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე და ამას ვამბობ ყველაზე კარგ ვარიანტში, ყველაზე მშვიდობიან ვითარებაში საქართველოსთვის, მაგრამ **არსებობს დიდი ალბათობა, რომ შავ ზღვაში დიდი ქვეყნების დაპირისპირება საქართველოსთვის მშვიდობიანად არ ჩაივლის და ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საომარი მოქმედებები დაიწყება.**

— ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ, თუკი უარესი სცენარით განვითარდება მოვლენები და საომარი მოქმედებები მართლაც დაიწყება, რა უნდა ქნას საქართველომ, როგორ უნდა იმუშაოს ჩვენმა დიპლომატიამ, რომ გადავრჩეთ?

— ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ზედმეტია. **უნდა გადადგეს მთავრობა და ქვეყნის მართვა „საქართველო და მსოფლიოს“ ჩააბაროს „ევრაზიის ინსტიტუტთან“ ერთად და ჩვენ მართლა მივხედავთ ყველაფერს. ეს ხუმრობით, მაგრამ ამ ხუმრობაშიც არის სიმართლის მარცვალი.**

— რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმაც და საგარეო საქმეთა მინისტრმაც განაცხადეს: „ნატოს ვურჩევთ, აღმოსავლეთით ნატოს გაფართოება შეჩერდეს“... ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება კი ელოდება 2024 წელს, აპირებს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთებას და სერიოზული შედეგის მიღებასაც ევროკავშირისგან და ნატოსგან...

— საქართველოს ხელისუფლებაზე არაფერი არ არის დამოკიდებული, მთელი ეს პროცესები დამოკიდებულია დასავლეთზე, მათი ნებაა, გადადგამენ ამ ნაბიჯს თუ არა. მათ შეუძლიათ ევროპასთან ჩვენი ინტეგრაცია ან უსაშველოდ გააჭიანურონ, ან მარტივად მოაგვარონ... ასე რომ, საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკეთებული ყველა განცხადება არაფრისმთქმელია.

— **ევროპარლამენტარი, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის თანათავმჯდომარე, ლიეტუვის ყოფილი პრემიერმინისტრი — ანდრიუს კუბილიუსი და ევროპარლამენტარის მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში — რამუნას სტანიონისი გამოთქვამენ მოსაზრებას და სწამთ, რომ „კრემლის ბოლოდროინდელი აგრესიული პოლიტიკა, როგორც შიგნიდან, ისე გარედანაც დასავლეთს ხელს უწყობს, ხელახლა გაიაზროს თავისი პოლიტიკა რუსეთის მიმართ. დასავლეთში თანდათან ხვდებიან, რომ უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის წარმატებული ინტეგრაცია საბოლოოდ რუსეთს საკუთარი თავის გარდაქმნაში დაეხმარება“...**

— ევროპარლამენტარების განცხადებებს ვიღაც **მამუკა მდინარაძეც** კი სერიოზულად არ აღიქვამს და აცხადებს, რომ ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებულნი არ არიან, დაეთანხმონ ევროპარლამენტარებს. ასე რომ, მეც შემიძლია არ დავეთანხმო მდინარაძეს. ჩვენი ქვეყნის ბედს არ წყვეტენ ევროპარლამენტარები, მაგრამ მათი აზრიც გასათვალისწინებელია, რადგან გარკვეულ ამინდს ქმნიან, საზოგადოდ, აზრისა და მოსაზრებების ფორმირებაში ევროკავშირშიც და ნატოშიც.

არ გამოვრიცხავ, **რაღაც ეტაპზე დასავლეთმა იქამდეც შეტოპოს, რომ შეძლოს, პროვოკაციის მიზნით დააჩქაროს ნატოსთან საქართველოსა და უკრაინის ინტეგრაცია, რომელიც დამანგრეველი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ეს საქართველოსთვის შეიძლება უკეთესიც იყოს.** ეს გამოიწვევს იმას, რომ საბოლოოდ დავაღწევთ თავს ნატო-ევროკავშირის ილუზიებს. ამაზე მე და თქვენ „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში ვისაუბრეთ...

— 7 დეკემბერს რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტები ონლაინშეხვედრას გამართავენ. არსებობს მოსაზრება, რომ უკრაინასთან მიმართებით დაძაბულობა ხელოვნურად შეიქმნა, რათა ამ ორი ზესახელმწიფოს პრეზიდენტები ერთმანეთს არ დალაპარაკებოდნენ. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— დიახ, მართლაც ჩანს, რომ პროვოკაცია მოხდა, მაგრამ ამერიკის ადმინისტრაციის ჩანაფიქრზე ვერაფერს გეტყვით.

ჯო ბაიდენს არ უნდა დავუკარგოთ დამსახურება და დადებითი ნაბიჯების გადადგმა. ბაიდენმა დადებითი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ავღანეთიდან გაიყვანა ჯარები. მართალია, ამერიკელებმა მიატოვეს მოკავშირეები, უბრალო ხალხი, რომელიც მათ ენდო, მაგრამ ეს სპეცსამსახურების ბრალია და, საერთოდაც, ადამიანების გადაგდება ამერიკის სტილია, ეს მათ სჩვევიათ. ბაიდენის სურვილი არ იყო ხალხის მიტოვება და ღალატი, მას ომის დასრულება სურდა, ეს თავადვე განაცხადა თავის დროზე. ამ კუთხით თუ შევხედავთ, **ბაიდენი, როგორც პრეზიდენტი, ვიცეპრეზიდენტის პოზიციაზე ყოფნისგან განსხვავებით, ლოიალური და მშვიდობიანია. ვიცეპრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას ბაიდენი ვითარების გამწვავებაზე უფრო იყო ორიენტირებული, ვიდრე განმუხტვაზე, რადგან, როგორც ცნობილია, მისი ოჯახის ფინანსური ინტერესები იყო უკრაინაში. ვიცით, რომ მისი შვილი უკრაინის ენერგეტიკაში დიდი წილების მფლობელი იყო...**

ბაიდენი, როგორც პრეზიდენტი, მშვიდობის მტრედის როლს ასრულებს გარკვეულწილად და აცხრობს მილიტარისტულ და აგრესიულ მიმართულებას, რომელიც აშკარად გამოკვეთილია ამერიკის პოლიტიკაში. ამიტომ გეთანხმებით, დიახ, ბაიდენი წავიდა ყველას და ყველაფრის წინააღმდეგ და 7 დეკემბერს ვიდეოშეხვედრა გამართა რუსეთის პრეზიდენტთან. ბაიდენის ავღანური ბეგრაუნდი გვაძლევს იმის ფიქრის საშულებას, რომ რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკება კარგად დასრულდება და ეს არ იქნება მოლაპარაკება მოლაპარაკებისთვის... ეს შეხვედრა არ დასრულდება უშედეგოდ, რადგან ზესახელმწიფოების პრეზიდენტები უშედეგოდ არასდროს არ საუბრობენ. ისინი არ იჩხუბებენ, გამოსავალს გამონახავენ.

— გააფორმებენ თუ არა პუტინი და ბაიდენი იურიდიულ დოკუმენტს, რომ ნატოს ინტეგრაცია აღმოსავლეთით არ მოხდება?

— არა, ალბათ, ასეთ დოკუმენტს არ გააფორმებენ.

ესაუბრა
ეკა ნასყიდაშვილი

«არ გამოვრიცხავ, რაღაც ეტაპზე დასავლეთმა იქამდეც შეტოპოს, რომ შეძლოს, პროვოკაციის მიზნით დააჩქაროს ნატოსთან საქართველოსა და უკრაინის ინტეგრაცია, რომელიც დამანგრეველი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ეს საქართველოსთვის უკეთესიც შეიძლება იყოს»

„ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირება უკრაინას უფრო უკავშირდება, ვიდრე საქართველოს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ჩათრეულია ამ პროცესებში ჩვენივე ხელისუფლების წყალობით, რადგან უკრაინაში დარბოდნენ“

ქვეყანა სტაგნაციიდან რომ გამოიყვანოთ, რადიკალურად უნდა შეცვალოთ მართვის სტილი და მეთოდები, თორემ მალე ამოწურავთ ხალხის ნდობის რესურსს. ხალხი უიმედობამ დათრგუნა. დაიღალა თქვენი ლაქლაქით, ტყუილებით, უსუსურობით, უნიათობითა და ტრაბახით.

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს მწირ ბიუჯეტს შესეული წურბელები

ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა სასტიკი, არაადამიანური ფორმებით ებრძვის მმართველ პარტიას და ხელისუფლებას; ებრძვიან მხოლოდ იმიტომ, რომ, რაც არ უნდა დაუჯდეთ, ნებისმიერი ხერხით ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში. ქვეყნის ხელმძღვანელთა სავარძლებში რომ ჩაესვენონ და მათი ნაცადი ბინძური მეთოდებით მართონ ქვეყანა, ხალხის გონებითა და დაუღალავი შრომით შექმნილ ბიზნესსა და საკუთრებას დაეპატრონონ. მათი მმართველობის დროს ციხეები გამოავსეს, აწამებდნენ, ტანჯავდნენ და ხოცავდნენ სრულიად უდანაშაულო ღირსეულ ადამიანებს. სურთ, კვლავ ჩვეული ძალისმიერი, უბოროტესი მეთოდებით გააღატაკონ, დააბეჩაონ და ქვეყნიდან განდევნონ ხალხი, თვითონ კი უმოწყალოდ გამდიდრდნენ და ნეტარებით იცხოვრონ. არც კი იფიქრონ ხალხის სოციალურ კეთილდღეობასა და ქვეყნის მომავალზე.

სააკაშვილმა ომის უგუნური წამოწყებისა და სამარცხვინო დამარცხების შემდეგ დამპყრობ რუსეთს გადასცა ურიცხვი, უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტები და დღევანდელ ხელისუფლებას უწოდებს პუტინის მიერ მართულ რუსეთუმეებს. აი მისი ურცხვი ლოგიკა. ასეთი ყეყეჩის რა უნდა დაიჯერო. სააკაშვილისა და მისი მომხრეების უტიფარი ქმედებით ქვეყანა ანარქიამ მოიცვა. უგუნურ ოპოზიციას ბრძოლის გზად აქვს არჩეული ქვეყნის განვითარებისთვის ხელის შეშლა, საბოტაჟი, წარმოება-დაწესებულებების პარალიზება, რესურსების გამოფიტვა. ეს ხომ წმინდა წყლის ქვეყნის დაქცევაა. გასაკვირია, ხელისუფლება ასეთ გარეწრებს რატომ არ აპატიმრებს, თუ ელოდება სისხლის დაღვრას და მსხვერპლს. ან რატომ გახადა ციხე და მიშას კომფორტული პალატა „პრახადნოი დვორად“ — გარეწრების სათარეშოდ. ნაძირალა ბრალდებული ხელისუფლებისა და მოაზროვნე საზოგადოების ბრალმდებლად გადავაქციეთ და ოლიმპიური სიმშვიდით ვისმენთ მის უაზრო გრძელ ტირადებს — ბრალდებებს. მთელ ოპოზიციურ სპექტრს კანონისა და კონსტიტუციის მიმართ აგდებული დამოკიდებულება აქვთ. **სააკაშვილის მმართველობის პერიოდში წარმოდგენა არ გვქონდა, რაში იხარჯებოდა ჩვენ მიერ ბიუჯეტში შეტანილი გადასახადები; უმოწყალოდ იფლანგებოდა მილიონები მიშას, მისი ოჯახის წევრებისა და უახლოესი გარემოცვის მიერ. მასაჟისტების, ვიზაჟისტების, მზარეულების, „პრასტიტუტკების“ მომსახურეობაზე, მათ გულუხვ საჩუქრებზე, სექსტურების მოწყობაზე, საზღვარგარეთ ვოიაჟებზე, ფუფუნების ნივთების შეძენაზე, დასვენებაზე, მკურნალობაზე, გართობაზე, მისი შვილების უცხოეთში განათლებაზე, აფრიკაში სანადიროდ მოგზაურობაზე, მეგობრებისთვის ბინების შეძენაზე, მათთვის ბიზნესების აწყობაზე და სხვ. ჩამოთვლა შეუძლებელია. პირადი და მისი ოჯახის წევრების კომფორტისათვის, 9 მილიონი კი არა, გაცილებით მეტი აძვს შეჭმული მიშას ხალხის ფული.**

მადრიდში ფეშენებელურ სასტუმროს რესტორნიდან უგონოდ მთვრალმა მიშამ თბილისში **გიგი უგულავას** დაურეკა და უბრძანა, სასწრაფოდ **ალანა გაგლოევა** მასთან გადმოეფრინა. გაგლოევა ვერ მოძებნეს და ვერ გადააფრინეს. მიშა განრისხდა, გაბოროტდა, დუჟებს ყრიდა და ძვირადღირებული უზარმაზარი ფაიფურის ლარნაკი სასტუმროს ბოლო სართულის ვერანდიდან ქუჩაში გადმოაგდო. ვინაიდან გვიანი იყო, საბედნიეროდ, ქუჩაში არც ადამიანები და არც ტრანსპორტი არ მოძრაობდა, უმსხვერპლოდ დასრულდა მისი შლეგობა. მიშას დაცვამ კი ბიუჯეტიდან დაფარა მისი აღვირახსნილი თავხედობით გამოწვეული ზარალი. **მიშას მიერ მიღებული სულელური კანონით ადვოკატებს პირდაპირ სასამართლო პროცესის დროს აპატიმრებდნენ. 124 დამცველი მისცეს პასუხისგებაში სრულიად დაუმსახურებლად. ისიც გეხსომეგათ, ხანდაზმულებს კბილების პროტეზებს დაჰპირდა საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ასევე რეპრესირებულებს დაჰპირდა ერთჯერად სოლიდურ დახმარებას და პენსიების გაზრდას, მაგრამ არჩევნების დამთავრების შემდეგ არც კი გახსენებია დანაპირები.** შუბლზე ძარღვის არმქონე „ცრუპრეზიდენტმა“ მოატყუა ურიცხვი ხელმოკლე პენსიონერი და რეპრესირებული. თითქმის ყველა რაიონში ბიზნესმენებს შეაწერა ამბულატორიებისა და სამედიცინო პუნქტების აშენება და ტრაბახობდა, მის პერიოდშიც კი აღარ ფუნქციონირებდნენ ეს ობიექტები. ესეც არჩევნების წინა პიარი იყო. ასეთი უსაქციელობა და ცრუპენტელობა მისი ჩვეული სტილია. თავისი შვილების დედას რომ გაწირავს ადამიანი, ოღონდ თავი გადაირჩინოს, შვილებსაც გაყიდის და საქართველოს სახელმწიფოს დამფუძნებლად და შემქმნელად რომ მოაქვს თავი, ის ნორმალურია? არა, ბატონებო, ის შეშლილია. ასეთ გარეწარს მისტირის **პაატა ბურჭულაძე.** „ვკარგავთ მიშას და ვკარგავთ საქართველოს“, — ოხრავს ბანი. მიშა საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც ტირანი და ბინძური ლაქა. მიშას მომხრეებო, თანაგუნდელებო, თანამზრახველებო, თქვე უბედურებო, მებრალებით, ახლა მაინც ხომ დარწმუნდით, რა ყეყეჩია თქვენი ლიდერი. ჩვენ გვაქვს არაჩვეულებრივი ქვეყანა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ულამაზესი ზღვითა და უმშვენიერესი დათოვლილი კავკასიონით გარშემორტყმული; გასაოცარი ლანდშაფტით, ბუნებით, ჰავითა და კლიმატით. სამწუხაროდ, ამ ღვთით მონიჭებულ სიმდიდრეს არც ვიყენებთ და ვერც ვუვლით. ვჩეხავთ და ვწვავთ ტყეებს, ვაბინძურებთ ბუნებას, უმოწყალოდ ვანადგურებთ ჩვენს უნიკალურ ფლორასა და ფაუნას. არ გვაქვს არავითარი ეკოლოგიური პასუხისმგებლობა. შამწუხაროდ, განათლება და პროფესიონალიზმი უდაბლეს დონეზე გვაქვს. ბატონმა **რეზო თაბუკაშვილმა,** გონიერმა და დიდმა პატრიოტმა, ბრძანა, — პატრიოტიზმი მაღალი პროფესიონალიზმიაო. მე მსურს, მყავდეს ღირსეული და არა მხდალი, უნიათო ხელისუფლება, რომელსაც ექნება გონივრულად გააზრებული, როგორც საგარეო, ისე რეგიონული პოლიტიკის პერიპეტიები და ღირსეულად გაუმკლავდება მოზღვავებულ როგორც გარე, ასევე შიდა მტრებს. შაუბედუროდ, საქართველოს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მართვის სადავეები უცხოელების ხელშია, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ და, სამწუხაროდ, აღწევენ კიდეც თავიანთი ჩანაფიქრს, რომ ქვეყანა არ განვითარდეს, მწვავე დაპირისპირება, მუდმივი პოლარიზაცია და ქაოსი იყოს საქართველოში. სამწუხაროდ, **ბიძინა ივანიშვილსა** და მის უახლოეს გარემოცვას ეშინიათ თავხედი კონგრესმენების, სენატორების, უცხო ქვეყნის ჩვენთან აკრედიტებული ელჩების, ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტის, ევროკომისიის წევრებისა და მათი „მრჩევლების“, რომლებიც უაპელაციოდ ერევიან ჩვენს საშინაო საქმეებში. ეს შიში თუ არ იქნა მტკიცე ხელით და საღი გონებით დაძლეული, ჩვენ თვითონ თუ არ მივიღეთ გადაწყვეტილებები ჩვენი ხალხისა და ქვეყნის სასარგებლოდ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, დავიღუპებით. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბიძინა ივანიშვილი თავს არიდებს გონიერი, განათლებული, შორსმჭვრეტელი, სიტუაციის სწორი ანალიზისა და პროგნოზის მცოდნე, ხალხსა და ქვეყანაზე მოფიქრალ, გამოცდილ ადამიანებთან თანამშრომლობასა და თანადგომას. აბა, რატომ არ დაიყენა გვერდით **ლევან ვასაძე, ალექსანდრე ჭაჭია, პეტრე მამრაძე, გიგლა ბარამიძე, ვალერი კვარაცხელია, გოგი ლორთქიფანიძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ზურაბ ცუცქირიძე, გულბაათ რცხილაძე, თამარ კიკნაძე, ნიკოლოზ მჟავანაძე, დათო სუხიაშვილი** და სხვანი და სხვანი? საქართველოში რა გამოლევს ჭკვიან და მოაზროვნე ხალხს, თუმცა სულელებიც და უგუნურებიც, საუბედუროდ, თავზე საყრელი გვყავს, ლომჯარიების, გვარამიების, გაბუნიების, უგულავების, სანაიების, მელიების, კვესიტაძეების, სანიკიძეების, ნათელაშვილების, ხოშტარიების, ბოკუჩავების, გრიგოლიების, ყიფშიძეებისა და სხვა მრავალთა სახით. მიშა პატიმარია და როგორ არია ქვეყანა, რომ გამოუშვან, ხომ წარმოგიდგენიათ, რა უბედურებას დაატრიალებს საქართველოში. მან სრულიად აპოლიტიკოსებიც კი გადარია — ბუბა, პაატა, ნანი, თამრიკო, ვახტანგ მაჭავარიანი. ნაციონალების ლიდერები თუ არ აილაგმნენ, საქართველო ვერც განვითარდება და მომავალიც არ უწერია. დიდი საშიშროების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა. უნდა შევიგნოთ, რომ ნატო და ევროკავშირი ჩვენ ვერ და არ გვიშველის. ჩვენ ვართ დასაღუპად განწირული ერი, რომელიც უფსკრულისკენ მიექანება, და ძალიან ცოტა რჩება სრულ განადგურებამდე. ეს არის ტრაგედია და სამწუხარო რეალობა. **ჩვენს ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდება სიმშვიდე, წესრიგი და კეთილდღეობა, რომელსაც არ ისურვებენ და არც დაამყარებენ ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორები“ — აშშ და ევროპა. ამას მხოლოდ რუსეთთან კეთილმეზობლური, კეთილმეგობრული, კეთილგონივრული, თანაბარპარტნიორული ურთიერთობით მივაღწევთ. ამ ურთიერთობისთვის რუსეთი მზადაა, ჩვენ კი ფეხს ვითრევთ, რატომ? გაუგებარია. შამწუხაროდ, უმწიფარო პოლიტიკოსებო, თქვენ რუსეთს არ იცნობთ, ის დიახ აგრესორია, მოძალადეა და დამპყრობელია, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სამხედრო-სტრატეგიული ქვეყანაა,** მიუხედავად იმისა, რომ მისი სამხედრო ბიუჯეტი 61 მილიარდი დოლარია, ხოლო აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტის მოცულობა 778 მილიარდი დოლარი და 13-ჯერ აღემატება რუსეთის სამხედრო ბიუჯეტს. რაც მთავარია, ჩვენი მოსაზღვრე ქვეყანაა, რომელსაც ვერასდროს ვერავინ ვერ შეგვიცვლის. რუსეთიდან ფულადი გზავნილები აცოცხლებს და აცხოვრებს ჩვენი გაღატაკებული მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, განა ეს ძნელად გასაგებია? გახსოვდეთ, ყარსის ხელშეკრულებას ვადა ამოეწურა. მხოლოდ პუტინი ბლოკავს ერდოღანს, ჩვენ მისი ინტერესის სფეროდ მიგვიჩნევს. თუ გონს არ მოვეგებით, რუსეთთან უგუნური დაპირისპირება, რომელიც სამი ათეული წელი გრძელდება, დაგვღუპავს. აუტანელია, როცა ქვეყანა ასეთ უმძიმეს მდგომარეობაშია და ზოგიერთი უპასუხისმგებლო მინისტრი სისტემატიურად პრესის ფურცლებიდან ან ტელეეკრანიდან ტრაბახობს და თავს იწონებს, თუნდაც ლევან დავითაშვილი. არადა, საქართველოში სოფლის მეურნეობა განადგურებულია, სახნავ-სათესი მიწების 80%-ზე მეტი დაუმუშავებელია, სოფლის მეურნეობის 90%-ზე მეტი მდარე პროდუქტები სხვა ქვეყნებიდან შემოგვაქვს, ეკოლოგია გაუბედურებულია.

ნათია თურნავა — ხალხი შიმშილობს, ორი ათასზე მეტი ოთხსულიანი ოჯახი დღეში მხოლოდ 3 ლარს მოიხმარს, ნუთუ არ გებრალებათ უმწეონი?! უმუშევრობა იზრდება, დემოგრაფია შემაღონებელია, ინვესტიციები მცირდება, საგარეო ვალი კი იზრდება, ის კი ყელმოღერებით ეკონომიკის გასაოცარ ზრდაზე აღტაცებით საუბრობს. **მიხეილ ჩხენკელი** კმაყოფილი გამომეტყველებით გაუთავებლად ლაპარაკობს განათლებისა და მეცნიერების მიღწევებზე, ამ დროს განათლების სისტემა მთლიანად ჩამოშლილია. **კახა კალაძე** — ქალაქში ვაკხანალიაა, საცობებით არის ქუჩები გადაჭედილი, ზეზეულად ხმება ხეები, ძვირადღირებულ გამწვანებას ვერც უვლიან და ვერც პატრონობენ, ნაგვით გადაივსო ქალაქი, საცხოვრებელი სახლების სრულყოფილად ექსპლოატაციაში ჩაბარების საკითხი ვერა და ვერ მოგვარდა, უმნიშვნელოვანესი მშენებარე ობიექტები თვეობით (წლობითაც) შეჩერებულია, მათი დაკონსერვება აუცილებელია, ანტისანიტარული კერები დედაქალაქის ცენტრში ვერაფრით ვერ მოგვიშორებია, გამარჯვებული და ჩემი აქტიურად მხარდაჭერილი კახა მშვენიერ ოჯახთან ერთად პრესითაც და ტელეეკრანებიდანაც თავს იწონებს. ის ხომ პარტიის გენერალური მდივანიცაა და რა ქნას, დრო არ რჩება დედაქალაქისთვის. ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს არჩევნების წინა პერიოდის ცრუ დაპირებები. **ქვეყანა სტაგნაციიდან რომ გამოიყვანოთ, რადიკალურად უნდა შეცვალოთ მართვის სტილი და მეთოდები, თორემ მალე ამოწურავთ ხალხის ნდობის რესურსს. ხალხი უიმედობამ დათრგუნა, დაიღალა თქვენი ლაქლაქით, ტყუილებით, უსუსურობით, უნიათობითა და ტრაბახით.** ბატონო ბიძინა, შენმა ფულმა და მაკკეინის მუქარით გამოწვეულმა შენმა სიმხდალემ მიიყვანა ქვეყანა სავალალო ვითარებამდე. დამღუპველი კოაბიტაციაც, ერთი წლით მიშას „პრეზიდენტობის“ გაგრძელებაც და დედაქალაქის ბიუჯეტის გამომხრავი პატიმარი გიგი უგულავა ახალ წელს მეკვლედ რომ გამოგვეცხადა, ესეც ამის შედეგია. დროა, გონს მოეგოთ და ქვეყანას მიხედოთ, თორემ სამშობლო აღარ გვექნება.

ღმერთო, გვიშველე!

ომარ მარგველაშვილი

«მე სიტყვასა ერთსა გკაზრობ...»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ოფიცერი, რუსეთის სტრატეგიისა და სამხედრო დოქტრინის სპეციალისტი რებეკა კოფლერი FOX NEWS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში პირდაპირ აცხადებს: „აშშ-ისთვის უმჯობესი იქნებოდა, საკუთარი ინტერესები დაეცვა და თავი შეეკავებინა სხვა კონტინენტებზე არსებული სახელმწიფოების ურთიერთობებში ჩარევისგან, სადაც არ არის აშშ-ის ობიექტური ინტერესები. შესაძლებელია, ეს კატასტროფით დასრულდეს“. კოფლერის აზრით, „უკრაინა შედის რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების ზონაში, მაგრამ იგი არ წარმოადგენს აშშ-ის ინტერესების შემადგენელ ნაწილს“.

დიდი სამამულო ომის ექო

ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

ორმოცდამესამე გამოშვება

დიდი ბრიტანეთი ბევრი მიმართულებით აოცებს მსოფლიოს. ყოფილ პრემიერმინისტრ ტერეზა მეის ექსტრავაგანტური ცეკვით დაწყებული და, თუ გნებავთ, დღევანდელი პრემიერმინისტრის, ბორის ჯონსონის, ვარცხნილობით დამთავრებული, ბევრი რამ არ შეეფერება ნისლიანი ალბიონის მაღალ კულტურას, მის კონსერვატიულ ხასიათსა და ბუნებას. ახლა კიდევ, საგარეო საქმეთა მინისტრი, ქალბატონი ელისაბედ ტრასი ტანკზე ამხედრებული მოადგა რუსეთის საზღვრებს ესტონეთის მხრიდან, რაც ფიურერის აჩრდილის გამოცხადებას ჰგავდა, მაგრამ... არც ჰგავდა. ტანკი მაინც ყოფილიყო რამე ახალი სიტყვა ჯავშნიანი საბრძოლო მანქანების მშენებლობის საქმეში. ძველი „ჩელენჯერ 2“, რომელიც თავის დროზეც ვერ გამოირჩეოდა განსაკუთრებული მახასიათებლებით, რუსეთზე დიდ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ელისაბედ ტრასი ტანკზე

დიდი ბრიტანეთის დღევანდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გაიმეორა ამ ქვეყნის პრემიერმინისტრ **მარგარეტ ტეტჩერის** (1979-1990 წწ.) ჟესტი, რომელმაც 1986 წელს დასავლეთ გერმანიაში ნატოს ერთ-ერთ პოლიგონზე ტანკით გაიარა და გაისროლა კიდეც. იმხანად კოლექტიური დასავლეთის გამარჯვება საბჭოთა კავშირზე გარდაუვალი იყო, რადგან თვითონ საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ იყო ასე გადაწყვეტილი. დღეს სხვა ვითარებაა. პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი** არც „გენსეკი“ **გორბაჩოვი** არ არის და არც პრეზიდენტი **ელცინი. მაინცდამაინც ომამდე თუ მივა საქმე, კოლექტიური დასავლეთი პუტინის დროსაც ისევე შეელენება რქებით რუსეთს, როგორც საბჭოთა კავშირს შეელენა სტალინის პერიოდში. რაც შეეხება ქალბატონ მინისტრს, მას ყველაზე მეტად სწორედ ბრიტანეთში დასცინეს უნიჭო დემარშის გამო.**

The Telegraph-ის მკითხველების კომენტარები ასეთი იყო: „რუსეთს აშინებს?“; „კრემლში შიშისგან ცახცახებენ“; „ელისაბედ ტრასის ტანკით გასეირნების შემდეგ პუტინს თურმე უგუნებობა დაეტყო“.

რუსეთის პრეზიდენტს უგუნებობა თუ დაეტყო, ეს ბრიტანეთის მინისტრის ქარაფშუტულ საქციელზე მეტად კოლექტიური დასავლეთის იმ უგუნურ საქციელს უკავშირდება, რომელსაც მთელი მსოფლიო ჩიხში შეჰყავს. პუტინმა დასავლეთისგან საიმედო და გრძელვადიანი გარანტია მოითხოვა აღმოსავლეთით ნატოს გაფართოებისა და რუსეთის საზღვრებთან სამხედრო სისტემების განლაგების გამორიცხვის შესახებ: „Перед нашей дипломатией сейчас стоит первоочередная задача добиваться предоставления России надежных и долгосрочных гарантий безопасности. В диалоге с США и их союзниками будем настаивать на выработке конкретных договоренностей, исключающих любые дальнейшие продвижения НАТО на Восток и размещения угрожающих нам систем оружия в непосредственной близости от территории Российской Федерации“. გორბაჩოვის მიერ ჩადენილი დანაშაული (და არა შეცდომა) იმ იურიდიული დოკუმენტის გაუფორმებლობა იყო, რომლის მიხედვითაც ვარშავის ბლოკის დაშლის შემდეგ ან ნატოც დაიშლებოდა, ან (სულ ცოტა) არ გაფართოვდებოდა. ეს დანაშაული ამჟამად მაინც უნდა გამოსწორდეს. რუსეთის პრეზიდენტი სწორედ ამას მოითხოვს: „Нам нужны именно правовые, юридические гарантии, поскольку западные коллеги не выполнили взятые на себя соответствующие устные обязательства. Всем известно о дававшихся устных заверениях, что НАТО не будет расширяться на Восток. Но всё было сделано ровно наоборот. По сути, законные российские озабоченности в сфере безопасности были проигнорированы. И сейчас их продолжают игнорировать дальше. Кстати, угроза на наших западных рубежах действительно нарастает, и об этом мы неоднократно говорили. Достаточно посмотреть, насколько близко к российским границам выдвинулась военная инфраструктура Североатлантического альянса. Для нас это более чем серьезно. В данной ситуации мы предпринимаем адекватные военно-технические меры“.

სამხედრო პარიტეტისა და ძალთა თანაფარდობის დაცვა მხოლოდ რუსეთის პრობლემა არ არის, ეს მსოფლიოს პრობლემაა, ვინაიდან პარიტეტის დარღვევა მთელ მსოფლიოს გლობალური კატასტროფის საშიშროების წინაშე აყენებს. ამტომაცაა, რომ აშშ-ისა და კოლექტიური დასავლეთის უპასუხისმგებლო ქცევის გამო მათ კრიტიკოსები დასავლეთშიც გამოუჩნდათ. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ოფიცერი, რუსეთის სტრატეგიისა და სამხედრო დოქტრინის სპეციალისტი **რებეკა კოფლერი** Fox News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში პირდაპირ აცხადებს:

„აშშ-ისთვის უმჯობესი იქნებოდა, საკუთარი ინტერესები დაეცვა და თავი შეეკავებინა სხვა კონტინენტებზე არსებული სახელმწიფოების ურთიერთობებში ჩარევისგან, სადაც არ არის აშშ-ის ობიექტური ინტერესები. შესაძლებელია, ეს კატასტროფით დასრულდეს“. **კოფლერის აზრით, „უკრაინა შედის რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების ზონაში, მაგრამ იგი არ წარმოადგენს აშშ-ის ინტერესების შემადგენელ ნაწილს“.** ამ საკითხზე მსჯელობას კოფლერი ასე ამთავრებს: „რუსულ მიწაზე რუსეთისთვის ომი ჯერ არავის მოუგია“. ასეთია ამერიკელი სპეციალისტისა და გულწრფელი მოქალაქის აზრი, რომლისგანაც რადიკალურად განსხვავებულ პოზიციებს ამჟღავნებენ აშშ-ის ხელმძღვანელი პირები. უკრაინა და ნატო რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ, — აცხადებენ ისინი. სახელმწიფო მდივან **ენტონი ბლინკენის** პოზიცია ასეთია: „პუტინის მოთხოვნა გაუგებარია. იდეა, რომ უკრაინა რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს, ცუდი ხუმრობა იქნებოდა, საკითხი ასე სერიოზულად რომ არ იდგეს. ნატო თავდაცვითი ალიანსია, რომელიც რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და მის მიმართ აგრესიული ზრახვები არ გააჩნია“. ბლინკენი უფრო შორსაც წავიდა: „ალიანსის მიზანია, დარწმუნდეს მისი წევრების ეფექტიან დაცვაში და დააკმაყოფილოს მათი თავდაცვითი მოთხოვნები“. რა გამოდის? ნატო რუსეთის ყველა მეზობელ სახელმწიფოში უნდა იყოს და მათი თავდაცვითი მოთხოვნები მთლიანად უნდა დააკმაყოფილოს, **ანუ ეს სახელმწიფოები შეიარაღებით და უახლესი სამხედრო ტექნოლოგიებით უნდა გატენოს, რუსეთს კი პრეტენზიები არ უნდა გაუჩნდეს?** ბლინკენი აღმოსავლეთის მიმართულებით ნატოს გაფართოების შეჩერების შესახებ რუსეთის აბსოლუტურად სწორ მოთხოვნას თავხედურად პასუხობს: „რუსეთის შესაძლო აგრესიის გათვალისწინებით, ჩვენ განზრახული გვაქვს, აღმოსავლეთის ფლანგზე დამატებითი ძალები გავგზავნოთ“. ბლინკენი, როგორც ჩანს, პოლიტიკური განცხადებების კეთებისას თავს არ იწუხებს თანმიმდევრულობაზე ფიქრით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე წუთს ასეთი რამ არ უნდა ეთქვა: **„დიდი შეცდომაა და არასწორია თეზისები, რომ ნატოს მხრიდან რუსეთს რამე სახის საფრთხე ემუქრება“.** ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ქართველები ანდაზებს ამერიკელთა საქციელზე ხომ არ ქმნიდნენ-მეთქი. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. **ჯო ბაიდენი ხარ, ენტონი ბლინკენი თუ ლოიდ ოსტინი, თქვენ თუ არ გჯერათ რუსეთის ნათქვამი, რომ ისინი არავისზე თავდასხმას არ აპირებენ, რუსებმა რატომ უნდა დაგიჯერონ თქვენ, რომ მას თავს არ დაესხმით? დღესა და ღამეს რუსეთის ლანძღვაში ასწორებთ; დედამიწაზე თუკი რამ ბოროტება არსებობს, ყველაფერში რუსეთს ადანაშაულებთ; რუსეთის ირგვლივ ნატოს ალყას კრავთ; რუსეთის მეზობელ ყველა სახელმწიფოს თქვენს სამხედრო ბლოკში მიათრევთ; თუკი რამ შეიარაღება გაგაჩნიათ, რუსეთის საზღვრებამდე მოზიდეთ; შავი ზღვა თქვენი სამხედრო გემებით გაავსეთ; თქვენი სამხედრო დოქტრინის მიხედვით რუსეთი მტრად გამოაცხადეთ; იმ ფარატინა ქაღალდზეც კი, რომელზეც ეწერება, რომ მეტად აღარ გაფართოვდებით და რუსეთის საზღვრებს ყველა მხრიდან არ მიადგებით, ხელს არ აწერთ; რუსეთის სამართლიან მოთხოვნას აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერების შესახებ, აღმოსავლეთის ფლანგზე ახალი ძალების გაგზავნით პასუხობთ და ყოველივე ამის შემდეგ რა პირით მოითხოვთ, რომ რუსეთი „პატიოსან სიტყვაზე“ უნდა გენდოთ?!** კი მაგრამ, მაგნაირ „პატიოსან სიტყვაზე“ საბჭოთა კავშირის ლიდერები რომ გენდნენ, ის ნდობა გაამართლეთ?!

ბატონო ბლინკენ, თქვენი სახელმწიფოს ისტორია, დარწმუნებული ვარ, ჩემზე უკეთესად გეცოდინებათ. აშშ-ს, მისი არცთუ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, სამოცამდე სახელმწიფოსთან ფართომასშტაბიანი ომი რომ ჰქონდა, ეს არცთუ დადებითი ფაქტი აუცილებლად გემახსოვრებათ. ჰოდა, ამ სრულიად არასახარბიელო წარსულის მქონე სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი თქვენ მიერვე მტრად შერაცხულ სახელმწიფოს, „პატიოსან სიტყვაზე“ მენდეო, რომ ეტყვი, მაგნაირ ადამიანზე ჩვენი წინაპრები ასე ამბობდნენ: ამ კაცის ენას ძვალი არ აქვსო, რაც გადატანითი მნიშვნელობით იმას ნიშნავდა, რომ ამ კაცს სინდისი არ აქვსო. შეგიძლიათ, ეს დასავლური უტიფრობის ქართულ შეფასებად მიიღოთ, რუსულ შეფასებებზე რუსები თავად მოგახსენებენ. სხვათა შორის, მათაც ძალიან მდიდარი ენა აქვთ. პუტინი სვამს შეკითხვას, რომელზეც დასავლეთს პასუხი არ აქვს: „Зачем потребовалось расширять НАТО к нашим границам? Кто может ответить на этот вопрос? Ответа здравого нет, не существует. У нас была почти идиллическая картина взаимоотношений, особенно в середине 90-х годов. Мы были почти союзниками. На все наши уговоры и просьбы не делать этого, что произошло? То, что мы сейчас ▶

ბატონო ბლინკენ, თქვენი სახელმწიფოს ისტორია, დარწმუნებული ვარ, ჩემზე უკეთესად გეცოდინებათ. აშშ-ს, მისი არცთუ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, სამოცამდე სახელმწიფოსთან ფართომასშტაბიანი ომი რომ ჰქონდა, ეს არცთუ დადებითი ფაქტი აუცილებლად გემახსოვრებათ. ჰოდა, ამ სრულიად არასახარბიელო წარსულის მქონე სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი თქვენ მიერვე მტრად შერაცხილ სახელმწიფოს, «პატიოსან სიტყვაზე» მენდეო, რომ ეტყვი, მაგნაირ ადამიანზე ჩვენი წინაპრები ასე ამბობდნენ: ამ კაცის ენას ძვალი არ აქვსო, რაც გადატანითი მნიშვნელობით იმას ნიშნავდა, რომ ამ კაცს სინდისი არ აქვსო

საქართველოს ხელისუფლება საგარეო ორიენტაციის თვალსაზრისით არაფრის შეცვლის სურვილს არ ამჟღავნებს. იგი ჯიუტად მიუყვება გზას, რომელმაც საქართველო დიდი ხნის წინათ გადაჩეხა უფსკრულში. იგი ვერ ხედავს, რა მასშტაბისაა საფრთხეები, რომლებიც მსოფლიოს ემუქრება. მას არ სურს გააცნობიეროს, რომ მსოფლიო ქაოსის შექმნაში უდიდესი წვლილი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სწორედ დასავლურ ორიენტაციას მიუძღვის. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს აქვს ძალიან ნათელი და მკაფიო მაგალითი სრულიად განსხვავებული ორიენტაციისა და პოზიციისა, რომელმაც გაამართლა. ესაა ბელარუსის მაგალითი.

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პუტინისთვის რუსეთი უმაღლესი ღირებულებაა. გახსოვთ, ალბათ, ბირთვული იარაღის გამოყენებაზე მისი ძალიან მძიმედ მოსასმენი, მაგრამ პატრიოტული პოზიციიდან აბსოლუტურად სწორი ნათქვამი: «ДА, ДЛЯ ЧЕЛОВЕЧЕСТВА ЭТО БУДЕТ ГЛОБАЛЬНАЯ КАТАСТРОФА, ДЛЯ МИРА БУДЕТ ГЛОБАЛЬНАЯ КАТАСТРОФА. НО Я КАК ГРАЖДАНИН РОССИИ И ГЛАВА РОССИЙСКОГО ГОСУДАРСТВА ХОЧУ ЗАДАТЬСЯ ВОПРОСОМ: А ЗАЧЕМ НАМ ТАКОЙ МИР, ЕСЛИ ТАМ НЕ БУДЕТ РОССИИ?!» რუსეთი, რომელსაც ამ სიტყვების წარმომთქმელი ლიდერი ჰყავს, პოზიციებს არ დათმობს. მით უფრო, რომ ეს მხოლოდ ლიდერის პოზიცია არ არის, ეს სრულიად რუსეთის პოზიციაა

„видим“ ამის შემდეგ პუტინი იმ წითელ ხაზებზეც ალაპარაკდა, რომელთა გადალახვის შემდეგ მოვლენები, შესაძლებელია, ისე განვითარდეს, არც ერთი მხარე რომ არ ისურვებდა: „Если на территории Украины возникнут комплексы какие-то ударные, подлетное время до Москвы будет 7-10 минут, а в случае размещения гиперзвукового оружия — 5 минут. А нам что делать? Мы тогда должны будем что-то подобное создать в отношении тех, кто нам так угрожает. Представляете? Вот это, создание таких угроз для нас и есть красные линии.“ პუტინის ამ აბსოლუტურად სწორი განმარტებების შემდეგ, როდესაც ჟურნალისტებმა პრეზიდენტ ბაიდენს ამ სიტყვების კომენტირება სთხოვეს, მან მართლაც წარმოუდგენლად უპასუხისმგებლო და მისი მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწისთვის სრულიად შეუფერებელი რამ თქვა: **„მე არავის წითელ ხაზებს არ ვცნობ“.** სამწუხაროდ, დარბაზში არ აღმოჩნდა ჟურნალისტი, რომელიც მას პირდაპირ დაუსვამდა შეკითხვას იმაზე, რომ მისი ეს პასუხი ხომ არ ააშკარავებდა აშშ-ის პრეზიდენტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მსოფლიოს წინაშეც? იქ ასეთი ჟურნალისტი არ აღმოჩნდა, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ის მსოფლიო, რომლის წინაშეც ამერიკელები ასე გამაოგნებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ, ვერ ხედავს ან ვერ აცნობიერებს ამას? ბაიდენი კი მის ამ ნათქვამზე არ შეჩერებულა, მან, როგორც ქართველებმა ვიცით თქმა, ცეცხლზე ნავთი დაასხა: „მე დაკავებული ვარ იმით, რომ ვაგროვებ ყოვლისმომცველი და მნიშვნელოვანი ინიციატივების პაკეტს, რომელიც პუტინს ძალიან გაურთულებს ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაზეც ის შეიძლება წავიდეს“. ბაიდენის ეს ნათქვამი როგორღაც ეხმაურება უკრაინის პრეზიდენტ **ზელენსკის** იმ ნათქვამს, რომ უკრაინას ევროპასა და მსოფლიოში უძლიერესი არმია ჰყავს. ვინ უნდა დაიჯეროს ის ნათქვამი, რომ უკრაინას მსოფლიოში უძლიერესი არმია ჰყავს? ცხადია, არავინ, მაგრამ, **თუკი ბაიდენი პუტინს ემუქრება, ხოლო ამ მუქარის განხორციელების ინსტრუმენტად, შესაძლებელია, იგი ნატოს გულისხმობს, ასეთ შემთხვევაში ზელენსკის აბსურდული ნათქვამი უკრაინის არმიის უძლეველობაზე, გასაგებია, რასაც ნიშნავს, მაგრამ მოხდება ასე? ნუთუ ისე დაშრეტილი და დაწრეტილია დასავლეთში საღი აზრი, ნუთუ ისე დაბინდულია გონება, ნუთუ ისე დამბლადაცემულია პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი აპარატი, რომ საკუთარი, აბსოლუტურად უსაფუძვლო და უგუნური ახირების გამო მართლაც მსოფლიო კატასტროფის გამომწვევ გლობალურ დაპირისპირებაზე მიდიან?** ძნელი სათქმელია. იქნებ პუტინისა და ბაიდენის შეხვედრამ, რომელიც, როგორც ახლა უწოდებენ, ონლაინრეჟიმში გაიმართება, ცოტათი მაინც განტვირთოს სიტუაცია, რომელიც ყოველ წუთს იძაბება. ვითარება კი მართლაც უკიდურესად მწვავეა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ დონეცკის ხელისუფლებამ, შესაძლებელია, რუსეთის პრეზიდენტსა და შეიარაღებული ძალების უმაღლეს მხედართმთავარს, ვლადიმერ პუტინს, დახმარების შესახებ თხოვნით მიმართოს. განიხილება სამი ვარიანტი:

1. რუსეთმა დონეცკის სახალხო რესპუბლიკას აღმოუჩინოს სამხედრო დახმარება;

2. დონეცკის სახალხო რესპუბლიკა მიიღონ რუსეთის შემადგენლობაში;

3. რუსეთმა აღიაროს დონეცკის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და გააფორმოს მასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება.

სამივე ვარიანტი დასაშვებია, მაგრამ როგორი იქნება მოვლენათა შემდგომი განვითარება? რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ასეთ შემთხვევაში აშშ და კოლექტიური დასავლეთი? ეს ის შეკითხვებია, რომლებზეც პასუხს ჯერჯერობით ვერავინ გასცემს. ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება: **უკრაინა, როგორც სახელმწიფო, იღუპება** და ეს საშინელი ფაქტი, პირველ რიგში, დასავლეთის „დამსახურებაა“, შემდეგ — უკრაინელი ხალხის იმ ნაწილის, რომელიც დასავლეთის ხაფანგში გაება, ბნელ, ნაციონალისტურ ტენდენციებს აჰყვა და ევროპის ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი სახელმწიფო უფსკრულში გადაჩეხა. ხშირად ვსაუბრობ რეგვენთა პატრიოტიზმზე, რომელიც უფრო დამღუპველია ნებისმიერი ხალხისა და ქვეყნისთვის, ვიდრე მომხვდური უძლიერესი მტერი. **უკრაინაც ისევე ემსხვერპლა ნაციონალიზმისა და რეგვნული პატრიოტიზმის ამ საშინელ ბაცილას, როგორც საქართველო, რომელიც მას შემდეგაც კი, რაც სამ ნაწილად დაიშალა, აკვიატებული დასავლური ორიენტაციისგან ვერ თავისუფლდება და კვლავაც ნატოსა და ევროკავშირის წევრობის ილუზიებით იკვებება.** საქართველოს პრემიერმინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** კოლეგებთან — უკრაინის პრემიერმინისტრ **დენის შმიგალსა** და მოლდოვის პრემიერმინისტრ **ნატალია გავრილიცასთან** ერთად — 30 ნოემბერს ბრიუსელში იმყოფებოდა, სადაც, როგორც ასოცირებული ტრიოს წარმომადგენლებმა, განცხადებები გააკეთეს. ღარიბაშვილის განცხადებაში ნათქვამი იყო: „ჩემთვის დიდი პატივია, რომ კოლეგებთან, უკრაინისა და მოლდოვას პრემიერმინისტრებთან ერთად ვიმყოფები ბრიუსელში. ძალიან საინტერესო შეხვედრები გვქონდა ბატონ **შარლ მიშელთან,** ქალბატონ **ფონ დერ ლაიენსა** და ბატონ **დევიდ მარია სასოლისთან.** მთავარი გზავნილი, რომლის გახმაურებაც ამ ვიზიტის ფარგლებში ხდებოდა, ტრიოს განზრახვის სიმტკიცეს ეხება, რომლის მიზანს ევროკავშირთან ჩვენი ქვეყნების ინტეგრაციის გზაზე შემდგომი დაწინაურება წარმოადგენს. ამ კონტექსტში მოხდება უკვე მიღწეული შედეგების გააზრება და ევროკავშირის სტრუქტურებისა და ინსტიტუტების ლიდერებთან ერთად სამომავლო ნაბიჯების განსაზღვრა მეტად სიღრმისეული დარგობრივი ინტეგრაციისთვის. საერთო ისტორიის გარდა, სამივე ქვეყანას გვაერთიანებს ევროპული მისწრაფებები და ჩვენი ერების მტკიცე არჩევანი, რომლებსაც ევროკავშირის წევრობა სურთ საერთო ევროპული ფასეულობების საფუძველზე.

შვიდი წლის წინათ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით, რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველ, თავისუფალ სავაჭრო სივრცეს მოიცავს, ჩვენმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, კომპლექსური რეფორმების გზას დასდგომოდნენ, რათა საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები თანხვედრაში მოეყვანათ ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ეს ვალდებულება დღეს კიდევ უფრო მტკიცედ გვაქვს გაცნობიერებული.

ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ფარგლებში, სამივე ჩვენგანს შეგვიძლია საკუთრივ ჩვენი მიღწევებისგან სარგებლის მიღება, ხოლო გამოწვევებთან — ერთობლივი ძალებით გამკლავება. კიევში ხელმოწერილი ერთობლივი მემორანდუმის, შემდეგ კი ბათუმში გაფორმებულ ლიდერთა დეკლარაციის საფუძველზე, ასოცირებული ტრიო შევთანხმდით, რომ ერთმანეთთან თანამშრომლობას გავაგრძელებთ სხვადასხვა მიმართულებით — ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი, თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესაბამისად, რათა ერთიანი ძალისხმევით სრული სარგებელი მივიღოთ ამ შეთანხმებებიდან. ახლა აქ ვიმყოფებით, ევროპელ კოლეგებთან ვსაუბრობთ და ევროკავშირთან ჩვენი სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური და დარგობრივი ინტეგრაციის გზაზე დაწინაურების ახალი შესაძლებლობების ძიებაში ვართ. გაძლიერებული თანამშრომლობის ინიციატივები გავაცანით ჩვენს ევროპელ კოლეგებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა დაკავშირებადობა, მათ შორის სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და ციფრულ განზომილებებში, სავაჭრო და ეკონომიკური ინტეგრაცია, ეკოლოგია და კლიმატის ცვლილებები, რეგიონული უსაფრთხოება, ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავება, მათ შორის კიბერ-თავდასხმებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებები. ევროკავშირში გაწევრების საერთო მიზნების გარდა, ჩვენს ქვეყნებს საერთო გამოწვევებიც აერთიანებს და გვინდა, რომ ამ სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტში ძალიან მნიშვნელოვანი ორი სვეტი აღვნიშნოთ — დიფერენციაცია და ინკლუზიურობა. მოუთმენლად ველით დეკემბერში გასამართ სამიტს, რომელიც გზას გაუხსნის გაძლიერებულ თანამშრომლობას, როგორც პარტნიორებს შორის, ასევე ევროკავშირთან“.

ამ ტექსტში, რომელიც სრულად წარმოგიდგინეთ, აშკარად ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლება საგარეო ორიენტაციის თვალსაზრისით არაფრის შეცვლის სურვილს არ ამჟღავნებს. იგი ჯიუტად მიუყვება გზას, რომელმაც საქართველო დიდი ხნის წინათ გადაჩეხა უფსკრულში. იგი ვერ ხედავს, რა მასშტაბისაა საფრთხეები, რომლებიც მსოფლიოს ემუქრება. მას არ სურს, გააცნობიეროს, რომ მსოფლიო ქაოსის შექმნაში უდიდესი წვლილი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სწორედ დასავლურ ორიენტაციას მიუძღვის. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს აქვს ძალიან ნათელი და მკაფიო მაგალითი სრულიად განსხვავებული ორიენტაციისა და პოზიციისა, რომელმაც გაამართლა. ესაა ბელარუსის მაგალითი. პრეზიდენტმა **ლუკაშენკომ,** მიუხედავად დასავლეთის დიდი მცდელობისა, რუსეთთან კეთილმეზობლობასა და პარტნიორობაზე უარი არ თქვა, რითაც მან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაც შეინარჩუნა, ეკონომიკაც ააღორძინა და მოსახლეობის ცხოვრების დონე ძალიან მაღალ ნიშნულამდე ასწია. **დააკვირდით, როგორ განსხვავდება საქართველოს პრემიერმინისტრისა და ბელარუსის პრეზიდენტის პოზიციები საგარეო ორიენტაციის თვალსაზრისით. შეადარეთ ღარიბაშვილის ზემოთ ციტირებული პოზიცია ლუკაშენკოს პოზიციას, რომელიც მან ნატოს გენერალური მდივნის, სტოლტენბერგის, იმ ნათქვამს დაუპირისპირა, რომელშიც პირდაპირ იყო გაცხადებული, რომ, თუკი გერმანია უარს იტყოდა მის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის განლაგებაზე, ამ იარაღს პოლონეთში განალაგებენ. ლუკაშენკოს პოზიცია ერთმნიშვნელოვანი და შეუვალი იყო: ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტ პუტინს მე შევთავაზებ, დააბრუნოს ბირთვული იარაღი ბელარუსში.** აი, სამართლიანი და ვაჟკაცური პოზიცია. პრეზიდენტ ლუკაშენკოს არ დაუწყია მიკიბულ-მოკიბული საუბარი. მან ყველასთვის გასაგონად და ერთმნიშვნელოვნად განაცხადა ის, რაც ხალხის წინამძღოლსა და ლიდერს უნდა ეთქვა, რომელიც, ამასთანავე, უკრაინელი ხალხის დიდი ჭირისუფალი და მოკეთეცაა: „Я никогда не буду на стороне того националистического угара, который сегодня происходит в Украине. Я буду делать все для того, чтобы Украина стала нашей. Она наша Украина. Там народ наш. Это не эмоции. Это мои твердые убеждения. Поэтому, если Россия окажется перед агрессией со стороны Украины, мы в теснейшей связке юридически, экономически, политически будем с Россией.“

კიდევ ერთხელ გავიმეორებ წერილის დასაწყისში ნათქვამს, რომ პუტინი არც გორბაჩოვია და არც ელცინი. პუტინისთვის რუსეთი უმაღლესი ღირებულებაა. გახსოვთ, ალბათ, ბირთვული იარაღის გამოყენებაზე მისი ძალიან მძიმედ მოსასმენი, მაგრამ პატრიოტული პოზიციიდან აბსოლუტურად სწორი ნათქვამი: „Да, для человечества это будет глобальная катастрофа, для мира будет глобальная катастрофа. Но я как гражданин России и глава российского государства хочу задаться вопросом: а зачем нам такой мир, если там не будет России?!“ რუსეთი, რომელსაც ამ სიტყვების წარმომთქმელი ლიდერი ჰყავს, პოზიციებს არ დათმობს. მით უფრო, რომ ეს მხოლოდ ლიდერის პოზიცია არ არის, ეს სრულიად რუსეთის პოზიციაა, ეს რუსი ხალხის შემართებაა, სადაც დიდი სამამულო ომის დროინდელი შემართების ექო ისმის, რომელიც, თუ საჭირო იქნება, ოცდამეერთე საუკუნეშიც ისევე შეაზანზარებს მსოფლიოს, როგორც მეოცე საუკუნეში შეაზანზარა.

რაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას შეუძლია საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაგვასახლოს, ოღონდ ამას ლამაზი სახელი უწოდოს. ამ ყველაფრის დაჯერება ცოტა ძნელია, მაგრამ ჯანმოს რეკომენდაციები ბევრ რამეზე მიუთითებს“.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის იმპერატიული რეკომენდაციები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს

მსოფლიოში პანდემიის გამოცხადებასა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის იმპერატიული დირექტივების გაცემას მალე მოჰყვა ხალხის პროტესტი ბევრ ქვეყანაში. 2020 წლიდან საქართველოშიც იბრძვიან დაძალებული აკრძალვების წინააღმდეგ. დროდადრო იმართებოდა დედაქალაქში პანდემიის საბაბით გამოცემული განკარგულებების საწინააღმდეგო აქციები, თანაც ხალხმრავალი... ე.წ. მწვანე პასპორტების შემოღებამ კი მოსახლეობა ძალიან გააღიზიანა და 5 დეკემბერს დედაქალაქის ცენტრში დიდი აქცია გაიმართა დევიზით „არა კოვიდფაშიზმს! არა მწვანე პასპორტს!“. გვესაუბრება ამ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სამოქალაქო აქტივისტი მაია დვალიძე.

მაია დვალიძე

— ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, ხალხზე ძალაუფლების მოპოვების მცდელობაა. კაცობრიობაზე აბსოლუტური ძალაუფლების მოპოვება არაერთ ადამიანს მოუსურვებია და ეს ისტორიულადაც დადასტურებული ფაქტია. დღეს ძალაუფლების მოპოვების ყველაზე კარგი საშუალება ადამიანების, ხალხების დაყოფა, ადამიანებისთვის სახის დაკარგვაა და ეს სადავო აღარ არის. იმ ადამიანებმა, რომლებიც ძალაუფლების მოპოვებას ცდილობენ, იციან, რომ ხალხი და საზოგადოება უდიდესი ძალაა, მათ იციან, რომ ასეთ დროს ჯარი და პოლიცია სანდო არ არიან, ყველა ჯარისჯაცისა და პოლიციელის უკან ოჯახი და ნათესაობა დგას, ამიტომ ისინი სანდო და საიმედონი არ არიან საეჭვო გადაწყვეტილებების მხარდაჭერაში. იქიდან გამომდინარე, რომ ძალოვანებს ვერ ენდობიან და ხედავენ, რომ ხალხს დიდი ძალა აქვს, შეიმუშავეს ისეთი მზაკვრული რამ, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია თანამედროვე კომუნიკაციების საფუძველზე და ეს არის პანდემია.

ჩვენ ვიცით, როგორ ყოფდნენ ადამიანებს: პოლიტიკური ნიშნით, კანის ფერით, სექსუალური ორიენტაციის მიხედვით... ეს ყველაფერი ხელოვნური და გამიზნულად შემოგდებული თემები იყო, მაგრამ არ აღმოჩნდა ეფექტიანი, ამიტომ ადამიანების დასაპირისპირებლად, მათთვის სახის წასაშლელად საჭირო შეიქნა მოეფიქრებინათ ისეთი რამ, რაც ოჯახებსაც კი დააპირისპირებდა.

ოჯახის ყველა წევრს თავისი აზრი და გემოვნება აქვს, ზოგი თვლის, რომ აცრა პანაცეაა, ზოგი თვლის, რომ სიცოცხლისთვის საშიშია... და ეს იწვევს კონფლიქტს, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ბავშვებს ეხება. მაგრამ არსებობს ოჯახები, რომლებშიც არიან პრივილეგიური ოჯახის წევრები, დომინანტი, რომლის სიტყვაც მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. ეს დომინანტი შეეცდება, თავისი აზრი გაატაროს და აიძულოს ოჯახის წევრები, აიცრან. და, სამწუხაროდ, ოჯახის სუსტ წევრს გააკეთებინებს ყველაფერს, რაც სურს... ასეთი ოჯახები ქმნიან საზოგადოებრივ მდგომარეობას და ეს მარტივი პროცესია მათთვის, ვის თავშიც იგეგმება საზოგადოების წევრთა, ხალხთა დამონება. ამას ისინი ოჯახის წევრების ხელით გააკეთებენ. ეს ყველაფერი ცუდი ამბებისა და ცუდი მომავლის წინაპირობაა...

— რამდენიმე დღის წინათ გაიმართა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალური ასამბლეის სესია, რომელზეც, რბილად რომ ვთქვათ, კაბალური რეკომენდაციები მიიღეს...

— ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის სპეციალური სესია 29-30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს გაიმართა. ჯანმომ განაცხადა, რომ ეს იყო ისტორიული შეკრება. ასეთი რამ არ მომხდარა ძალიან დიდი ხანია. აღნიშნული ორგანიზაციის საიტზე რომ შეხვიდეთ, ნახავთ, რომ მიღებულ ინიციატივებში კაბალური არაფერია და ისინი ხალხზე ზრუნვის მეტს არაფერს მოიცავს. ეს ინფორმაცია ზედაპირულია, რომელსაც ერთვის უწყინარი კლიპები, რიტორიკული და არაფრისმთქმელი ტექსტები... მაგრამ მათი განზრახვა დაკვირვებული თვალისთვის ნათელია. **ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ქვეყნებს სთავაზობს, შექმნან საერთო წარმომადგენლობა, ჯგუფები, რომლებიც დაექვემდებარებიან ჯანმოს და უზრუნველყოფენ მისი “რეკომენდაციების” შესრულებას. ამ „რეკომენდაციების“ მიხედვით, თუ ჯანმო გამოაცხადებს პანდემიას, მისი ყველა მითითება უნდა შესრულდეს. ჯანმოს უნდა მიეცეს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლება, გამოაცხადოს პანდემია, და ეს უნდა შეასრულოს ყველა ქვეყანამ, ანუ დაეთანხმოს ჯანმოს მიერ სიკეთის სახელით ბოროტების გავრცელებას.** ყველა დამეთანხმება, რომ ეს საშიშია...

ამ დოკუმენტზე ხელისმომწერ ქვეყნებს ეძლევათ გადაწყვეტილების მიმართ შიდა კენჭისყრის საშუალება, მაგრამ საეჭვოა, ეს საშუალება რეალურად ექნებათ თუ არა. 2022 წლის მაისში იგეგმება პირველი საპილოტე შეხვედრა სახელმწიფოების მიერ წარდგენილი ჯგუფებისა, რომლებიც ჯანმოს დაექვემდებარებიან.

ადამიანი საფუძვლიანად რომ დაუკვირდეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ამ ინიციატივას, მიხვდება, რომ, თუკი მოქალაქეს დღეს ქვეყნის კონსტიტუციის, კანონმდებლობის მიხედვით რამე უფლება აქვს, მომავალში აღარ ექნება. საზოგადოდ, თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში წერია, რომ პანდემიის პერიოდში მოქალაქეები უნდა დაემორჩილონ არსებულ შეზღუდვებს, მაგრამ რეკომენდაციებში, რომლებსაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია გვთავაზობს, წერია ერთი ფრაზა: **„იძულებითი გადაადგილება“**, რაც ძალიან საყურადღებო და მნიშვნელოვანია. გამოდის, თუკი ჯანმო საჭიროდ ჩათვლის, რომ უნდა დატოვო შენი საცხოვრისი, წინააღმდეგობას ვერ გაუწევ. გაუგონარი, არნახული მზაკვრობაა ჩადებული, მაგრამ ამის გაცნობიერება ძნელია სიდუხჭირეში მყოფი ადამინისათვის, რომელიც ამ მდგომარეობაში ბოლო სამი წლის განმავლობაში პანდემიის გამო აღმოჩნდა. ვაღიაროთ ყველამ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია ფინანსურ-ეკონომიკურად. მართალია, ხელისუფლებამ რაღაც სუბსიდიები გამოგვიყო, მაგრამ ამ სუბსიდიების შემდეგ კომუნალურმა გადასახადებმა ისე მოიმატა, რომ ყველა ხვდება — ჩვენ მოგვატყუეს! მოკლედ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას შეუძლია, საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაგვასახლოს, ოღონდ ამას ლამაზი სახელი უწოდოს. ამ ყველაფრის დაჯერება ცოტა ძნელია, მაგრამ...

— ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ძალიან ცდილობს პანდემიის საწინააღმდეგო შეზღუდვები ფრთხილად დააწესოს, თავი აარიდოს ბევრ რამეს, მაგრამ არსებობენ ე.წ. ეპიდემიოლოგები, რომლებიც ხელისუფლების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ გამოდიან...

— პირდაპირ ვიტყვი: ქვეყნისთვის ძალიან დიდი ტრაგედიაა ის, რომ პრემიერმინისტრი გამოდის, განცხადებას აკეთებს, თან ისეთს, რომ ხალხს ცოტა გული მოულბოს და მაშინვე ტელეეთერში ჩნდებიან **გამყრელიძე-იმნაძე-ცერცვაძე** და საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ. ამბობენ, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილების იმედად ნუ ვიქნებით. არ ეხებიან პირადად პრემიერს, მაგრამ ირიბად უპირისპირდებიან. **ვარაუდები აღარ არის საჭირო, რადგან ეს სამი ადამიანი, ე.წ. ტროიკა ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს იღებს და თავს ახვევს ქვეყანას. ეს კი ადასტურებს იმას, რომ ჩვენს ქვეყანას დაუყენეს უკვე უფროსები, რომლებიც ჯანმოს მითითებებს პირნათლად ასრულებენ და ამ გადაწყვეტილებებში ჩარევის უფლება არავის არ აქვს.**

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან პრობლემები ამერიკის ყოფილ პრეზიდენტ **ტრამპსაც** ჰქონდა და ასევე ბევრ ქვეყანას, მაგრამ ეს ორგანიზაცია მართავს ჩვენს ექიმებს, რომელთა შორისაც, თუ ამერიკელების საყვარელ ტერმინებს გამოვიყენებთ, ზოგი „ბოროტი“, ზოგი კი „კეთილი პოლიციელია“. ჰოდა, ბოროტები **გამყრელიძე-იმნაძე-ცერცვაძე** არიან, ხოლო ე.წ. კეთილები: **ეზუგბაია, რატიანი** და ვიღაც-ვიღაცები, რომლებიც დროდადრო ჩნდებიან ხოლმე, მაგრამ ეს ყველაფერი ერთი დიდი სპექტაკლია და ყველა მათგანი ადამიანის ახალი ცნობიერის შექმნაზე, ადამიანის სახის წაშლაზე მუშაობენ.

— სად არის გამოსავალი? მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აპროტესტებენ პანდემიის საწინააღმდეგო შეზღუდვებს, მაგრამ არაფერი არ იცვლება. რა უნდა ქნას პატარა საქართველომ?

— ის, რომ პატარა ქვეყანა ვართ, ის, რომ აქ ყველა ერთმანეთს იცნობს, ჩვენი ერის ყველაზე დიდი კოზირია... ქართველებს გვაქვს ერთი ძალიან ცუდი თვისება: ვუყურებთ სხვას და გვგონია, რომ მოვყვებით „პრიკუპში“ (პრეფერანსის თამაშისას მისამატებელი ბანქო — რედ.), ქართველები ფიქრობენ, თუ ძალიან გაჭირდება, მაშინ გამოვალთ ქუჩაშიო, მაგრამ იმაზე არ ფიქრობენ, გაჭირვებამდე, საქმის ბოლომდე გაფუჭებამდე უნდა დადგნენ იქ, სადაც პროტესტი აუცილებელია.

ხშირად მახსენდება ბახტრიონის ბრძოლა. სანამ შაჰ-აბასმა ნახევარი კახეთი არ გახიზნა და მათ ადგილას 80 ათასი უცხოტომელი არ ჩაასახლა, სანამ საძოვრები არ წაართვეს და საარსებო წყარო არ გადაუკეტეს, სანამ საზარელი ფაქტის წინაშე არ დადგნენ მღვდლის გაუპატიურების გამო, ხმა არ ამოიღეს ქართველებმა, მაგრამ, როდესაც გამწარდნენ, მერე იცოცხლე, ერთ კვირაში გაანადგურეს 80 ათასი ურჯულო.

დღევანდელი ქართველების მენტალიტეტი ძალიან შეცვლილია, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს „კითილისმსურველებს“ — ახალგაზრდები გაანარკომანეს, დედები გახიზნეს უცხოეთში, მამები გაალოთეს, ფუნქცია დაუკარგეს და ეს ყველაფერი იმისთვის მოხდა, რომ წინააღმდეგობის გამწევი ადამიანი რაც შეიძლება ცოტა დარჩენილიყო. მაგრამ ვფიქრობ, თუკი საქმე იქამდე მივა, რომ ფიზიკური გადარჩენისთვის მოგვიწევს ბრძოლა, ყველანი ფეხზე დავდგებით. მჯერა, ჩვენი დედაეკლესია გადაგვარჩენს, ერთმანეთის ნაცნობ-მეგობრობა და ნათესაობა გადაგვარჩენს. **ეკლესია ამ ბრძოლას უნდა ჩაუდგეს სათავეში და ასეც იქნება.**

ესაუბრა
ეკა ნასყიდაშვილი

«ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ქვეყნებს სთავაზობს, შექმნან საერთო წარმომადგენლობა, ჯგუფები, რომლებიც დაექვემდებარებიან ჯანმოს და უზრუნველყოფენ მისი რეკომენდაციების შესრულებას. ამ რეკომენდაციების მიხედვით, თუ ჯანმო გამოაცხადებს პანდემიას, მისი ყველა მითითება უნდა შესრულდეს. ჯანმოს უნდა მიეცეს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლება, გამოაცხადოს პანდემია და ეს უნდა შეასრულოს ყველა ქვეყანამ, ანუ დაეთანხმოს ჯანმოს მიერ სიკეთის სახელით ბოროტების გავრცელებას»

«რეკომენდაციებში, რომლებსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გვთავაზობს, წერია ერთი ფრაზა: «იძულებითი გადაადგილება», რაც ძალიან საყურადღებო და მნიშვნელოვანია. გამოდის, თუკი ჯანმო საჭიროდ ჩათვლის, რომ უნდა დატოვო შენი საცხოვრისი, წინააღმდეგობას ვერ გაუწევ. გაუგონარი, არნახული მზაკვრობაა ჩადებული, მაგრამ ამის გაცნობიერება ძნელია სიდუხჭირეში მყოფი ადამინისთვის»

ვერც წინა და ვერც მოქმედმა ხელისუფლებამ თავი ვერ დაადგა მიწის რეფორმას. გლეხებს საკუთრებაში არ აქვთ მიწის 70%-ზე მეტი, ისინი სახელმწიფო ბალანსზეა და გლეხიც იძლებულია, იჯარა გადაიხადოს, საიჯარო თანხა კი იმხელაა, ვერ აუდიან. ყველა გადასახადის გადახდის შემთხვევაში გლეხს ჰექტარზე 1200 ლარის შეტანა უწევს ბიუჯეტში და, თუ დიდ მასშტაბზეა საუბარი, ეს თანხა ასტრონომიულია.

სოფლის მეურნეობის პრობლემები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

არ გრცხვენიათ, ზამთარში საქართველოს სომხეთიდან 35 მილიონი დოლარის ყურძენი რომ შემოაქვს?

ბოლო ერთი თვის განმავლობაში, სასურსათო მაღაზიების დიდმა ნაწილმა სამსახურიდან მოლარეები გაათავისუფლა — მაღაზიაში მყიდველმა იკლო და, შესაბამისად, საჭირო აღარ არის ბევრი მოლარე. მყიდველის კლება კი იმ ფასმა გამოიწვია, რომელიც პროდუქტს ადევს. ვაი, რომ ფასი ყოველდღიურად იმატებს და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაც შესაბამისად ყოველდღიურ რეჟიმში იკლებს.

საქართველოს, ღვინის ქვეყანას, ვაზის სამშობლოს, ზამთარში 35 მილიონი დოლარის ყურძენი შემოაქვს ერთადერთი მიზეზით — ქვეყანაში სამაცივრე მეურნეობა ვერ თუ არ აეწყო და, რომ აეწყოს, სახელმწიფოს კეთილ ნება და ბიუჯეტის სახსრებია საჭირო. მძლავრი სამაცივრე მეურნეობა არის გრძელვადიანი, მაგრამ ძალიან მომგებიანი და ეს გაიგო რეგიონში ყველა ქვეყანამ, საქართველოს გარდა. დიდი სამაცივრე მეურნეობები აქვს ირგვლივ ყველას, ჩვენ გარდა, და ჩვენგან სეზონზე გააქვთ ხილი იაფად, ინახავენ მაცივრებში და ზამთარში იმ ხილს (ეს საუკეთესო შემთხვევაში, თორემ ძირითადად ნიტრატებიანს გვტენიან, ქართული პროდუქტი კი ევროპაში გააქვთ) ხუთჯერ ძვირად ვყიდულობთ ჩვენ

მეტი თვალსაჩინოებისთვის იმ პროდუქტების ათეულს შემოგთავაზებთ, რომლებიც წინა წლის ნოემბერთან შედარებით ყველაზე მეტად გაძვირდა. მაშ ასე: **კომბოსტო — 96,7%, ბადრიჯანი — 74,7%, ქლიავი — 58,3%, ყურძენი — 41,4%, კვერცხი — 41,6%, მზესუმზირის ზეთი — 40,7%, ჭარხალი — 39,6%, შაქარი — 34,7%, სტაფილო — 34,2%, კარტოფილი — 33,7%.** თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზეა ლაპარაკი და, რაც მთავარია, იმ პროდუქტებზე, რომლებიც საქართველოში დიდი რაოდენობით იწარმოებოდა.

ჯერ სხვა ქვეყნებზე ვთქვათ. **ჰოლანდია**, რომელსაც საქართველოზე ნაკლები მიწა აქვს, ნატურალური პროდუქტების წარმოების მხრივ მსოფლიოში პირველ ადგილზეა. **რუსეთმა** ბოლო ხუთ წელიწადში საოცრება მოახდინა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში ერთ-ერთ ლიდერად იქცა. რაც მთავარია, სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციით მსოფლიოს უდიდესმა ქვეყანამ ეკონომიკა არნახულად წამოსწია და, შეიძლება ითქვას, იმ ოქროს ძარღვს მიაგნო, რომელსაც უკვე მიზანმიმართულად მიჰყვებიან და დღეს რუსეთი აღარ არის მხოლოდ ნავთობზე დამოკიდებული. მეტიც, თუ ამ ტემპით გაგრძელებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, მალე ნავთობ-პროდუქტებმა, შესაძლოა, უკანა პლანზე გადაიწიოს და ეკონომიკის საყრდენად ხორბალი იქცეს, ხორბალი, რომლის ფასსაც მსოფლიო ბაზარზე უკვე რუსეთი ადგენს და, რომლის თესვის მასშტაბებს რუსეთი ბოლო 7 წლის განმავლობაში ზრდის და რეკორდულ მოსავალს იღებს. გარდა იმისა, რომ ეს ყველაფერი ქვეყნის ეკონომიკას ადგება, იქმნება ათასობით სამუშაო ადგილი და მოსახლეობას შემოსავალი აქვს. რუსეთში მიწების დამუშავებამ გააცოცხლა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება, კვლავ გაარემონტეს და „დაქოქეს“ კოლმეურნეობები, დედაქალაქს უკვე აღარ ეძალება ხალხი, სოფელს დაუბრუნდა, შრომობს და საკუთარი გარჯით მიღებულ შემოსავალს იყენებს.

ახლა საქართველოზე ვთქვათ. კომუნისტების პერიოდში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში 12 საკონსერვო ქარხანა იყო, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ამუშავებდნენ და მაშინ მხოლოდ ქვემო ქართლში მოყვანილი პროდუქტები საკმარისი იყო ამ ქარხნებისთვის. საკმარისი კი არა, დასავლეთ საქართველოშიც მიდიოდა პომიდორი, კიტრი, ბოსტნეული. დღეს კი აღმოსავლეთ საქართველოში ორი მეტ-ნაკლებად მძლავრი საკონსერვო ქარხანაა და მათი გამართული მუშაობისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქტები შემოგვაქვს, რადგან ადგილობრივი წარმოების არ ჰყოფნის. ჰყოფნის კი არა, ორ თვეს არ კმარა აქ მოწეული მოსავალი. რა გამოდის? ტერიტორია იგივე გვაქვს, მიწა არსად წასულა და, თუ დათესავ და მოუვლი, იმავე რაოდენობის მოსავალს მიიღებ. ჰო, **კომუნისტების პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში სარწყავი სისტემა საუცხოოდ იყო აწყობილი და მერე იმდენი მოვახერხეთ, რომ მიწაში ჩამარხული მილები ამოვიღეთ და თურქეთში ჯართად გავზიდეთ. ეს საკითხიც მოგვარდება, მილების ჩადება არ არის პრობლემა, მაგრამ...** ვერც წინა და ვერც მოქმედმა ხელისუფლებამ თავი ვერ დაადგა მიწის რეფორმას. გლეხებს საკუთრებაში არ აქვთ მიწების 70%-ზე მეტი, ისინი სახელმწიფო ბალანსზეა და გლეხიც იძლებულია, იჯარა გადაიხადოს, საიჯარო თანხა კი იმხელაა, ვერ აუდიან. **ყველა გადასახადის გადახდის შემთხვევაში, გლეხს ჰექტარზე 1200 ლარის შეტანა უწევს ბიუჯეტში და, თუ დიდ მასშტაბზეა საუბარი, ეს თანხა ასტრონომიულია.** მაგალითად, კახეთში ერთ-ერთმა ფერმერმა სახელმწიფოსგან ასი ჰექტარი აიღო იჯარით და ხორბალი დათესა. გვალვების გამო ის მოსავალი ვერ მიიღო, რომელსაც ელოდა და წლის ბოლოს სახელმწიფოსთვის 120 ათასი ლარი ჰქონდა გადასახდელი. ამას ემატება თითო ჰექტრის მოვლისთვის განკუთვნილი დაახლოებით 800 ლარი (დახვნა, დათესვა, შეწამვლა) და გამოდის, რომ **ასი ჰექტრის პიროგებში ხარჯი 200 ათასი ლარია. საკმარისია, ავდრის გამო, მოსავალი არ მოვიდეს, უზარმაზარი ვალი გაქვს წამოკიდებული და მიწის გადასახადი კი არა, სახლის გარეშე დარჩები.**

სხვათა შორის, **ედუარდ შევარდნაძის** პრეზიდენტობისას ჯერ კიდევ კომუნისტებისგან გამოყოლილი ინერციით მუშავდებოდა მიწები და სწორედ მაშინ ბადრიჯანი ადგილზე 3-5 თეთრი ღირდა, ანალოგიური ფასი ჰქონდა საზამთროს, პომიდორს... ანუ ჭარბი მოსავლის რეალიზაცია ვერ ხერხდებოდა, რადგან ქარხნები უკვე გაძარცვული იყო და გადამუშავება გამორიცხული გახლდათ. სამაგიეროდ, მოსახლეობა ყიდულობდა ნატურალურ პროდუქტს იაფად და ზამთარსაც მომზადებული ხვდებოდა. ახლა კი... **ზამთრის მარაგი კი არა, ადამიანების უმრავლესობა სეზონზე ძლივს ახერხებს, მიიღოს საკვები და ისიც ვაღიაროთ, რომ განსაკუთრებით ქალაქში, შინაურ პირობებში კომპოტების, მურაბებისა და სხვა სახის კონსერვების კეთება-შენახვის ტრადიცია ნელ-ნელა ქრება. ქრება არა იმიტომ, რომ დიასახლისები გაგვიზარმაცდნენ, არამედ იმიტომ, რომ ამის შესაძლებლობა აღარ აქვთ ადამიანებს.**

ისევ და ისევ, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება უნდა გავიხსენოთ, რომელიც სოფლის მეურნეობაში ჩადებულ არნახულ თანხებს ეხებოდა. ამასთანავე, იყო პირობა იმისა, რომ თითოეული სოფელი 5 მილიონს მიიღებდა. საქართველოში სოფლების რაოდენობისა და ბიუჯეტის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ეს პირობა განწირული იყო, მაგრამ, თუ სოფლის მეურნეობაში კონკრეტული მიზნისთვის ჩაიდებოდა მილიარდები, სოფლები თვითონვე უშველიდნენ თავს. **ფული მართლაც ჩაიდო, რომ გადავხედოთ, ლამის სამ მილიარდ ლარს დავითვლით და შედეგი არის ნული. პრინციპში, ნული რომ იყოს, რა უჭირს, მინუსებში ვართ წასული. ყოველწლიურად რომ იკლებს დამუშავებული მიწის ფართობი, ეს ყველაზე კარგად სწორედ სოფლის მეურნეობის სამინისტროში იციან და საამისოდ იცით, რას აკეთებენ? სწორია — არაფერს!** არ გრცხვენიათ მაინც, ზამთარში საქართველოს სომხეთიდან 35 მილიონი დოლარის ყურძენი რომ შემოაქვს? ჰო, საქართველოს, ღვინის ქვეყანას, ვაზის სამშობლოს, ზამთარში 35 მილიონი დოლარის ყურძენი შემოაქვს ერთადერთი მიზეზით — ქვეყანაში სამაცივრე მეურნეობა ვერ თუ არ აეწყო და, რომ აეწყოს, სახელმწიფოს კეთილი ნება და ბიუჯეტის სახსრებია საჭირო. მძლავრი სამაცივრე მეურნეობა არის გრძელვადიანი, მაგრამ ძალიან მომგებიანი და ეს გაიგო რეგიონში ყველა ქვეყანამ, საქართველოს გარდა. დიდი სამაცივრე მეურნეობები აქვს ირგვლივ ყველას, ჩვენ გარდა და ჩვენგან სეზონზე გააქვთ ხილი იაფად, ინახავენ მაცივრებში და ზამთარში იმ ხილს (ეს საუკეთესო შემთხვევაში, თორემ ძირითადად ნიტრატებიანს გვტენიან, ქართული პროდუქტი კი ევროპაში გააქვთ) ხუთჯერ ძვირად ვყიდულობთ ჩვენ. წესითა და რიგით, **კვერცხზე** მონოპოლიის მოსპობისა და ადგილობრივი წარმოების განვითარების შემდეგ, ფასი კლებისკენ უნდა წასულიყო, მაგრამ მოხდა პირიქით — გაძვირდა და თან როგორ — 41,6%-ით. ეს ჯანსაღი კონკურენციის ბრალი არ არის. ეს იმის ბრალია, რომ საფურაჟე ხორბალსა და სიმინდს ვერ ვაწარმოებთ და ქათმების საკვების 90%-იც შემოტანილია, საერთაშორისო ბაზარზე კი მარცვლეულის ფასებმა არნახულად მოიმატა, რეკორდულ ნიშნულს მიაღწია და ეს გაიგო ყველამ, ოღონდ ჩვენ — ვერა. წელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ თითიც კი არ გაანძრია იმისთვის, რათა მიწები დაემუშავებინა და, რომ გაიძახიან, სუბსიდიას აღარ განვახორციელებთ სოფლის მეურნეობაშიო, სახელმწიფომ ითავოს საკუთარი მიწების დამუშავება, ამხელა რუსეთში თუ გაამართლა, ჩვენთან რატომ ვერ გაამართლებს? მაგრამ არა, ამას შრომა სჭირდება, მოვლა სჭირდება, ადგილზე გასვლა და დათვალიერება სჭირდება და სად სცალიათ მაღალჩინოსნებს ამისთვის? უფრო მარტივი არ არის, აზიის ქვეყნებიდან შემოტანილი კარტოფილი ვჭამოთ და თვეში ერთხელ საბაჟოდან უკან გავაბრუნოთ, აქაოდა, კარტოფილის კიბო აღმოვაჩინეთო. **ასე გაგრძელება არათუ აღარ შეიძლება, ასე გაგრძელება დამღუპველია ქვეყნისთვის.** ჩვენ არ გვაქვს აწმყო და არ გვექნება მომავალი, თუ რაიმე არ ვიღონეთ. პირველ რიგში, **ხელისუფლებამ ყბადაღებული მიწის რეფორმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულოს, მიწები გააფორმოს, ოღონდ მკაცრი რეგულაციებით — ზედიზედ ორი წლის განმავლობაში მიწის უპატრონოდ დაგდება მისი ჩამორთმევით უნდა დაისაჯოს. გაქვს მიწა — კეთილი ინებე და დაამუშავე და, თუ არ ამუშავებ — სხვას მიეცი.** ახლა არ თქვათ, კერძო საკუთრებას ვერ შევეხებითო. კერძო საკუთრებას კი არა, სახელმწიფო ინტერესებს ეხებით ყოველდღიურად და ნერვიც არ გიტოკდებათ. გორის ბაზარში ვაშლი 4 ლარი რომ ღირს, ეგ არის ტრაგედია, თორემ, **ლევან დავითაშვილი** რომ გვიმტკიცებს, წლიდან წლამდე პრემიას არ ვიღებ და მხოლოდ ის 5 ათასი ლარი მყოფნის, რომელიც მინისტრის ჯამაგირიაო, სატირალი ნამდვილად არაა. აქამდეც აგვიტანია 5000-ლარიანი ჩინოსნების შენახვა და მომავალშიც ავიტანთ, მთავარია, საქმე აკეთონ, საქმე!

ბესო ბარბაქაძე

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ამ სამეულისთვის ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა წლებს ითვლის. არც უკრაინას, არც მოლდოვასა და არც საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მიულია. თანაც, ეს სტატუსი ნებისმიერ შემთხვევაში არ არისწევრობის გარანტია.

Politico: უახლოეს ათწლეულში უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა არ აქვთ

«მთავარია, ეს ქვეყნები გაიყვანონ რუსეთის გავლენის სფეროდან და არა მიიღონ ევროკავშირში»

„ეგრეთ წოდებულ ტრიოს — პროგრამა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მონაწილე სამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას — უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას — რომლებიც ყველაზე მეტად არიან მოტივირებულნი ევროკავშირში ინტეგრაციაზე, სურს, დაარწმუნოს ბრიუსელი, განაგრძოს დაახლოება. ამასთანავე, სამივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა აღიარებს, რომ უახლოეს მომავალში ევროკავშირის წევრის სტატუსს ვერ მოიპოვებენ“, — წერს ამერიკული გამოცემა Politico.

გამოცემის აზრით, ამ სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისთვის მთავარი არის სასარგებლო მეგობრობა ევროკავშირთან, თუმცა ბრიუსელმაც შეიძლება ნახოს სარგებელი „ტრიოსთან“ უფრო მჭიდრო ურთიერთობით, მისთვის მთავარი ხომ ის არის, რომ გაიყვანოს ეს ქვეყნები რუსეთის გავლენის სფეროდან. ამასთანავე, ევროპაში შიშობენ, რომ ტრიოსთან ევროკავშირის უფრო მჭიდრო ურთიერთობამ შეიძლება გამოიწვიოს დესტაბილიზაცია რეგიონში ან კონფლიქტის მიზეზი შეიქნას.

ამასთანავე, თვითონ „ტრიოს“ საქმეებიც ვერ მიდის სახარბიელოდ — „თითოეულ ქვეყანას დაუგროვდა პრობლემები“, — წერს Politico. მაგალითად, **უკრაინის** პრეზიდენტ **ვლადიმერ ზელენსკის** სახელმწიფო გადატრიალების ეშინია. ამის შესახებ მან რამდენიმე დღის წინათ გამართულ დიდ პრესკონფერენციაზე განაცხადა და ქვეყნის ყველაზე მდიდარი მაგნატი რუსეთთან ერთად მის წინააღმდეგ შეთქმულებაში დაადანაშაულა, თუმცა ბევრმა უკრაინელმა პოლიტოლოგმა ზელენსკის განცხადებას გამოგონილი უწოდა.

საქართველოში გრძელდება ღრმა პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც ბოლო არ უჩანს. ეს კრიზისი აფერხებს მთავრობის მუშაობას და საფრთხეს უქმნის ყველა დემოკრატიულ მონაპოვარს. ევროკავშირის მცდელობებმა კი, ჩარეულიყო და მოეგვარებინა შიდა კონფლიქტი საქართველოში, შედეგი ვერ გამოიღო.

„რაც შეეხება **მოლდოვას,** — აღნიშნავს გამოცემა, — იქ ნელ-ნელა ქრება თავდაპირველი ენთუზიაზმი და იზრდება იმედგაცრუება იმის გამო, რომ პროევროპული მთავრობა უუნარო აღმოჩნდა სახელმწიფოს წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების მიმართ“.

ამასთანავე, მოლდოვასა და რუსეთს შორის კიშინიოვისთვის ბუნებრივი აირის მინოდების შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ ბრიუსელში ლაპარაკი დაიწყეს რაღაც დამატებით ვალდებულებაზე, რომელიც თითქოს მოლდოვამ აიღო ბუნებრივ აირზე ლიალური ფასის სანაცვლოდ, რაც ევროკავშირის ეჭვსა და უნდობლობას იწვევს.

ყველაფრის მიუხედავად, სამივე ქვეყანა მტკიცედ აცხადებს, რომ სურს, გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, — აღნიშნავს Politico.

ევროპულ ოჯახში შესვლისკენ სწრაფვისა და თავისი სარგებლიანობის დასამტკიცებლად, მაგალითად, უკრაინა ევროპას სთავაზობს ბუნებრივი აირის თავისი დიდი საცავების გამოყენებას, მაგრამ, გამოცემის აზრით, ევროკავშირი, დიდი ალბათობით, ამ შეთავაზებას არ დათანხმდება, რადგან უკრაინაში არასტაბილური ვითარებაა.

„ამ სამეულისთვის ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა წლებს ითვლის. არც უკრაინას, არც მოლდოვას და არც საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მიულია. თანაც, ეს სტატუსი ნებისმიერ შემთხვევაში არ არის წევრობის გარანტია.

ყველაფრის მიუხედავად, ამ სამეულთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის მოსურნეებს სურთ, მას მისცენ შანსი, შექმნან სტიმულები, რომლებიც აიძულებს უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს, გაატარონ დემოკრატიული რეფორმები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოტივაცია შეიძლება ცოტა ხანში გაქრეს“, — შეშფოთებით წერს სტატიის ავტორი, Politico-ს ბრიუსელელი მიმომხილველი **დევიდ ჰერზენჰორნი** და დასძენს, რომ **ამ ქვეყნებმა, დიდი ხანია, ხელი მოაწერეს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირების შეთანხმებას და მიიღეს წვდომა ევროპის ბაზარზე, მაგრამ ბრიუსელი არც მალავს — ეს არ არის ევროგაერთიანების წევრობის გარანტია.**

სამეულის თითოეული წევრი, რომლებსაც ხელი მოწერილი აქვს ბრიუსელთან ასოცირების ხელშეკრულებაზე, სარგებლობს „თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ზონების უპირატესობებით“, რომლებიც მათ აძლევს ევროკავშირის საერთო ბაზრის მიმართ წვდომას. ეს მიდგომა ახალი არ არის. 2002 წელს ევროკომისიის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ **რომანო პროდიმ** მოუწოდა „დაახლოების პოლიტიკის“ განხორციელებისკენ, რომლის ჩარჩოშიც იყო მცდელობა, მოეძებნათ კომპრომისი ევროკავშირის ძალიან სწრაფად განვითარებასა და მეზობელი ქვეყნების ამბიციების მოთოკვას შორის.

„დაახლოების პოლიტიკა არ იწყება წევრობის დაპირებით და არ გამორიცხავს წევრობის შესაძლებლობას, — ამბობდა პროდი. — მიზანი არის ის, რომ გავრცელდეს ამ მეზობელ რეგიონზე ნაკრები იმ პრინციპების, ფასეულობებისა და სტანდარტებისა, რომლებიც განსაზღვრავს თვით ევროკავშირის არსს. მე მსურს, ვხედავდე „მეგობრების წრეს“ ევროკავშირისა და მათი ახლო მეზობლების გარშემო, მაროკოდან რუსეთამდე და შავ ზღვამდე“.

უკრაინის პრემიერმინისტრი დენის შმიგალი, საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მოლდოვის პრემიერმინისტრი ნატალია გავრილიცა და ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი

«ამ სამეულის წინაშე უნდა დაისახოს ამბიციური, ხელშესახები და მისაღწევი მიზნები ევროკავშირთან მჭიდრო ინტეგრაციისთვის. და, ვინაიდან წევრობის საკითხი უახლოეს მომავალში არ გადაწყდება, ამ ქვეყნების წინაშე აუცილებელია, დაისახოს შუალედური მიზნები, რომლებიც მათთვის შუქურებივით იქნება»

მაგრამ მეგობრების წრე ვერ შეიკრა, განსაკუთრებით რუსეთის სიახლოვეს და „ტრიოს“ მთავარი პრობლემა რუსეთის მიმართ პროვოკაციის მოწყობის რისკშია, რუსეთი ხომ აქტიურად ეწინააღმდეგება „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ინიციატივებს, რომლებიც მისი სახელმწიფოების წინააღმდეგ არის მიმართული?!

ევროკავშირის ზოგიერთი დეპუტატის აზრით, ამ „ტრიოსთვის“ ხელის კვრა არ შეიძლება დემოკრატიის განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი პროგრესიდან რეგრესის დადგომის მიუხედავად, ამიტომ ევროკავშირმა ყველაფერი უნდა გააკეთოს ამ ქვეყნებისთვის, თუ არ სურს მათი დაკარგვა.

„ამ სამეულის წინაშე უნდა დაისახოს ამბიციური, ხელშესახები და მისაღწევი მიზნები ევროკავშირთან მჭიდრო ინტეგრაციისთვის. ვინაიდან წევრობის საკითხი უახლოეს მომავალში არ გადაწყდება, ამ ქვეყნების წინაშე აუცილებელია, დაისახოს შუალედური მიზნები, რომლებიც მათთვის შუქურებივით იქნება“, — ამბობს საქართველოს „მოამაგე“ ევროპარლამენტარი ანდრიუს კუბილიუსი, რომელიც „დიდად განიცდის“, რომ ამ სამ ქვეყანას უწევს ლოდინი, სანამ ევროკავშირის კარი გაიღება.

სხვა სიტყვებით, მიუწვდომელი დიდი სტაფილოს გვერდით, რომელსაც ეწერება „ევროკავშირი“, „ტრიოს“ ცხვირწინ ჩამოკიდებენ ბევრ პატარა სტაფილოს, რომლებსაც, სურვილისა და დიდი მონდომების შემთხვევაში, შეიძლება მისწვდნენ... და ამით დაკავდებიან უკრაინა, მოლდოვა და საქართველო მომავალ ათწლეულში.

fondsk.ru-სა და iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა

გიორგი გაჩეჩილაძემ

თბილისში ესმით, რომ უარყოფენ არა რუსეთის, არამედ თურქეთისა და აზერბაიჯანის ინიციატივას, რომლებიც რეგიონში საკომუნიკაციო დერეფნების განბლოკვის შემდეგ წინა პლანზე წამოწევენ გლობალურ ეკონომიკურ პროექტებს. ამ გეგმების რეალიზაციის შემთხვევაში რეგიონული მოთამაშეების მიმართ თბილისის დამოკიდებულებას კორექტირება დასჭირდება. ახალი გეოპოლიტიკური განლაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოს რუსეთზე, თურქეთზე ან ირანზე ზემოქმედების მექანიზმის შექმნა შეეძლება.

გეოპოლიტიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გეოპოლიტიკური პასიანსები ამიერკავკასიაში: «3+3», «3+2» და «1+6»

ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ ამიერკავკასიაში იშლება ახალი გეოპოლიტიკური პასიანსი, რომელიც „ჯდება“ ე.წ. დიდ ახლო აღმოსავლეთში გაძლიერებულ გეოპოლიტიკურ ტურბულენტობაში. ამასთანავე, სათამაშო ბანქოს დასტა ძველი დარჩა, მაგრამ ხდება მისი ინტენსიურად აჭრა-არევა. თუ ბანქოს ტერმინოლოგიის გამოყენებას განვაგრძობთ, ახალ თამაშში იწყობა ერთ-ერთი ფერის კომბინაცია. მაგრამ თავდაპირველად, როგორც გამოცდილ მოთამაშეებს მიაჩნიათ, მნიშვნელოვანია ბანქოს განაწილება.

«ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკისა და რუსეთის, თურქეთისა და ირანის მონაწილეობით «3+3» ფორმატში საქართველოს ადგილი მანამდე შეუნარჩუნდება, სანამ თბილისი არ გამორიცხავს ასეთ დისკუსიაში მონაწილეობისთვის მზადყოფნას და, «თუ გაიმართება შეხვედრა, არადა, იგეგმება ამ ექვსი სახელმწიფოდან ერთ-ერთის დედაქალაქში შეხვედრის გამართვა, საქართველოსთვის ერთი სკამი ვაკანტური იქნება»

ცოტა ხნის წინათ კავკასიური „თამაშის“ მონაწილეების საწყისი პოზიციები ასე გამოიყურებოდა:

სომხეთი, როგორც კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციისა და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი, მიიჩნეოდა რუსეთის „სტრატეგიულ პარტნიორად“, მაგრამ 2018 წლის მაისში ხელისუფლების სათავეში **ნიკოლ ფაშინიანის** მოსვლის შემდეგ ქვეყნის საგარეო ვექტორი ევროპისა და აშშ-ისკენ გადაიხარა.

საქართველომ თავი წარმოაჩინა, როგორც პრო-ამერიკული და ანტირუსული გეოპოლიტიკური ორიენტაციის ფლაგმანად.

აზერბაიჯანი, რომელიც მოსკოვსა და ანკარას შორის ლავირებს, უფრო თურქეთთან ალიანსისკენ იხრება, რომელსაც გარკვეულ გარემოებებში შეუძლია, რეგიონში ამერიკელთა ინტერესების გამტარებელი იყოს. რეგიონში გარეშე მთავარი მოთამაშეები არიან **რუსეთი, თურქეთი, ირანი, აშშ** და **ევროკავშირი.** მათგან მოსკოვი და თეირანი პასიურად და უსისტემოდ მოქმედებდნენ და ამით, აშშ-ის მიერ გაცხადებული მისწრაფების ფონზე, ამიერკავკასიიდან გაეძევებინა რუსეთი და და არ დაუშვა ირანის გავლენის გაძლიერება, შექმნეს პირობები თურქეთის გავლენის გასაძლიერებლად რეგიონში. რაც შეეხება ევროკავშირს, მან კურსი აიღო ამიერკავკასიის ქვეყნების თანდათანობით მიზიდვისკენ დემოკრატიის სირთულეების გადალახვის გზით. **ევროკავშირმა პოზიციები გაიმყარა საქართველოში, ხოლო სომხეთში ხელისუფლების სათავეში ფაშინიანის მოსვლის შემდეგ დაიწყო სცენარის განხორციელება, რომლის მიხედვით რეგიონში უნდა შექმნილიყო „ერთიანი დემოკრატიული ფრონტი“ თბილისისა და ერევნის მონაწილეობით, მაგრამ ეს სქემა პრობლემას უქმნიდა ე.წ. კოლექტიურ დასავლეთს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, რადგან აირჩევანი უნდა გაეკეთებინა „დემოკრატიულ“ სომხეთსა და „ავტოკრატიულ“ აზერბაიჯანს შორის.**

ამ ამოცანის გადასაწყვეტად **დასავლეთმა შექმნა ბგული — საქართველო-აზერბაიჯანი, იმ გათვლით, რომ ქართული პლაცდარმიდან დაიწყებდა „დემოკრატიულ ექსპანსიას“, რადგან საქართველოზე გადის მთავარი ენერგეტიკული მარშრუტები ბაქოდან გარე ბაზრებისკენ.** შემთხვევითი არ იყო, რომ აზერბაიჯანში იმ ძალებმა, რომლებიც ორიენტირებულნი არიან შიდაპოლიტიკური ვითარების არევაზე, სხვადასხვანაირად გამოავლინეს თავი — ანუ ყარაბაღის მეორე ომის დაწყებამდე კავკასიაში გაჩნდა „დიდი თამაშის“ მზადების ნიშნები, რომელიც დაიწყო კიდეც 2020 წლის სექტემბერში და დასრულდა აზერბაიჯანის მიერ ადრე დაკარგულ რაიონებზე კონტროლის დამყარებით.

ამ სცენარში რუსეთმა თავისუფალი არბიტრის როლი შეასრულა, შედეგად მოიმატა მისმა პოლიტიკურმა წონამ და გააძლიერა გავლენა ამიერკავკასიაში. ამასთანავე, ამოქმედდა თურქეთის ფაქტორი, ზუსტად ისევე, როგორც ადრე იყო გამოყენებული ირანის ფაქტორი კასპიის პრობლემის გადასაჭრელად, რათა აღეკვეთათ ბაქოსა და მის უკან მდგომი ქვეყნების მცდელობები, კონტროლი დაემყარებინათ კასპიის ზღვის 75%-ზე.

შეიქმნა უნიკალური ვითარება, როცა რეგიონში რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ ჩართულობაში დაინტერესებული აღმოჩნდნენ ერთმანეთთან დაპირისპირებული სომხეთი და აზერბაიჯანი, გარე მოთამაშეებიდან კი — თურქეთი და ირანი. შედეგად „ამიერკავკასიის პასიანსში“ ძალთა განლაგება სწრაფად შეიცვალა, ისევე, როგორც გაფართოვდა მოვლენების მსვლელობაზე ზემოქმედების დიაპაზონი ამ რეგიონში.

ანკარა ბაქოსთან ერთად გამოვიდა ინიციატივით, ამიერკავკასიაში შეიქმნას რეგიონული უსაფრთხოების ფორმატი „3+3“ (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო + რუსეთი, ირანი, თურქეთი). ეს ფორმატი გამორიცხავს რეგიონულ „თამაშებში“ აშშ-ისა და ევროკავშირის მონაწილეობას. შემთხვევითი არ არის, რომ მას აქტიურად უჭერენ მხარს რუსეთი და ირანი. ამ პროექტისკენ იხრება სომხეთიც. რაც შეეხება საქართველოს, მან თავდაპირველად განაცხადა, რომ მზად არის, განიხილოს ამ გეოპოლიტიკურ ასპექტში მონაწილეობის ვარიანტები, მაგრამ აშშ-ის მხრიდან წნეხში მოქცევის შედეგად უარი თქვა ფორმატზე „რუსეთის მონაწილეობისა და მის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების, აგრეთვე, მასში აშშ-ისა და ევროკავშირის არყოფნის გამო“. **ამის ნაცვლად საქართველომ წარმოადგინა თავისი სქემა „3+2“, რომელშიც არ არის რუსეთი. არის სხვა ვარიანტიც: „1+6“ — აშშ, საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი. ეს ვარიანტი უფრო პასუხობს საქართველოს თვალსაზრისს საკუთარ თავზე, როგორც ევროპულ და პროდასავლურ ქვეყანაზე.** თბილისში, რა თქმა უნდა, ესმით, რომ ამით უარყოფენ არა რუსეთის, არამედ თურქეთისა და აზერბაიჯანის ინიციატივას, რომლებიც რეგიონში საკომუნიკაციო დერეფნების განბლოკვის შემდეგ წინა პლანზე წამოწევენ გლობალურ ეკონომიკურ პროექტებს. **ამ გეგმების რეალიზაციის შემთხვევაში რეგიონული მოთამაშეების მიმართ თბილისს დამოკიდებულებას კორექტირება დასჭირდება. ახალი გეოპოლიტიკური განლაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოს შეეძლება, რუსეთზე, თურქეთზე ან ირანზე ზემოქმედების მექანიზმის შექმნა.** თუმცა საქართველომ ადრეც ივაჭრა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრებით, მაგრამ **„3+3“ — ეს არის არა პოლიტიკური, არამედ პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ფორმატი და, აქ სულ სხვა ღირებულების საკითხია.** საქართველოს ზურგს დასავლეთი ვერ დაიცავს, ახალი სამხრეთიდან კი ზემოქმედება დაიწყება. შესაძლოა, სახელდობრ, ამიტომ **მოსკოვსა და ანკარაში ფრთხილად შეაფასეს თბილისის პოზიცია და „ხიდები“ არ დაწვეს, როცა თვითონ თბილისი ამ მიმართულებით ბევრ რამეზე დუმს.** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ანდრეი რუდენკომ** განაცხადა, რომ **„ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკისა და რუსეთის, თურქეთისა და ირანის მონაწილეობით „3+3“ ფორმატში საქართველოს მანამდე შეუნარჩუნდება ადგილი, სანამ თბილისი არ გამორიცხავს ასეთ დისკუსიაში მონაწილეობისთვის მზადყოფნას და, „თუ გაიმართება შეხვედრა, არადა, იგეგმება ამ ექვსი სახელმწიფოდან ერთ-ერთის დედაქალაქში შეხვედრის გამართვა, საქართველოსთვის ერთი სკამი ვაკანტური იქნება“.**

ამ საკითხზე მოსკოვში ყურადღება მიაპყრეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ **დავით ზალკანიანის** განცხადებას, რომ, **„რუსეთთან ურთიერთობაში სირთულეების მიუხედავად, ასეთ მსხვილ გეოპოლიტიკურ პროექტებში საქართველო რაღაც ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი“.**

საზოგადოდ, არის მოსაზრება, რომ ფორმატ „3+3“-ში შეიძლება ხელი მოეწეროს შეთანხმებას საქართველოსა და აფხაზეთს, აგრეთვე სამხრეთ ოსეთს შორის ძალის გამოუყენებლობის შესახებ, ისევე, როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ზავის შესახებ. ამასთანავე, გამორიცხული არ არის, რომ განიხილონ საკითხი სტეფანაკერტის სტატუსის შესახებ. ასეთ შემთხვევაში სხვა საფეხურზე ავა როგორც ჟენევის დისკუსია საქართველოს შესახებ, ასევე, ეუთოს მინსკის ჯგუფის საშუამავლო მისია ყარაბაღის საკითხზე.

2020 წლის 9 ნოემბერს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაზავების შეთანხმებაზე ხელმონერის შემდეგ ყარაბაღში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი შევიდა. დასავლეთი პროცესიის მიღმა დე ფაქტო დარჩა.

და მთავარი დასკვნა: ყარაბაღის მეორე ომმა აჩვენა, რომ დასალეთს არ აქვს ძალა და შესაძლებლობები, სერიოზული გავლენა იქონიოს ბაქოსა და ერევანზე, რაღაც გავლენა მოიპოვა თურქეთმა, მაგრამ მშვიდობისმყოფელი, რომელსაც პროცესზე რეალური გავლენა აქვს, არის რუსეთი.

regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
ნიკა კორინთელმა

მსოფლიო ომიანობის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სტალინის ძალა, ნიჭი, დიპლომატია და შორსმჭვრეტელობა იმაში გამოიხატება, რომ მან ყველაფერი გააკეთა ანტიჰიტლერული კოალიციის გასაძლიერებლად, რომ ცდილობდა, კოალიციის თითოეულ მონაწილეს კონკრეტული ვალდებულებები აეღო და უპირობოდ შეესრულებინა. სტალინი მოქმედებდა მტკიცედ, მაგრამ ტაქტიანად, პატივს სცემდა მოკავშირე ქვეყნებისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილე სხვა პოლიტიკურ თუ სამხედრო ლიდერებს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №40-43, 2021 წ.

საბჭოეთის ლიდერის ძალისხმევა მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის

სტალინი მიზნად ისახავდა ანტიფაშისტური ძალების გაერთიანებას, მათ მობილიზებას ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა საბჭოთა კავშირის, კაპიტალისტური ინგლისისა და შეერთებული შტატების სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, შემდეგ კი ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნების ალიანსი სტალინის შორსმჭვრეტელი პოლიტიკის შედეგია, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ომის შედეგზე. ამას წინ უძღოდა ბრძოლა საბჭოთა კავშირის აღიარებისა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების მხრიდან, ბრძოლა ერთობლივი უსაფრთხოების შესაქმნელად ფაშისტური გერმანიის, იტალიისა და იაპონიის წინააღმდეგ — ამ სამთა ბლოკის მხრიდან სსრკ-ის წინააღმდეგ კაპიტალისტური ძალების ერთიანი ფრონტის შექმნის თავიდან ასაცილებლად. და **რომ არა სტალინის შორსმჭვრეტელი და გარდამტეხი პოლიტიკა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დასათრგუნავად მოახლოებული იყო კაპიტალისტური სამყაროს უკვე გამოკვეთილი ალყა, რომლის გარღვევის გარეშე საბჭოთა ქვეყანა აღმოჩნდებოდა ურთულეს ვითარებაში.** სწორედ სტალინის დიპლომატიამ მოახერხა, ორი წლით გადაეწია ნაცისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების თავდასხმა საბჭოთა კავშირზე და ამ ხნის განმავლობაში სტალინმა შეძლო, გაეუმჯობესებინა ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ხოლო ფაშისტური აგრესიის დაწყებისთანავე დაიწყო ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა მსოფლიოს წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებთან მოლაპარაკებებით.

მიუხედავად ამისა, **არიან ისტორიკოსები და პოლიტიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მეორე მსოფლიო ომი სტალინმა დაიწყო, სტალინმა უბიძგა ჰიტლერს, სსრკ-ზე მიეტანა იერიში და რომ მეტისმეტად აფასებდა ჩერჩილისა და რუზველტის როლს ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში... მოკლედ, უმეცართა ფანტაზიასა და ტყუილს ნამდვილად არ აქვს ზღვარი.**

სტალინის ძალა, ნიჭი, **დიპლომატია და შორსმჭვრეტელობა იმაში გამოიხატება, რომ მან ყველაფერი გააკეთა ანტიჰიტლერული კოალიციის გასაძლიერებლად, რომ ცდილობდა, კოალიციის თითოეულ მონაწილეს კონკრეტული ვალდებულებები აეღო და უპირობოდ შეესრულებინა. სტალინი მოქმედებდა მტკიცედ, მაგრამ ტაქტიანად, პატივს სცემდა მოკავშირე ქვეყნებისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილე სხვა პოლიტიკურ თუ სამხედრო ლიდერებს.** მოსკოვთან ახლოს, დაახლოებით 20 კმ-ში, ფაშისტური გერმანიის ჯარების მოულოდნელი და შოკისმომგვრელი მარცხი ბრიტანელებისა და ამერიკელებისთვის სიურპრიზი იყო. ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა **უინსტონ ჩერჩილმა 1941 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში მოსკოვში გაგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი, რომელიც ბრიტანეთის დაზვერვის უფროსი და, ამასთანავე, ჩერჩილის სიძე გახლდათ. ჩერჩილმა მას დაავალა მოლაპარაკებების გამართვა საბჭოთა მხარესთან მოკავშირეობისა და ურთიერთდახმარების შეთანხმების და, აგრეთვე, მსოფლიოს შემდგომი სტრუქტურის მოწყობის შესახებ. ამასთანავე, იდენი უნდა დარწმუნებულიყო, შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს გერმანიის უძლეველი არმიის შოკისმომგვრელი მარცხის ამბავი, რადგან ინგლისშიც და შეერთებულ შტატებშიც სჯეროდათ, რომ 1941-1942 წლების ზამთარში საბჭოთა კავშირი ნაცისტური გერმანიის შეტევებს დიდხანს ვერ გაუძლებდა.** სსრკ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის ხელშეკრულების დადების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სტალინი **ვიაჩესლავ მოლოტოვთან** ერთად მონაწილეობდა იდენთან მოლაპარაკებებში. იმის გამო, რომ ბრიტანეთის მთავრობამ უარი თქვა 1941 წლის საბჭოთა საზღვრების აღიარებაზე, გადაწყდა, რომ ამ თემაზე მოლაპარაკებები სხვა დროისთვის გადაეტანათ. **სტალინმა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ იდენს რამდენიმე დღის წინათ მოსკოვთან ახლოს გათავისუფლებული ვოლოკოლამსკის მონახულება შესთავაზა. იდენმა დიდი ინტერესი გამოხატა. დათოვლილ მინდვრებზე იდენმა და მისმა თანმხლებმა სამხედროებმა საკუთარი თვალით იხილეს დამწვარი და გაპარტახებული გერმანული სამხედრო ტექნიკა — ტანკები, ცეცხლსასროლი იარაღები და ა.შ., ასევე, გერმანელი ჯარისკაცების ცხედრები. ნანახმა, რა თქმა უნდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იდენზე.**

1941 წლის დეკემბერში სტალინმა იდენს მოლაპარაკებისას მტკიცედ განუცხადა: „სსრკ-ის საზღვრების საკითხს... ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს... ომი სსრკ-სა და გერმანიას შორის წარმოიშვა დასავლეთის საზღვარების გამო, მათ შორის, ბალტიის სახელმწიფოთა გამო. მსურს, ვიცოდე, რომ ინგლისი, ჩვენი მოკავშირე, არის თუ არა მზად, მხარი დაგვიჭიროს ამ საზღვრების აღდგენაში“. აი, რას წერს იდენი ამ მოპალარაკების თაობაზე თავის მემუარებში:

„სტალინის შემოთავაზებული პროტოკოლი მიუთითებდა, რომ ლონდონის იმედები მასზედ, რომ საზღვრების განხილვა ატლანტიკური ქარტიის ზოგადი დებულებებით შემოიფარგლებოდა, არ გამართლდა. რუსებს თავიანთი მიზანი მტკიცედ ჰქონდათ განსაზღვრული, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა და რომელიც ეხებოდა რუსეთის საზღვრების მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფას სამომავლოდ... სტალინმა ბრჭყალები გვიჩვენა. მან დაიწყო იმით, რომ საბჭოთა საზღვრები 1941 წლის მიხედვით დაუყოვნებლივ უნდა იქნას აღიარებული, როგორც საზღვრები, რომელიც ომის შემდგომ სამშვიდობო ხელშეკრულებაში მკაფიოდ იქნებოდა გაწერილი.

იდენმა სტალინს ჰკითხა: — **რატომ ჩქარობთ ომისშემდგომი საზღვრების დადგენას, როდესაც ჰიტლერი ჯერ კიდევ ძალიან ახლოს არის მოსკოვთან, ბერლინი კი — საკმაოდ შორს?**

სტალინმა მყისიერად და თავდაჯერებით უპასუხა:

— არა უშავს, რუსები უკვე ორჯერ იყვნენ ბერლინში და მესამედაც აღმოჩნდებიან!

1941 წლის დეკემბერშივე ჩავიდა მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის სპეციალური წარმომადგენელი **ჰარი ჰოპკინსი,** რომელმაც სტალინთან შეხვედრის შთაბეჭდილებები ასე აღწერა:

„არ იყო არც ერთი ზედმეტი სიტყვა, ჟესტი, გრიმასი. მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ვესაუბრებოდი საოცრად გაწონასწორებულ მანქანას, ინტელექტუალურ მანქანას. სტალინმა ზუსტად იცოდა, რა სურდა თავად, რა სურდა რუსეთს და თვლიდა, რომ ჩვენც ვიცოდით ზუსტად... როგორც ჩანს, მას ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. ის თავისდაუნებურად აღვივებდა ადამიანებში რწმენას, რომ რუსეთი უსათუოდ გაუძლებს გერმანიის თავდასხმებს“.

ჰოპკინსი სტალინში ხედავდა გამორჩეულ, განსაკუთრებულ სამხედრო ლიდერს, რომლის გარშემოც შესაძლებელი იყო ანტიჰიტლერული ალიანსის მჭიდრო თანამშრომლობა. რუზველტიც ითვალისწინებდა ჰოპკინსის აზრს.

აი, როგორ აფასებდა რუზველტი სტალინს:

სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის შეხვედრა თეირანის კონფერენციაზე

სტალინი მეორე მსოფლიო ომში

დიდი სამამულო ომის საარქივო მასალები — 1200 ახალი დოკუმენტი პირველად იხილავს მზის სინათლეს «საქართველო და მსოფლიოს» ფურცლებზე

„ამ ადამიანმა ზუსტად იცის, რა სურს და ამ სურვილს ბოლომდე მიჰყვება. სასიამოვნოა მასთან მუშაობა. არანაირი მიკიბვ-მოკიბვა. ის სვამს საკითხს, რომლის განხილვაც სურს, და ამ საკითხიდან არ გადაუხვევს“.

ასევე საინტერესოა რუზველტის ვაჟის, პოლკოვნიკ **ელიოტ რუზველტის** მოგონებები:

„მამაჩემმაც და ჩერჩილმაც ბრწყინვალედ იცოდნენ ისტორია. სტალინს ისტორიასა და გეოგრაფიაზე თავისებური ცოდნა ჰქონდა. იგი ფლობდა ინგლისურ ენას, ბრწყინვალედ ესმოდა, მაგრამ არასდროს ამჟღავნებდა. ამას მაშინ მივხვდი, როდესაც ინტერვიუ ჩამოვართვი. იმხანად მე უკვე რუსული ენის კურსებზე დავდიოდი და ზოგჯერ, როდესაც ჩემი თანდასწრებით რუსულად მიმდინარეობდა საუბრები, კარგად ვხვდებოდი, რაზე მსჯელობდნენ. მე მივხვდი, რომ ის ისევე კარგად ფლობდა ინგლისურს, როგორც ის რუსები, რომლებიც მამას ხვდებოდნენ, გარდა პროფესიონალი თარჯიმნებისა. სტალინი ყურადღებით ისმენდა ყველაფერს, რაზეც ჩერჩილი და მამა საუბრობდნენ შეხვედრებზე, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად იცოდა, რაზე იყო საუბარი, ელოდა თარგმანს და ამით დროს იგებდა. მას უპირატესობა ჰქონდა ორივეზე, რასაც არასდროს ამჟღავნებდა“.

1942 წლის აგვისტოში, როდესაც კავკასიონის მთებში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა, მოსკოვში ამჯერად ჩერჩილი ჩაფრინდა მოლაპარაკებებზე და ამის შესახებ თავის მოგონებებში დაწერა:

„მე ჩემს მისიაზე ვფიქრობდი ამ პირქუშ და ბოროტ ბოლშევიკურ სახელმწიფოში, რომლის დახრჩობასაც დიდი მონდომებით ვცდილობდი მისი დაარსებისთანავე და რომელსაც ჰიტლერის გამოჩენამდე ცივილიზებული სამყაროს მომაკვდინებელ მტრად მივიჩნევდი. რა უნდა მეთქვა ახლა მე მათთვის?“ მოსკოვში ჩერჩილის ჩასვლის პირველივე დღეს, 12 აგვისტოს, შედგა პირველი შეხვედრა და საუბარი მას და სტალინს შორის, რომელიც დაახლოებით ოთხ საათს გაგრძელდა. საუბარს ესწრებოდნენ **მოლოტოვი,** ▶

«არ იყო არც ერთი ზედმეტი სიტყვა, ჟესტი, გრიმასი. მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ვესაუბრებოდი საოცრად გაწონასწორებულ მანქანას, ინტელექტუალურ მანქანას. სტალინმა ზუსტად იცოდა, რა სურდა თავად, რა სურდა რუსეთს და თვლიდა, რომ ჩვენც ვიცოდით ზუსტად... როგორც ჩანს, მას ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. ის თავისდაუნებურად აღვივებდა ადამიანებში რწმენას, რომ რუსეთი უსათუოდ გაუძლებს გერმანიის თავდასხმებს»

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲗᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ ᲘᲓᲔᲜᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲗᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲝᲚᲝᲙᲝᲚᲐᲛᲡᲙᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲐ. ᲘᲓᲔᲜᲛᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲐᲢᲐ. ᲓᲐᲗᲝᲕᲚᲘᲚ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲖᲔ ᲘᲓᲔᲜᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲗᲐᲜᲛᲮᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲘᲮᲘᲚᲔᲡ ᲓᲐᲛᲬᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲞᲐᲠᲢᲐᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ — ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲘ, ᲪᲔᲪᲮᲚᲡᲐᲡᲐᲠᲝᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘ ᲓᲐ Ა.Შ., ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲔᲓᲠᲔᲑᲘ.

1943 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ ᲙᲣᲠᲡᲙᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲨᲔᲘᲥᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ, ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲒᲐᲔᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ. ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲕᲐᲥᲒ: «ᲗᲣ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ»

ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ, ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში — **ᲙᲔᲠᲘ,** აშშ-ის ელჩი მოსკოვში — **ᲰᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘ.** ჩერჩილმა თავიდანვე იმედი გამოთქვა, რომ დიალოგი „მეგობრულ ვითარებაში“ წარიმართებოდა და რომ სტალინი ასევე „გულწრფელად ისაუბრებდა, რისი გაკეთება მიაჩნდა სასარგებლოდ ამ ეტაპზე“. შემდეგ აღნიშნა, რომ შეთანხმება მოლოტოვთან 1942 წლის მაისში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სიტყვებით, რადგან „ვერაფერს დაჰპირდება ამ წლისთვის“, და რომ ამერიკასა და ბრიტანეთს „არ შეუძლიათ განახორციელონ ოპერაციები სექტემბერში... მაგრამ, როგორც სტალინმა იცის, ბრიტანეთი და შეერთებული შტატები ემზადებიან მნიშვნელოვანი ოპერაციებისთვის 1943 წელს“. ჩერჩილმა ისაუბრა სადესანტო ძალების ნაკლებობასა და ამერიკული დივიზიების ჯერ კიდევ მცირე რაოდენობაზე ბრიტანეთის კუნძულზე და რომ, უბრალოდ, არაგონივრული იქნებოდა ამ წელს სადესანტო მოქმედებების დაწყება წარმატების გარანტიის გარეშე; დასძინა, რომ ემზადებიან, რათა ეს ოპერაციები დაიწყოს 1943 წელს.

სტალინმა ჩერჩილს შეკითხვით უპასუხა: „სწორად გავიგე თუ არა, რომ წელს მეორე ფრონტი არ გაიხსნება, რომ ბრიტანეთის მთავრობა უარს ამბობს საფრანგეთის სანაპიროებზე 6-8 სადესანტო დივიზიის გადასხმაზე ამ წელს?“ ამჯერად ჩერჩილმა ჰკითხა სტალინს, თუ რას გულისხმობთ მეორე ფრონტში. მას საბჭოთა ლიდერმა მოსალოდნელი პასუხი გასცა: — წელს დიდი ძალებით შეჭრას ევროპაში. იქვე მყოფმა აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა **ᲐᲕᲔᲠᲔᲚ ᲰᲐᲠᲘᲛᲐᲜᲛᲐ** მხარი აუბა ჩერჩილს და განაცხადა, რომ იგი ეთანხმება ბრიტანეთის პრემიერის განცხადებას.

„ვინც არ რისკავს, ომს ვერ იგებს, — განაცხადა სტალინმა და განაგრძო, — არ უნდა გქონდეთ გერმანელების მიმართ ესოდენ დიდი შიში“. სტალინის სიტყვებმა გააღიზიანა ჩერჩილი და სტალინს შეახსენა, რომ ინგლისი თითქმის მარტო ებრძოდა ჰიტლერის ჯარს 1940 წელს და გერმანელებმა ვერ გაბედეს ბრიტანეთში შეჭრა.

სტალინსა და ჩერჩილს შორის მოლაპარაკებები 13 აგვისტოს გაგრძელდა. ამ დღეს სტალინს მოლოტოვი ახლდა, ჩერჩილს — **ᲰᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘ, ᲑᲠᲣᲙᲘ, ᲙᲐᲓᲝᲒᲐᲜᲘ, ᲣᲔᲕᲔᲚᲘ** და **ᲢᲔᲓᲔᲠᲘ.** შეხვედრისას კვლავ წამოიწია წინა დღეს განხილულმა თემამ. სტალინმა აღნიშნა: „ბრიტანელები და ამერიკელები რუსეთის ფრონტს მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ, მე კი პირველხარისხოვნად მივიჩნევ“, რომ დასავლელი მოკავშირეები არ ასრულებენ დაპირებულ ვალდებულებას სსრ კავშირისთვის იარაღისა და სხვა საბრძოლო მასალების მიწოდების თაობაზე და „გვაწოდებთ იმას, რასაც არ დაგვპირებიხართ“, მაგრამ მადლობა გადაუხადა გადადგმული ნაბიჯისთვის. სტალინმა ბრიტანელ სამხედროებს შესთავაზა, დაინტერესების შემთხვევაში, გასცნობოდნენ საბჭოთა სარაკეტო ზალპურ სამხედრო დანადგარ „კატიუშას“ (რაც მეორე დღესვე მოხდა). შემდეგ სტალინმა აღნიშნა, რომ შემაჯამებელი კომუნიკე არ უნდა შეიცავდეს „შეუსრულებელ დაპირებებს“. ჩერჩილმა, თავის მხრივ, ხაზგასმით აღნიშნა: „მტერს არ უნდა მიეცეს საფუძველი, იფიქროს, რომ „მოკავშირეებს შორის უთანხმოებაა“. დასასრულ, სტალინმა ჩერჩილის თხოვნით დაწვრილებით ისაუბრა კავკასიის დაცვის გეგმაზე. იმავე საღამოს სტალინმა ჩერჩილის პატივსაცემად სადილი გამართა.

მარშალი **ᲒᲝᲚᲝᲕᲐᲜᲝᲕᲘ** მოგონებებში წერს: **„სადღეგრძელოები გრძელდებოდა. ჩერჩილს ჩვენ თვალწინ ეკიდებოდა სასმელი, აი, სტალინის ქცევაში კი არაფერი იცვლებოდა... როგორც ჩანს, ჩერჩილმა ზედმეტების ლაპარაკი დაიწყო, რადგან ბრუკი მას სახელოზე ექაჩებოდა, რა თქმა უნდა, შეუმჩნევლად. სტალინი კი ძალდაუტანებლად უსმენდა მისთვის საინტერესო საუბარს. დამშვიდობებისას ჩერჩილი სხვების დახმარებით გაიყვანეს. სტალინი მომიახლოვდა და მითხრა: „ნუ გეშინია, რუსეთს სასმელში არ დავამღერებ. აი, ჩერჩილი კი ხვალ კედელზე დაიწყებს თავის მიხეთქებას, როდესაც შეიტყობს, რას როშავდა“.**

კავკასიის ბრძოლების ყველაზე დაძაბულ დღეებში, კერძოდ, 1942 წლის 30 სექტემბერს, ჩერჩილმა სტალინს წერილი მისწერა საბჭოთა კავშირისთვის დახმარების თაობაზე და რომ ბრიტანელებს ჰქონდათ შემუშავებული გეგმა კოდური სახელწოდებით „Velvet“-ი. გეგმის მიხედვით, ბრიტანეთის მე-10 არმია მზად იყო კავკასიაში შესაჭრელად, მაგრამ ინგლისს ამით სურდა არა იმდენად საბჭოთა ჯარის დახმარება, რამდენადაც კავკასიაში არსებული ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდება.

1942 წლის ბოლოსა და 1943 წლის დასაწყისში დაიწყო საუბარი ინგლისის, აშშ-ისა და სსრკ-ის მთავრობების მეთაურთა სამმხრივი მოლაპარაკებების გამართვის შესახებ. თუმცა ფრონტზე შექმნილი რთული ვითარების გამო, სტალინი ვერ ტოვებდა ქვეყანას მოკავშირეების მიერ შეთავაზებულ ადგილებზე გასამგზავრებლად, მაგრამ დათანხმდა რუზველტის შეთავაზებას ორმხრივი მოლაპარაკების გამართვის თაობაზე. 1943 წლის 26 მაისს რუზველტი-სადმი გაგზავნილ წერილში სტალინი წერდა, რომ ასეთი შეხვედრა შესაძლებელია ჩატარდეს „ივლისში ან აგვისტოში“ ალასკაზე. დაგეგმილი შეხვედრა ჩაიშალა — 4 ივნისს ამერიკის პრეზიდენტის სახელით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვაშინგტონში 1943 წლის 12-25 მაისს გამართულ ინგლის-მერიკის კონფერენციაზე გადაწყდა, ერთი წლით გადადებულიყო მეორე ფრონტის გახსნა. 11 ივნისს აშშ-ის პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში სტალინმა შეახსენა დაპირება, რომელიც დასავლელმა ლიდერებმა 1943 წლის დასაწყისში დადეს საფრანგეთში თავიანთი შეიარაღებული ძალების გადასხმის თაობაზე არაუგვიანეს 1943 წლის სექტემბრისა. სტალინმა თავისი ჩვეული პირდაპირობით სიცრუეში დაადანაშაულა რუზველტიც და ჩერჩილიც და სიტყვაც არ დაუძრავს ორმმხრივ მოლაპარაკებაზე. ამავე პერიოდში, 1943 წლის მარტ-აპრილში, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი ეწვია აშშ-ს. ბრიტანული მხარე ყოველნაირად ცდილობდა საბჭოთა ლიდერის დარწმუნებას, რომ დიდი ბრიტანეთი არ აპირებდა შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებას სსრკ-ის ზურგს უკან, პირიქით — „სურს, ამერიკელებს აუხსნას, რა მნიშვნელოვანია სსრკ-ის აქტიური მონაწილეობა აბსოლუტურად თანასწორუფლებიანი პარტნიორის სტატუსით ომის შემდგომი საკითხების გადაჭრაში“. ვინაიდან სტალინი არ რისკავდა ქვეყნის დატოვებას, მისთვის მისარები იყო რუზველტის შეთავაზება — „რაც შეიძლება მალე გაეგზავნათ მოლოტოვი და რომელიმე ნდობით აღჭურვილი გენერალი ვაშინგტონში“. 1942 წლის 20 აპრილით დათარიღებულ პასუხში სტალინი აღნიშნავდა: „მოლოტოვი შეხვდება ბრიტანეთის მთავრობას ლონდონში აზრების გასაზიარებლად“. შეხვედრებზე მოლოტოვმა ორივე ლიდერთან განიხილა მთავარი საკითხი — 1941 წელს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა. მოკავშირეებმა სთხოვეს მოლოტოვს, ეცნობებინა სტალინისთვის, რომ ისინი **„იმედოვნებენ, წელს მეორე ფრონტი გაიხსნას“.**

მეორე ფრონტის გახსნა საკვანძო საკითხი იყო მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას. სტალინმა შეურიგებელი პოზიცია დაიკავა ამ საკითხზე. ის მკაცრად ითხოვდა, რომ ანგლო-ამერიკელ მოკავშირეებს შეესრულებინათ მთავარი ვალდებულება საბჭოთა კავშირის წინაშე და გაეხსნათ მეორე ფრონტი ევროპაში. ჩერჩილისადმი გაგზავნილ წერილში სტალინი წერდა: „ვვარაუდობ, რომ საბჭოთა კავშირის საომარი მდგომარეობა, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთისა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება თუ ჰიტლერის წინააღმდეგ შეიქმნება დასავლეთისა (საფრანგეთში) და ჩრდილოეთის (არქტიკაში) ფრონტები“. მეორე ფრონტის გახსნაზე მოკავშირეების უარი სტალინის უნდობლობას იწვევდა. 1942 წლის ოქტომბერში ამერიკელ კორესპონდენტთან ინტერვიუში სტალინმა აღნიშნა, რომ მოკავშირეების დახმარება არაეფექტური იყო იმასთან შედარებით, რასაც აწარმოებდა საბჭოთა კავშირი ბრიტანეთისა და ამერიკელების სასარგებლოდ, ვინაიდან გერმანიის არმიის მთავარი ძალები მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში. **სტალინი საქმის კურსში იყო, რომ იმავე წელს, 1942-ში, ჩერჩილმა მოამზადა საიდუმლო მემორანდუმი „ერთიანი ევროპის შექმნის შესახებ, რომელიც შეიცავდა ევროპის ქვეყნების, მათ შორის გერმანიის, გაერთიანებას ინგლისისა და აშშ-ის გარშემო „ბოლშევიკური ბარბაროსობის წინააღმდეგ საბრძოლველად“. შესაბამისად, ბრიტანელებმა და ამერიკელებმა სტალინს მეორე ფრონტის გახსნის ნაცვლად შესთავაზეს ჯარის შეყვანა სსრკ-ის ტერიტორიაზე ფაშისტური შემოსევისგან „დასაცავად“.** 1942 წლის ივლისში ჩერჩილმა მიმართა სტალინს, შუა აზიის ზოგიერთ რაიონში ინგლის-კანადური ჯარების გაგზავნის წინადადებით. ჩერჩილმა სტალინს ურჩია საბჭოთა ჯარების გაყვანა კავკასიიდან და იქ ბრიტანეთის ჯარების განლაგება ნავთობის საბადოების „დასაცავად“. მან იგივე შესთავაზა მურმანსკის მიმართაც. რუზველტმა კი სტალინს შესთავაზა ამერიკული საჰაერო ბაზების განთავსება საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის მოსალოდნელი აგრესიის „მოსაგერიებლად“. სტალინის პასუხი მოკავშირეთა ამ „დახმარებაზე“ იყო ერთი: „დიახ, ჩვენ გვიჭირს და ამიტომ სჯობს, ეს ჯარები გაგზავნოთ ფრონტზე, ხოლო დანარჩენს თვითონ დავიცავთ“.

1943 წლის აგვისტოში კურსკის ბრძოლის შემდეგ აშკარა შეიქნა, რომ საბჭოთა კავშირის არმიას დამოუკიდებლად, მოკავშირეთა დახმარების გარეშე შეეძლო გაენადგურებინა ნაცისტური გერმანიისა და მისი სატელიტების ჯარები. აშშ-ის პრეზიდენტმა თეირანის კონფერენციის წინა დღეებში უთხრა თავის ვაჟს:

„თუ რუსეთში ყველაფერი ისე გაგრძელდება, როგორც ახლა, მაშინ შესაძლებელია, რომ მომავალ გაზაფხულზე მეორე ფრონტის გახსნა საერთოდ არ იყოს საჭირო“.

სტალინს კი უწევდა ინტენსიური ბრძოლა არა მხოლოდ ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ, არამედ ბურჟუაზიული სახელმწიფოების რეაქციული ძალების ღია თუ ფარული მოლაპარაკებების წინააღმდეგ, რომლებსაც ისინი აწარმოებდნენ გერმანიის მთავრობასთან. მთელი ომის განმავლობაში სტალინის დიპლომატიური საქმიანობის ცენტრში იყო საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დაცვის საკითხი, ინგლისისა და შეერთებული შტატების რესურსების მაქსიმალური ჩართვა გერმანიის წინააღმდეგ ომში, სსრკ-ის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ომის შემდგომ პერიოდში, ქვეყნის საზღვრების დაცვა და სამშვიდობო მოლაპარაკებებისას სსრკ-ის მყარი პოზიციების გარანტიების მოპოვება.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲖᲕᲔᲚᲢᲘ

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

ბრძოლა ძალა-უფლებისთვის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უკრაინის მოქალაქეების დაახლოებით 65% დარწმუნებულია, რომ ქვეყანა „არასწორი მიმართულებით“ მიდის და მხოლოდ 18,6% გამოთქვამს ალტერნატიულ აზრს. ამასთანავე, უკრაინელები ქვეყნის მცდარ კურსს ზელენსკის პიროვნებას სამართლიანად უკავშირებენ — გამოკითხულთა 58,2% ეწინააღმდეგება მის კანდიდატურას მეორე საპრეზიდენტო ვადით (რასაც, უწინდელი დაპირების საწინააღმდეგოდ, აშკარად აპირებს).

უკრაინას პოროშენკოს რევანშისთვის ამზადებენ

სოციალური გამოკითხვების თანახმად, პეტრე პოროშენკოს პარტია „ევროპული სოლიდარობა“ უკრაინაში ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ძალაა, რომელმაც გადაუსწრო პრეზიდენტ ზელენსკის „ხალხის მსახურს“ და უკან ჩამოიტოვა პრორუსული ოპოზიცია. დიდი ალბათობით, ეს ამერიკელების დამსახურებაა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ პოროშენკო მალე რევანშს აიღებს ზელენსკიზე და ძალაუფლებას დაიბრუნებს?

პოროშენკო ქვეყანას სათავეში ახალი ეკონომიკური რღვევის პერიოდში ჩაუდგა მილიარდერის სტატუსით, ამასთანავე, უკან არაფერზე იხევდა — ატარებდა ხისტ პოლიტიკას, რომელიც ყოველთვის შეესაბამებოდა სისხლის სამართლის კოდექსს. ამ კაცს მრავალრიცხოვანი პირადი კავშირები აქვს ამერიკაში, რომლებსაც ყოველთვის ოსტატურად იყენებდა და ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ მისი პოლიტიკური ძალა ამ მხარეს უსაფრთხოდ იყო მხოლოდ ამერიკელების წყალობით. ბოლოს და ბოლოს, აშშ-იც არ არის დაინტერესებული, რომ ზელენსკიმ სრულად შეძლოს საკუთარი თავის, როგორც დიქტატორისა და უკრაინის ერთპიროვნული მმართველის, რეალიზება. ამ შემთხვევაში მისი მართვა ძნელი იქნება.

კიევის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის გამოკითხვები დროულად გამოქვეყნდა. ისინი ერთგვარად ასრულებს პოლიტიკურ სეზონს და წარმოაჩენს იმ ცვლილებებს უკრაინული საზოგადოების განწყობაში, რომლებიც ბოლო წლის განმავლობაში მოხდა. უფრო ზუსტად, იმ წლის განმავლობაში, როდესაც პრეზიდენტი **ვლადიმერ ზელენსკი** სწრაფი ტემპით აშენებდა პირად დიქტატურას. ამ გზაზე მან უკვე ბევრი რამ გააკეთა და ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამოქალაქეებმა ზელენსკის გაკეთებული არ დააფასეს.

უკრაინის მოქალაქეების დაახლოებით 65% დარწმუნებულია, რომ ქვეყანა „არასწორი მიმართულებით“ მიდის და მხოლოდ 18,6% გამოთქვამს ალტერნატიულ აზრს. ამასთანავე, უკრაინელები ქვეყნის მცდარ კურსს ზელენსკის პიროვნებას სამართლიანად უკავშირებენ — გამოკითხულთა 58,2% ეწინააღმდეგება მის კანდიდატურას მეორე საპრეზიდენტო ვადით (რასაც, უწინდელი დაპირების საწინააღმდეგოდ, აშკარად აპირებს). რაც შეეხება უკრაინელების პარტიულ და იდეოლოგიურ არჩევანს, ზოგადი სურათი იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოება დაბნეულია. დამდეგ უქმეებზე საპარლამენტო არჩევნები რომ ჩატარდეს, უმაღლეს რადაში გავიდოდა პარტიების რეკორდული რაოდენობა — ცხრა. ამასთანავე, პროსაპრეზიდენტო ძალა „ხალხის მსახური“ ხმების მხოლოდ 15%-ს მოიპოვებდა.

შეგახსენებთ, რომ ახლა ეს პარტია სრულად აკონტროლებს პარლამენტს. ბოლო არჩევნებმა მას უპრეცედენტოდ ბევრი მანდატი მისცა — 450-დან 254. ახლა ზელენსკი მსგავს რამეზე ვერც კი იოცნებებს. უკრაინის სახელმწიფოს მეთაურისა და მისი პარტიის პოპულარობის დაკარგვის მიზეზებზე ბევრი ლაპარაკობს, მაგრამ ახლა ორი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი გამოვყოთ.

პირველი — ზელენსკის მცდელობებს, „მოეთვინიერებინა“ ოლიგარქები და აეკრძალა მათთვის პოტენციური კონკურენტების მხარდაჭერა, ოლიგარქებმა მედიაომით უპასუხეს, რომელსაც ის ჯერჯერობით აგებს. ახლა გამუდმებულ საინფორმაციო თავდასხმებში სახელმწიფოს მეთაურის პოპულარობა იკლებს — მას ყოველდღიურად აკრიტიკებდნენ ის მედიასაშუალებები, რომლებიც ადრე ნეიტრალიტეტს იცავდნენ.

მეორე — „განქორწინებაა“ დიმიტრი რაზუმკოვთან, ყოფილ მოკავშირესთან, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ზელენსკის დიქტატურის დამყარებას, გამოიწვია გავლენიანი სპოილერის (პარტია ან კანდიდატი, რომელსაც არჩევნებში გამარჯვების შანსი არ აქვს, მაგრამ სხვა კანდიდატს ან პარტიას მომხრეებს ართმევს — ნ.ბ.) გაჩენა. ზელენსკის „ხალხის მსახურსაც“ და რაზუმკოვის „გონივრულ პოლიტიკასაც“ ერთი და იგივე ელექტორატი ჰყავთ ნიშანში ამოღებული. კიევის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის გამოკითხვით, უმაღლესი რადას ყოფილი სპიკერის, რაზუმკოვის, ახალი პარტია ხმების 9,9%-ს მოიპოვებს.

ამასთანავე, ომმა პრეზიდენტის ოფისსა და პარტია „ოპოზიციური პლატფორმა — სიცოცხლისთვის“ შორის, რომლის ერთ-ერთი ლიდერი **ვიქტორ მედვედჩუკი,** ფაქტობრივად, მძევლად აიყვანეს, თავისი შედეგი გამოიღო. საუბარია **ვიქტორ იანუკოვიჩის** „რეგიონების პარტიის“ ერთ-ერთ განაყოფზე, რომელიც ორიენტირებულია რუსულენოვანი სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის ხმებზე, დონბასში კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებასა და რუსეთთან ურთიერთობების აღდგენაზე. ახლა ამ ძალას ხმების მხოლოდ 9,2% აქვს და გამოკითხვის შედეგების მიხედვით მეხუთე პოზიციაზეა. სულ რაღაც, ერთი წლის წინათ, ზელენსკის პოლიტიკით იმედგაცრუების პირველი ტალღის ფონზე, „ოპოზიციურმა პლატფორმამ —სიცოცხლისათვის“, 20%-ზე მეტი რეიტინგით, პირველი ადგილი დაიკავა გამოკითხვებში. პარტია საგრძნობლად დასუსტდა ხელისუფლების მხრიდან დევნისა და შიდა სკანდალების გამო, რომლებმაც ასევე გააძლიერა სპოილერი. „რეგიონების პარტიის“ კიდევ ერთი განაყოფი — **ევგენი მურაევის** პარტია „ჩვენები“, „ოპოზიციური პლატფორმა — სიცოცხლისათვის“ მსგავსი მოსაზრებებით, თუმცა მის ლიდერებთან გადაუჭრელი პირადი უთანხმოებებით ახლა ხმების 5,3%-ს აგროვებს.

კიევის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის გამოკითხვის ლიდერად კი მოულოდნელად იქცა ექსპრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს „ევროპული სოლიდარობა“. „მოულოდნელად“, რადგან ეს ძალა და მისი ლიდერი გიგანტური ანტირეიტინგის გამო წარსულს ჩააბარეს. გამოკითხვის თანახმად, პროდასავლურ ნაციონალისტებს 17,1%-იანი მხარდაჭერა აქვთ, რომელიც ორჯერ მეტია მათ შედეგებზე ბოლო საპარლამენტო არჩევნებში. ეს არის „ოპოზიციური პლატფორმა — სიცოცხლისათვის“ წინააღმდეგ ზელენსკის ომის ლოგიკური შედეგი და პოლიტიკური დაპირისპირების კლასიკა, როდესაც ორი ძალის შეტაკებიდან გამარჯვებული გამოდის მესამე მხარე, როგორც კონფლიქტში ყველაზე ნაკლებად დაზარალებული. თუმცა არის ნიუანსი: **კიეველი პოლიტოლოგები, მიუხედავად მათი დამოკიდებულებისა ზელენსკისა და პოროშენკოს მიმართ, ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამჟამინდელ პრეზიდენტს ყოფილი პრეზიდენტის საბოლოო განადგურებაში ხელი შეუშალა აშშ-ის დამცავმა ორდერმა. სხვაგვარად შეუძლებელია იმ ფაქტის ახსნა, რატომ არის პოროშენკოსა და მისი გარემოცვის წინააღმდეგ აღძრული ორი ათეული (!) სისხლის სამართლის საქმე შეჩერებული და თითქოს მივიწყებული.** პოროშენკო ქვეყანას სათავეში ახალი ეკონომიკური რღვევის პერიოდში ჩაუდგა მილიარდერის სტატუსით, ამასთანავე, უკან არაფერზე იხევდა — ატარებდა ხისტ პოლიტიკას, რომელიც ყოველთვის შეესაბამებოდა სისხლის სამართლის კოდექსს, მაგრამ ამ კაცს მრავალრიცხოვანი პირადი კავშირები აქვს ამერიკაში, რომლებსაც ყოველთვის ოსტატურად იყენებდა და ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ მისი პოლიტიკური ძალა ამ ხნის განმავლობაში შედარებით უსაფრთხოდ იყო მხოლოდ ამერიკელების წყალობით. ბოლოს და ბოლოს, აშშ-იც არ არის დაინტერესებული, რომ ზელენსკიმ სრულად შეძლოს საკუთარი თავის, როგორც დიქტატორისა და უკრაინის ერთპიროვნული მმართველის, რეალიზება. ამ შემთხვევაში მისი მართვა ძნელი იქნება.

გამძლე იქნება თუ არა პოროშენკოს ფერფლიდან პოლიტიკოსად აღდგომის ტრენდი, დრო გვიჩვენებს, მაგრამ, ამჟამინდელი სოციოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, პროევროპელ ნაციონალისტებს აქვთ არცთუ ურიგო შანსი, მოიპოვონ კონტროლი ახალი მოწვევის პარლამენტზე. მრავალი სხვა გამოკითხვის თანახმად, პოროშენკო რჩება პოლიტიკოსების ანტირეიტინგის ლიდერად, ანუ იმ ადამიანად, რომლის გვარსაც ასახელებენ რესპონდენტები კითხვაზე **„ვის არ მისცემდით ხმას არავითარ შემთხვევაში“.** თუმცა „ევროპული სოლიდარობა“ შეიძლება იქცეს ნაციონალისტურად განწყობილი, პროდასავლური და, ამასთანავე, „ანტიზელენსკური“ ძალების კოალიციის შექმნის პლატფორმად. ასეთი ძალებია, მაგალითად, **იულია ტიმოშენკოს** „ბატკივშჩინა“ (გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მას ამომრჩევლთა 13,3% უჭერს მხარს), **იგორ სმეშკოს** პარტია „ძალა და ღირსება“ (5,4%), **ვლადიმერ გროისმანის** „უკრაინის სტრატეგია“ (5,4%), **ოლეგ ლიაშკოს** რადიკალური პარტია (5,4%).

ნათელია, რომ ასეთ სცენარში პირობითად პრორუსული ძალები გემბანს მიღმა აღმჩნდებიან და ძალაუფლებას ვერ მოიპოვებენ, თუმცა არც ზელენსკის საყრდენად იქცევიან — მათ შორის გადებული ყველა ხიდი დაიწვა. **ასეთ პარლამენტს შეუძლია, პრეზიდენტ ზელენსკის ცხოვრება გაუსაძლისად აქციოს. საზღვრის რუსული მხრიდან მის მიმართ თანაგრძნობის საფუძველიც არ არსებობს — მთელ რიგ საკვანძო საკითხებში ის კიდევ უფრო აუტანელი „პარტნიორი“ აღმოჩნდა, ვიდრე პოროშენკო. ეს ფაქტორები გასათვალისწინებელია უკრაინის მიმართ საშუალოვადიანი პოლიტიკის შემუშავებისას.**

რუსეთთან ურთიერთობის მომხრე იქ თითქმის აღარ დარჩა, ხოლო ისინი, ვინც ჯერ კიდევ არიან, ძალაუფლებაზე პრეტენზიას არ აცხადებენ. მომდევნო პოლიტიკურ სეზონზე ვინც უნდა ჩაიგდოს ხელთ უმაღლესი რადა, ის ხალხი იქნება, რომელიც თანმიმდევრულად აქცევს უკრაინას „ანტირუსეთად“.

vz.ru- ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
ნინო ბერიძემ

ლიბერალები ფიქრობდნენ, რომ ინტერნეტი იქნებოდა მათი უმძლავრესი იარაღი სრულიად მსოფლიოს ან თუნდაც დასავლეთის იდეურად გასათანაბრებლად, მაგრამ უცებ აღმოჩნდა, რომ ამ პროცედურის ოპონენტები წარმოუდგენლად ძლიერი არიან და იმავე რესურსებსა და პლატფორმებს, თქვენ წარმოიდგინეთ, წინააღმდეგობის გასაწევად იყენებენ.

«დემოკრატიის» სამიტი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ყველა დემოკრატიულ ქვეყანას ცენზურის შემოღებას თავისუფლების სახელით უბრძანებენ



ასპენის ინსტიტუტის (ჰუმანიტარული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი, არასამთავრობო ორგანიზაცია, დაარსებულია 1949 წელს — ნ.ბ.) მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამ საინფორმაციო ველზე კიდევ უფრო მკაცრი ცენზურის დაწესებით ლაგამი უნდა ამოსდოს განსხვავებულად მოაზროვნეებს აშშ-ში. ახლახან კი ჟურნალ FOREIGN AFFAIRS-ში გამოჩნდა სტატია, რომელშიც საუბარი დაახლოებით იმავე საკითხზეა, მაგრამ უფრო ფართოდ: «დემოკრატიის სამიტის» ყველა მონაწილემ ანალოგიურის გაკეთების ვალდებულება უნდა აიღოს

ნაცნობი თემაა, მასზე ამ დღეებში **იყო საუბარი ასპენის ინსტიტუტის მოხსენების მაგალითზე, რომ ინტერნეტი, სოციალური ქსელები და სხვა საინფორმაციო გარემო მოულოდნელად გადატვირთული აღმოჩნდა მონაცემებითა და მოსაზრებებით, რომლებიც არასგზით არ ემთხვევა ნამდვილი დემოკრატების — იმავე ბაიდენისა და მისი პარტიის წევრების, აგრეთვე, მათი ევროპელი თანამოაზრეების ორთოდოქსიას.** ლიბერალები ფიქრობდნენ, რომ ინტერნეტი იქნებოდა მათი უმძლავრესი იარაღი სრულიად მსოფლიოს ან თუნდაც დასავლეთის იდეურად გასათანაბრებლად, მაგრამ უცებ აღმოჩნდა, რომ ამ პროცედურის ოპონენტები წარმოუდგენლად ძლიერი არიან და იმავე რესურსებსა და პლატფორმებს, თქვენ წარმოიდგინეთ, წინააღმდეგობის გასაწევად იყენებენ.

ასპენის ინსტიტუტის (ჰუმანიტარული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი, არასამთავრობო ორგანიზაცია, დაარსებულია 1949 წელს — ნ.ბ.) მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამ საინფორმაციო ველზე კიდევ უფრო მკაცრი ცენზურის დაწესებით ლაგამი უნდა ამოსდოს განსხვავებულად მოაზროვნეებს აშშ-ში. ახლახან კი ჟურნალ Foreign Affairs-ში გამოჩნდა სტატია, რომელშიც საუბარი დაახლოებით იმავე საკითხზეა, მაგრამ უფრო ფართოდ: „დემოკრატიის სამიტის“ ყველა მონაწილემ ანალოგიურის გაკეთების ვალდებულება უნდა აიღოს.

ამ ახალი სტატიის ავტორი (**ნინა იანკოვიჩი,** სხვა სტატუსებთან ერთად, უკრაინის მთავრობის ყოფილი მრჩეველი) თავის რისხვას ძირითადად მიმართავს გარე მტრების — რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ, რადგან მიაჩნია, რომ ამ ქვეყნებმა ისწავლეს გავლენის გავრცელება არჩევნებზე მთელ მსოფლიოში და დასავლეთში ამჟამად მიმდინარე იდეოლოგიური რევოლუციის ნებისმიერ ოპონენტზე. მაგრამ ის აღიარებს, რომ დასავლურ საზოგადოებებშიც ბევრია იმ იდეოლოგიის მოწინააღმდეგე, რომელსაც დემოკრატიის რადიკალები უკვე რამდენიმე წელია ნერგავენ.

ამ გამოწვევაზე პასუხი, მისი აზრით, არის „ალიანსი ინტერნეტის მომავლისთვის“. **ინტერნეტი უნდა იყოს თავისუფალი. ანუ თავისუფალი ყველა და ყველანაირი რესპუბლიკელისგან, პოპულისტის, პატრიოტის, საზოგადად, ნამდვილი დემოკრატებისთვის უსიამო თვალსაზრისის მომხრეებისგან. ეს მოითხოვს ერთიან წესებსა და ტექნიკურ გადაწყვეტილებებს სამიტის ყველა მონაწილისთვის, მაგალითად, თუ „არასწორი“ ადამიანი (ან მთელი საიტი) აიკრძალება ერთ ქსელში, მას აღარ უნდა ჰქონდეს ფიზიკური შესაძლებლობა, გადაინაცვლოს სხვა ქსელებსა თუ პლატფორმაზე.**

მაგალითი, რომელიც ავტორს მოჰყავს, „დიდებულია“: ესაა „სკრიპალების მოწამვლის“ ისტორია. კერძოდ: როცა ლონდონის ერთგულმა მოკავშირეებმა მიიღეს შეტყობინება, რომ, რუსების გარდა, ამას ვერავინ გააკეთებდა, შეუმოწმებლად და დაუყოვნებლად დაიწყეს რუსი დიპლომატების გაძევება და სანქციების დაწესება. აბა, როგორ: თუკი დაპატენტებული დემოკრატები რაიმეს ამტკიცებენ, მაშასადამე, ეს სიმართლეა.

„დემოკრატიის სამიტზე“ მიწვეულია დემოკრატიის თვალსაზრისით ყველა საეჭვო სახელმწიფო“, — აფრთხილებს სტატიის ავტორი. ესენია **ბრაზილია, ფილიპინები, ინდოეთი** და ა.შ. ასე რომ, თუკი მიწვევის ღირსად ჩათვალეს, მაშინ სამიტის შემდგომ ისინი ვალდებულნი არიან, შეესაბამებოდნენ „კიბერჰიგიენის“ სტანდარტებს. დიახაც, საკუთარი ქვეყნის შიგნითაც — და, საერთოდაც, რა „შიგნით“ და „გარეთ“ ცნებებზეა ლაპარაკი საინფორმაციო სივრცეში? ამასთანავე, ეს კიბერჰიგიენა ძალიან დაეხმარება უკრაინის მსგავსი უცხოური ავტორიტარიზმის მსხვერპლთ.

თავი დავანებოთ იმას, **ვინ განსაზღვრავს, კონკრეტულად სახელმწიფოთა მთელი ჯგუფის მასშტაბით რისი დაწერა და თქმა შეიძლება და რისი — არა ამ კარგად ორგანიზებულ საინფორმაციო საკონცენტრაციო ბანაკში.** გასაგებია, რომ ასეთი ადამიანები არამხოლოდ გამოჩნდებიან ასპარეზზე, არამედ, დიდი ხანია, არიან და იბრძვიან არა მხოლოდ იმისთვის, რომ ლაპარაკი ყველას შეუძლია, არამედ იმისთვისაც, როგორ ილაპარაკონ, ანუ რა სიტყვებით. და აი, ცინცხალი მაგალითი ერთ-ერთი ძალიან არასწორი და არადემოკრატიული ადამიანის, მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორის, ამერიკელი **როდ დრეიერის** მასალიდან.

ის **ორუელისა** და საკუთარი წიგნებიდან მოყვანილი ციტატებით ყვება, რა ინსტრუქციებს უგზავნიან ევროკავშირის შტაბ-ბინის ბიუროკრატები თავიანთ მოხელეებს. იქ საუბარიც არ არის იმაზე, რომ ამ მოხელეებმა გააკრიტიკონ, მაგალითად, ევროპაში აფრიკელი მიგრანტების უკონტროლო შედინება ან ჰომოსექსუალთა ქორწინება და ა.შ. იქ ნაკარნახევია კონკრეტული სიტყვები, რომლებითაც ყველა მითითებული (და სხვა მრავალი) ფენომენი უნდა იქნეს მხარდაჭერილი, თანაც, ეს უნდა გაკეთდეს ნებისმიერ კომპანიასა და ნებისმიერ სიტუაციაში.

დარიგებული ინსტრუქციები დაყოფილია სამ გრაფად: თემა, არასწორი სიტყვები, სწორი სიტყვები. პირველი გრაფა: არ გამოიყენოთ სიტყვა „ევროპელები“ ევროპაში მცხოვრები ადამიანების აღწერისას, რადგან ყველა მათგანი არ არის ევროკავშირის მოქალაქე. მეორე გრაფა: „დღეს ყველა ევროპელი დაცულია ახალი წესებით“ (ამის თქმა არ შეიძლება). მესამე გრაფა: „დღეს ევროკავშირში მცხოვრები ყველა ადამიანი დაცულია ახალი წესებით“ — აი ეს შეიძლება.

ასევე, იქ არ შეიძლება ლაპარაკი გასული საუკუნის სამეცნიერო ფანტასტიკ მწერლების ოცნებაზე — მარსის კოლონიზაციაზე, საუბარი შეიძლება მხოლოდ მარსზე დასახლებაზე; იმიტომ, რომ ვინმე აფრიკელი შეიძლება განაწყენდეს სიტყვაზე „კოლონიზაცია“. ასევე ვერ იტყვი „შობა“-ს, შეიძლება თქვა „დღესასწაულები“, ვერ იტყვი „აზიელი“, უნდა თქვა „ვიზიტორები იაპონიიდან“ და სხვა ქვეყნებიდან. როგორ უნდა ილაპარაკო ლესბოსელებსა თუ ჰერმაფროდიტებზე, ისედაც გასაგებია. იქ ყველაფერი ძალიან დაწვრილებით წერია, დოკუმენტი ხომ დიდია და არც ერთადერთი. ასეთი ინსტრუქციები, დიდი ხანია, ვრცელდება წერილობითიც და ზეპირადაც, ხოლო მათ, ვისაც ინსტრუქციების შესრულება არ სურს, გააძევებენ, თუმცა არა ყველა პროფესიიდან, ასეთ ადამიანებს ფიზიკურად მუშაობის ნებას რთავენ (ჯერჯერობით).

რუსეთშიც მიმდინარეობს ფასეულობებისა და იდეების სასტიკი ბრძოლა და, თუ ვინმე ამბობს, მაგალითად, რომ არ ესმის გამარჯვების დღის აღნიშვნის აუცილებლობის, მას კარგა გვარიანად ხვდება. ის ხომ ჯერ მაინც გამოთქვამს მოსაზრებას და მისი სიტყვები ზოგჯერ უზარმაზარ აუდიტორიამდე აღწევს. ხოლო **დემოკრატების მიერ შემოთავაზებული ტოტალური ცენზურა ინტერნეტისათვის (და, საზოგადოდ, ცხოვრებისთვის), როდ დრეიერის სიტყვებით, ესაა, როდესაც „მალე აღარ იარსებებს არც ერთი ევროპელი, რომელსაც ჯერ კიდევ ემახსოვრება მეტყველებისა და წერის ძველი ხერხები, დარჩება მხოლოდ გაყალბებული საშუალებები, რომლებიც ანადგურებს ოჯახის, ეკლესიისა და ერის კონცეფციას“.**

ვფიქრობ, ჩვენთვის სასარგებლო იქნება ამ „დემოკრატიის სამიტის“ სრულად პირდაპირ ეთერში გადმოცემა, რომლის შემდეგ საშინელებათა ფილმები საჭირო აღარ იქნება.

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა

ნინო ბერიძემ

დემოკრატების მიერ შემოთავაზებული ტოტალური ცენზურა ინტერნეტისათვის (და, საზოგადოდ, ცხოვრებისთვის), როდ დრეიერის სიტყვებით, ესაა, როდესაც „მალე აღარ იარსებებს არც ერთი ევროპელი, რომლებსაც ჯერ კიდევ ემახსოვრება მეტყველებისა და წერის ძველი ხერხები, დარჩება მხოლოდ გაყალბებული საშუალებები, რომლებიც ანადგურებს ოჯახის, ეკლესიისა და ერის კონცეფციას“

ხელოვნება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უბნის ცენტრში ჩვენი, არცთუ ძალიან შორეული წარსულის ძეგლი — „ვიოლეტას განსვენებული ბაბუის მანქანაა. ნაომარი, ნაშტიკარი, ორი ხუთწლედი ოთხ წელში ნამუშევარი. გალამაზებული კამელიებით“.

«დაე, ცრემლები ხახვის ჭრისგან გვდიოდეს მხოლოდ»

2021 წლის 2 დეკემბერს გაბრიაძის თეატრში წინასაპრემიერო ჩვენება გაიმართა — სპექტაკლი «ალფრედი და ვიოლეტა». ავტორი და დამდგმელი მხატვარი — რეზო გაბრიაძე (ღმერთმა გაანათლოს მისი სული!), რეჟისორი — ლეო გაბრიაძე (ღმერთმა ხელი მოუმართოს!)

მარიონეტების სცენის სიბნელეში, ავანსცენის თავზე გამონათდება ძველი თბილისის ხანდაზმული მოქალაქის ხატება.

თოჯინაააო, ვერ ვიტყვი, თანაც მარიონეტი, იმდენად ადამიანურია და, წარმოიდგინეთ, ახლობელიც კი, რადგან წინაპრის ფესვების სურნელება მოჰყვება.

რეზო გაბრიაძეს ამ სასწაული წინამორბედისთვის პირველყოფილი გიდის მოვალეობის შესრულება დაუკისრებია. ისიც თავს არ ზოგავს და დიდი მონდომებით, დეტალურად აღგვიწერს მისდროინდელ თბილისს — რეზოს დახატულს, საუკუნის წინანდელი, შეიძლება ცოტა უფრო ხანდაზმული თბილისის ქუჩაბანდებს, წაქცევაზე მყოფ, მომთვრალო, სხვადასხვა დროსა და ჟამს აგებულ, გასაცოდავებულ და ერთმანეთთან ასე დანათესავებულ სახლებს.

„ესეც უბნის მშვენება — ჭიშკრები. ძველი, რევოლუციამდე ნაჭედი, 45 პროცენტით გადარჩენილი და ერთი ვერგადარჩენილის ქვედა ნაწილი, რომელიც განაგრძობს უკუღმა ბრუნვას.

მშვენიერების ნამდვილი გამოფენა, სამუზეუმო ან-ტიკვარიატი.

შუაში, რა თქმა უნდა, წყლის კრანი, ყველასი და არავისი ერთდროულად. წყლიანიც და უწყლოც“.

და ამ ყველაფერს, რაც მოვისმინეთ, თურმე ერთი სახელი აქვს — სახლი ნომერი 21, „აჩკო“, ბედნიერი რიცხვი. ამ სახლში მცხოვრები გოგოები შინაბერებად არ რჩებიან და, რაც მთავარია, ამ შენობას „ზევით აივანი ჰკიდია. პატარა, კანკალა“.

იქ დაიბადა და გაიზარდაო „მშვენიერი ვიოლეტა, ობოლი, უბნის მშვე-ნე-ბა, სილამაზის წყარო“. გარდაცვლილი დეიდის დანატოვარი „წითელკაბლუკიანი“ ტუფლებით...

და წავიდააა!..

თანდათან შეიგრძნობ, როგორ ეხვევი რეზო გაბრიაძის გენიალური შემოქმედების ლირიკულ სითბოსა და განუმეორებლობაში. გულში გვიხუტებს ყოველდღიურობის გაუცხოებისგან გრძნობადაკარგულ ადამიანებს, რომლებსაც შორიდან გვიახლოვდება „ბაიათი სევდა-კაეშნისა, დაკარგული სიყვარულისა, უიმედო გრძნობისა, გარდაცვლილი სურვილებისა, წაშლილი საფლავებისა“ („გედევანიდან“) და დაიწყება ამ ძიაკაცის დაპირებული ძალიან, ძალიან საინტერესო სიუჟეტი, რომლის მსგავსი არც მთხრობელს გაუგია, არც სხვა ვინმეს ამ უბანში მცხოვრებს.

უბნის ცენტრში ჩვენი, არცთუ ძალიან შორეული წარსულის ძეგლი — „ვიოლეტას განსვენებული ბაბუის მანქანაა. ნაომარი, ნაშტიკარი, ორი ხუთწლედი ოთხ წელში ნამუშევარი. გალამაზებული კამელიებით“.

ცოტაც და აქაურობა „აივსება ამ უბნის ხულიგნებით, სვოი ბიჭებით და კუკუც მოვა — ძაღლების ბელადი“, ირგვლივ კი დასტაევსკის გარდა „კრუგომ პუსტატაა“.

ამბის განვითარებას ფონად მიჰყვება ვერდის ოპერა „ტრავიატას“ ღვთაებრივი მუსიკა, რომელშიც ერთხელ, სადღაც მეორე პლანზე ჩაერთვება თბილისის ბიზნესის წვრილ-ფეხობის რეკლამა-შეძახილი: „ჯართს ვიბარებ, ჯაართს!“ ფონის ფონად.

თხრობა კი გრძელდება.

მე აქ ვსვამ წერტილს: გაბრიაძეების სპექტაკლის ხელიხელ საგოგმანებელ მარგალიტებს უშუალოდ რომ შეეხოთ და შუამავლის კარნახის გარეშე („ეს არის ანი, ეს არის ბანი“) ისიამოვნოთ.

და შეიტყოთ: — „კარლოს ბარაბასი (ყარაბას ბარაბასზე ბაზრობენ. — ა.ს.), სიმონ, რომ არის, არა? მაგარი დამპალი ვინმეა! ბიჭო, რას ებლატავებოდა ამ ბურატინოს?!

— კაცი რომ ანბანს გაყიდი პირველ სასწავლო დღეს და ცირკში წახვალ, ბიჭო, მოსაწონია, ეგ საქციელი?!. ბურატინო, სკოლამდე მაინც მიდი!

— დასტაევსკი ბურატინოს ნააბაროტ დაწერდა...

— როგორ?

— ბურატინო, ალია-ბალია, როგორი ვრედნი და ნასტირნია, აი იმას დაგანახებდა“.

ჩაერთვებით ამ ინტელექტუალურ დავაში და საკუთარ ტყავზე იგრძნობთ დღევანდელი სუპერდემოკრატიის უკიდეგანო თავისუფლების ეშხსა და მომხიბვლელობას.

* * *

სპექტაკლი კი გრძელდება, თქვენ მას უჩემოდ უყურებთ და პოზიტიური შთაბეჭდილებებით ისე ივსებით, ემოციებით ისე ხართ დამუხტული, რომ ლაპარაკიც კი გიჭირთ, ნანახის შეფასება — უფრორე.

„ალფრედი და ვიოლეტას“ განახლებული დადგმის საჯაროდ გამოტანას ადრეც აპირებდნენ, მაგრამ ვერ მოხერხეს ცნობილი მიზეზების გამო.

თქვენ იცით, რომ რეზო გაბრიაძეს ფილტვები ჰქონდა დაავადებული და ჟანგბადის მიმწოდებელი აპარატურა, რომელიც დღე და ღამ ჰქონდა ჩართული, მედიკამენტებთან ერთად მისი სიცოცხლის გარანტიად იყო მიჩნეული.

კარგა ხანს.

წარმატებით.

მაგრამ რომელიღაც მომენტში ორგანიზმის სასიცოცხლო მარაგი ამოიწურა.

არ წუწუნებდა, თავს არავის აცოდებდა, მაგრამ ძალიან განიცდიდა, რომ მეგობრებს ვერ ხვდებოდა.

ბოლო დროს პანდემიამ ხომ დამატებითი სიძნელეები შექმნა და მასთან დაკავშირებას ტელეფონითღა ვახერხებდით.

ხშირად. დღეში რამდენიმეჯერაც კი.

თავის უკანასკნელ რესპონდენტს — **ნანი ბრეგვაძეს** — რეზო მაქსიმალური გულახდილობით ელაპარაკებოდა.

უკანასკნელს იმიტომ, რომ იმ ავად სახსენებელ დღეს მასთან ტელეფონით საუბრის შემდეგ, ორიოდ საათში რეზო გაბრიაძე გარდაიცვალა...

ნანი, რომელიც მარიონეტების სპექტაკლს თავის ქალიშვილ **ეკა მამალაძესთან** ერთად ესწრებოდა, აღფრთოვანებული იყო წარმოდგენით.

— ემოციებით ვარ სავსე. მამა-შვილის ამ შემოქმედებით ნაყოფს რეზოს მადლი სცხია. ორმაგად დასაფასებელია ის, რომ ლევანმა მამის დრამატურგიას სრულად შეუნარჩუნა განსაკუთრებულობა, — იწყებს ჩვენს ინტერვიუს ესტრადის დედოფალი — ქალბატონი ნანი.

— **რამაც, უპირველესად, თავი იჩინა ლევანის შესანიშნავ ფილმში „ჰარი-ჰარალე, დედო“.**

— განსაკუთრებული ადამიანი იყო რეზო გაბრიაძე, საინტერესო პიროვნება. ჩვენი სატელეფონო რანდევუების დროს იგი უფრო ლაპარაკობდა, მე უფრო ვუსმენდი. არც კი ვიცი, როგორ გითხრა, ვეფერებოდი, სულ იმას ვეუბნებოდი, დიდი ადამიანი ხარ, დიდი პიროვნება, როგორ მიყვარხარ და ასე შემდეგ. იცინოდა, მოსწონდა. ეტყობა, აკლდა ასეთი დამოკიდებულება.

ვუკითხავდი მისი წიგნის — „გედევანის“ პირველი თავიდან ციტატებს, ძველი თბილისის სურათს რომ აღწერს, და გვესმოდა ერთმანეთის...

რეზო ყოველთვის იუმორით ახალისებდა საუბარს.

— **უამისობა წარმოუდგენელი იყო.**

— ერთხელ მარტის თვეზე მითხრა, — ქალივით ჭირვეული არისო, ხან კარგ გუნებაზეა, ხან — ცუდზე, ხან ეჭვიანობს უმიზეზოდ... ბევრს ვიცინოდი ამაზე. ცხოვრების მისეული შეფასება ყოველთვის განსხვავდებოდა ყველასგან. გენიალურად იყო განსხვავებული. ამიტომაც ვეძახოდი გენიოსს. სულ ძიებაში იყო, სულ რაღაც სიუჟეტებს ქმნიდა თავის გონებაში, საინტერესოს და სხვისთვის ხელმიუწვდომელს.

ერთხელ მოსკოვში გასტროლებზე რომ ვიყავი ჩასული, ჩვეულებისამებრ, დღის განმავლობაში ვისვენებდი, საღამოს ფორმაში რომ ვყოფილიყავი. ვცხოვრობდით საქართველოს წარმომადგენლობის სასტუმროში, საერთო საცხოვრებელს რომ ჰგავდა. აღმოჩნდა, რომ რეზოც იქ იყო.

მაშინ იყო, რომ ყოველ ნახევარ საათში, ზოგჯერ ცოტა მეტში, შემოდიოდა რეზო ჩვენს ნომერში და სულ ახალ და ახალ სიუჟეტებს მიყვებოდა, ნოველებს, მინიატურებს.

მომიყვებოდა. გავიდოდა. მისი მონაყოლი კარგად გააზრებული და აღქმული, მონელებულიც არ მქონდა, რომ იღებოდა კარი, შემოვიდოდა და ახალ ექსპრომტს მაცნობდა.

— **ასე იმიტომ ხდებოდა, ნანი, რომ მან შენში ყურადღებიანი და კეთილგანწყობილი მსმენელი იპოვა. ობიექტური შემფასებელიც.**

— შეიძლება, ასეც იყო, მაგრამ იმის აღწერა, რაც მაშინ ხდებოდა, ძალიან რთულია. გამაგიჟა — ასეთ ღრმაშინაარსიან ნაწარმოებებს ყოველ წუთს რომ ქმნიდა ადამიანი, ვერ წარმომედგინა, ფიქრადაც არ გამივლია. საგანგებოდ, კი არ წერდა, ასე აზროვნებდა.

შემდეგ, თანდათან როცა დავრწმუნდი, არ ვაწუხებდი, უფრო ხშირად ვურეკავდი. უხაროდა:

— შენ კი გენაცვალე, როგორ გამახარე!

მისი განცდა იყო ძალიან სუფთა და ძალიან სწორი.

უნდა გითხრა, რომ, საერთოდ, კარგად ვგრძნობ, ვინ როგორ მელაპარაკება, ტელეფონით თუ პირისპირ, ადამიანის ჩემდამი დამოკიდებულების ამოცნობა არ მიჭირს.

პირველად რომ დამირეკა, ტელეფონი კინაღამ ხელიდან გამივარდა. იცი რატომ? იმიტომ, რომ მანამდე სრულად იგნორირებული ვყავდი. მაგრამ ბოლო პერიოდში, როცა ჩვენი საუბრები ჩვეულებად ჩამოგვიყალიბდა, დარეკვას თუ ვერ მოვახერხებდი, რეზო აფორიაქებული უკავშირდებოდა ჩემს მეგობრებს — მანანა ახმეტელს, ციცინო ციციშვილს, მანანა გედევანიშვილს. არკვევდა: — გამიგეთ, გამაგებინეთ, რატომ არ დამირეკა? რამე ხომ არ ვაწყენინე? — ბავშვივით გულწრფელად ღელავდა.

ყოველთვის მპირდებოდა, რომ დამდეგ აპრილს ოქროყანის აგარაკზე მიმიპატიჟებდა:

— ფანჯრები ახალ ჩარჩოებში უკვე ჩავსვით და ძალიან მინდა, რომ ფანჯარასთან დაჯდე, მე შენ შეგხედო, შენ კი მე შემხედო, მიუხედავად იმისა, რომ ცუდი შესახედავი ვარო.

— **„მადონა ახალ ჩარჩოში“. რეზოს, როგორც ძირითადი პროფესიით მხატვარს, ასეთად ესახებოდი უთუოდ.**

— პასუხად ვუთხარი: — ყველაფრით ერთნაირად შემკობილი ადამიანი ბუნებაში არ არსებობს. შენ ისეთი ჭკუა და გონება გაქვს, შემოქმედი ადამიანის ისეთი ნიჭი გშვენის, რომ ლამაზზე შეუდარებლად მეტი ხარ! იუმორზე რომ არაფერი ვთქვა: წარმოუდგენელი!

— **შენ გაიხარე, ნანი!**

ამასთან დაკავშირებით ერთ ეპიზოდს მოგიყვები.

ვურეკავ.

მიპასუხებს:

— ბოშო, როგორ მომენატრე! ახლა უნდა გითხრა, რას ნიშნავს ჩემთვის შენი დარეკვა.

ზღვა ხომ იცი, ზღვა? ზემოდან აჯიგა რომ წაუსვა, შემდეგ — კარაქი, დაბოლოს — მურაბა! ჰ[illegible],

ალფრედი

სპექტაკლის პირველ ჩვენებას რაღაც, წვრილმანი ხარვეზები ყოველთვის თან სდევს, მაგრამ დრო, ბუნებრივი იუველირი, ოსტატურად დაამუშავებს, გააპრიალებს და წარმოდგენაც მაქსიმალურად გაბრწყინდება.

ხელოვნება

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეს მურაბა შენა ხარ!

— **ესე იგი, აჯიგასავით მწარე და ზღვასავით უსასრულო ცხოვრების სიმწარეს მიტკბობ და არსებობას მიადვილებო.**

ესეც ერთი ნაკვესი ნაპერწკალი გაბრიაძის იუმორის გენერატორიდან.

„ბრენდი!“

(ნანი იცინის გულიანად).

—- ახლა სხვა ამბავზე გადავხტები, ორმოცი წლის წინათ რომ მოხდა. მოსკოვში ჩვენი წარმომადგენლობის სასტუმროს სასადილოში (რესტორნად რომ იყო მონათლული, — **ა.ს.**) რეზომ მე და ციცინო ციცქიშვილი დაგვპატიჟა. არ ვიცი, რა საპატიო მიზეზის გამო, შეიძლება იმიტომაც, რომ დამეზარა, არ წავედი. ციცინო ჩავიდა და აუხსნა, რატომ ვთქვი უარი მიპატიჟებაზე. ისე ეწყინა, რომ ხმა არ ამოუღიაო.

ორმოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რეზო გაბრიაძემ თბილისში მოიწვია მიხაილ ჟვანეცკი, საბჭოთა კავშირში უცნობილესი სატირიკოსი-მწერალი და სცენარისტი. სტუმარმა მოითხოვა, რომ მისადმი მიძღვნილ მილებას, რომელიც თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში მოენყო, მეც დავსწრებოდი.

შესანიშნავი საღამო გამოვიდა. ვიმღერე, არა მგონია, ცუდად. ყველა მილოცავდა. ჟვანეცკი ძალიან კმაყოფილი დარჩა.

ერთადერთი, ვინც „ვერ მამჩნევდა, რეზო გახლდათ: მოსკოვში რომ გამინაწყენდა 40 წლის წინათ, ახსოვდა.

ასეთი ხასიათი ჰქონდა — მგრძნობიარეც და ჯიუტიც, გაკერპებამდე.

ორმოცწლიანი პრინციპული იგნორირების შემდეგ რომ დამირეკა, ისე გამიკვირდა, ისეთი მოულოდნელი იყო, აკი გითხარი, ტელეფონი ხელიდან კინაღამ გამივარდა ნერვიულობისა და უხერხულობის გამო.

მაშინ მკითხა: — დამირეკავ ხვალ?

ზეგისთვის დავპირდი, დასამშვიდებლად და აზრების დასალაგებლად დამჭირდებოდა ეს ორი დღე. ვერ დავურეკე. მაშინ დამიკავშირდა მანანა გედევანიშვილი და მითხრა, რომ ძალიან შეშფოთებულიაო ახლა უკვე ჩემგან იგნორირებული რეზო.

შევწუხდი და იმავე წუთში დავურეკე.

გაუხარდა.

აღვადგინეთ სატელეფონო ურთიერთობა — ადამიანების კონტაქტის ერთადერთი შესაძლებლობა კოვიდ-19-ის პანდემიის დროს. ბოლოს რომ დამირეკა, იცი, რა გავაკეთე?

— **არა!**

— როიალზე დავდე მობილური, დავუკარი და ვუმღერე რომანსი „სნეჟინკა“ (თოვლის ფიფქი). მითხრა, მოდი, ჩავწეროთ შენი ნამღერი „ალფრედი და ვიოლეტას“ განახლებული სპექტაკლისთვისო.

(შემდეგ გაიგებს ნანი, ლეო ეტყვის, გაბრიაძე, მამაჩემს სურდა, თქვენთან ერთად ემღერა და ამ მოულოდნელი ჩანაწერით გაელამაზებინა ალფრედისა და ვიოლეტას სიყვარულის ამბავი.

არ დასცალდა.

ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, თქმა ვერ გაგიბედაო).

— ლეო მომიყვა, რომ ჩვენი საუბრის შემდეგ ცუდად გახდა რეზო, წაიყვანეს საავადმყოფოში და იქ დასრულდა ამ დიდი ადამიანის ამქვეყნიური სიცოცხლე.

(პაუზა. ნანის ვთხოვ, ორიოდ სიტყვით მითხრას თავისი შთაბეჭდილება სპექტაკლზე, რომელიც ის-ის იყო, დამთავრდა).

— პირველი სპექტაკლი, რომელითაც დაიწყო გაბრიაძის თეატრის ისტორია, სამწუხაროდ, არ მინახავს. მითხრეს, რომ შედევრი იყო.

რაც დღეს ვნახე, მშვენიერია!

რამაზ ჩხიკვაძის და ეროსი მანჯგალაძის ხმას რომ გაიგონებ, პირველი სპექტაკლის ჩანაწერიდან ახალში გადმოტანილს და გამოყენებულს, კიდევ ერთხელ გაოცდები, მხოლოდ ხმით, მეტყველების განსაკუთრებული ნიუანსებით როგორ ახერხებდნენ სპექტაკლის გმირების ხასიათების შექმნას.

რა ხალხი წავიდა, ღმერთო, ერთიმეორეზე უკეთესები!

გენიოსები! თუმცა ეს ეპითეტი ჩემგან მხოლოდ რეზოს ეკუთვნის.

* * *

სპექტაკლის პირველ ჩვენებას რაღაც, წვრილმანი ხარვეზები ყოველთვის თან სდევს, მაგრამ დრო, ბუნებრივი იუველირი, ოსტატურად დაამუშავებს, გააპრიალებს და წარმოდგენაც მაქსიმალურად გაბრწყინდება ისე, როგორც რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრის უნიკალურ ისტორიას შეეფერება.

რას იტყვის ამასთან დაკავშირებით ამ თეატრალური სანახაობის დამდგენელი ლეო გაბრიაძე, ახლავე გავიგებთ მისთვის სახელდახელოდ ჩამორთმეული ინტერვიუდან.

ცოტა შორიდან დავიწყეთ.

— რეზოს და გია დანელიას ფილმ „ქინძაძაში“, ლეო, შენი, როგორც ერთ-ერთი კინოგმირის, მონაწილეობა იმის მიმანიშნებელი ხომ არ არის, რომ მამა იმთავითვე კინოინდუსტრიაში სამოღვაწეოდ გამზადებდა?

„ჰარი-ჰარალე, დედაო“ — შენი ფილმი მოწმობს, რომ აითვისე დიდი კინოსა და ანიმაციურის ხელოვნება სრული მოცულობით.

დასახული მიზანი მიღწეულია.

ასეა?

— სიმართლე გითხრა, ჩემი ბავშვობა დაემთხვა მამაჩემის კინოდან წამოსვლას. აღარ მოსწონდა კინოს კეთება და მაფრთხილებდა, არ ჩავყოლოდი ამ საქმეს, უარყოფითად იყო განწყობილი, არ ღირსო, მეუბნებოდა.

მამასთან ვმუშაობდი თეატრში. მერე ამერიკაში წავედი გრაფიკული დიზაინის და კომპიუტერული ანიმაციის შესასწავლად.

„ქინძაძაში“ უფრო „ბლატით“ მოვხვდი, რა თქმა უნდა. ბევრნი იყვნენ, ვინც გიამ გასინჯა, ალბათ, ჩემზე უკეთესებიც. „ქინძაძას“ შემდეგ კინომ მაინც არ მიმიზიდა. ალბათ, ეგეც რეზოს ჩაგონებით — არ ღირს, არ ღირსო. რახან თვითონ თეატრით იყო გატაცებული, მეც იქითკენ მეწეოდა, მაგრამ ოთხმოცდაათიან წლებში, სიტუაცია რომ შეიცვალა, გადავწყვიტე, სხვა საქმისთვის მომეკიდა ხელი.

ასე რომ, რეზომ პირიქით — კინოს განმარიდა.

რაც შეეხება „ჰარი-ჰარალე, დედაოს“. მანამდე 15 წელიწადი რეკლამაში ვმუშაობდი, როგორც რეჟისორი, ბევრ რეკლამას ვიღებდი. ამ საქმეში თემურ ბიქმამბეტოვმა ჩამითრია. შემიძლია ვთქვა, რომ კინოსკენ სწორედ მან შემაბრუნა: რამდენიმე ფილმიც გადავიღეთ თემურთან ერთად. პარალელურად რეზოსთან ვმუშაობდი — მას საოცარი უნარი ჰქონდა — თავის საქმეში ჩაერთო ნებისმიერი ადამიანი. უარს ვერავინ ეუბნებოდა. აჯადოებდა.

ანიმაციაც და კინოც რომ არის წარმოდგენილი „ჰარი-ჰარალე, დედაოში“, ორივე ერთად, იმანაც შემიწყო ხელი, რომ მანამდე ორი ფილმი მქონდა გადაღებული. როცა ამერიკაში ვსწავლობდი ანიმაციას, მაშინ დავიწყე ამ ფილმზე მუშაობა.

— „ალფრედი და ვიოლეტას“ განახლებულ ვარიანტს რა დაამატა რეზომ, რით შეავსო, რით გაამდიდრა? პირველი სპექტაკლი ისეთი დახვეწილი და გამოქანდაკებული იყო, ძნელად წარმოვიდგენდით რაიმეს შეცვლას. შედევრის ხელის ხლება დიდად სარისკოა, განა ასე არ არის? მაგრამ ავტორმა მაინც გადადგა ეს ნაბიჯი.

— დღევანდელი სპექტაკლი წინამორბედზე გაცილებით გრძელია: იყო 45 წუთი, ახლა საათი და 20 წუთი. პირველი, რაც შეცვალა, მოქმედება 1981 წლიდან 1991 წლამდე გადმოიტანა. ათი წლით ამოაჩოჩა. შემოიყვანა ახალი გმირები. ძველები, რა თქმა უნდა, დარჩნენ: ჟერმონი — ეროსი მანჯგალაძე, ნევერმორი — რამაზ ჩხიკვაძე.

(ედგარ ალან პოს ლექსის „ნევერმორის“ გავლენით. ასე უწოდებს თავის თავს შავი ძალების, ჯოჯოხეთისა და ყველა უბედურების სიმბოლო ყორანი, რომელიც გვიან ღამით ესტუმრება პოეტს. ყორანი რეზოსთან ანჩხლი ყვავის სახით არის წარმოდგენილი. გაბითურებული.

— ამ ყვავს ჰქვია ნევერმორი. სხვასაც ვიცნობდით — ბორის გაგარინს „ერმონია და რამონადან“. ბორისო, სიყვარულით რომ მიმართავდა ქალბატონი დომნა, მაყურებლის თვალწინ დაქვრივებული, რიონის სადგურის ვაგონების შემომვლელი.

ხოლო იმ ყვავის სახელი, რეზოს ოქროყანის აგარაკის კედელზე რომ ჰკიდია, არ ვიცი. მსტოვარი იყო, ჭორების მიმტანი პატრონისთვის. შებერტყილი ვინმე აბორიგენი).

— მოქმედების დროში გადმონაცვლებას ახალი გმირები დასჭირდა. რეზო თავის განცდებზე წერდა, გმირებს თავის განცდებს უსადაგებდა და ურიგებდა. 90-იანებმა ისეთი განცდა გამოიწვია, ისეთი გავლენა მოახდინა, რომ გვერდი ვერ აუარა.

— რეზო ხელიდან რომ გამოგვეცალა ყველას, უწინარეს ყოვლისა, შენ, სიმარტოვემ ხომ არ შეგაშინა?

— შიშით, არ დავმალავ, ახლაც შეშინებული ვარ. იმიტომ, რომ რეზოს საქმის გაგრძელება იმავე დონეზე, ძალიან რთულია. ეს შიში რამდენია, არ ვიცი.

ბოლო წლები ერთად ვცხოვრობდით, ერთ სახლში, რეზო იყო ამ სახლის ფუძემთავარი. ეგ რომ გამოგვეცალა, კუთხეებში დავრჩით მიყუჟულები. მისი ადგილის შევსება ძნელი არის იმიტომ, რომ განსაკუთრებული ადამიანი იყო ყოველმხრივ. მასთან ყოველი დალაპარაკება სავსე იყო დრამატიზმით ან იუმორით, ან განცდებით, არც კი ვიცი, როგორ ჩამოვაყალიბო... თქვენ მას ჩემნაირად იცნობდით და გამიგებთ.

უნიკალური იყო. ცეცხლად ენთო სახლში, ვთბებოდით და ვივსებოდით სიცოცხლის ძალით. ის რომ ჩაქრა, ყველანი, მარტო ხომ არ ვარ, ბავშვები, მთელი ოჯახი, ობლად დავრჩით. სულიერად დავობლდით...

— შენი რეჟისორობით დადგმული ეს სპექტაკლი მთელი სიკისკასით როდის წარმოჩნდება?

— თოჯინების თეატრი ისეა მოწყობილი, რომ მსახიობებს სჭირდებათ პრაქტიკა. საერთოდ, ყველა თეატრისთვის აუცილებელია ე.წ. ობკატკა, როგორც თეატრალურ წრეებში ვუწოდებთ.

— რა თქმა უნდა!

— საერთოდ, ამ პროცესს ერთი თვე სჭირდება, ყველაფერი თავის ადგილზე რომ ჩაჯდეს. სპექტაკლი სამჯერ ვითამაშეთ. პირველი რთულად წავიდა, მეორე — ცოტა უკეთესად. გუშინ, ანუ მესამედ, მიუახლოვდა კონდიციას. ასეთია თეატრალური პრაქტიკა — სპექტაკლს „გახურება“ სჭირდება.

— მსახიობები ახსენე, ჩემო ლევან, ამიტომ მინდა გთხოვო, შემოქმედებით კოლექტივზეც თქვა ორიოდ სიტყვა.

— კინოში, თეატრში მთავარი არის გუნდი. ჩვენი გუნდის წევრები, უკვე წლებია, ერთად ვართ — რეზოს არჩეული ხალხი. ამ საქმეში მეც აქტიურად ვიყავი ჩართული. ჩამოყალიბდა გუნდი, რომელსაც შეუძლია რთული ამოცანების გადაწყვეტა. გამიმართლა, რომ ასეთ გუნდში მოვხვდი, თითოეულმა თავისი საქმეიცის და ერთმანეთთან შეწყობილებიც არიან. ესეც რეზოს დამსახურებაა.

ჩვენს თეატრს სჭირდება დრამატული თეატრის მსახიობებიც. ყველა ცნობილი არტისტი რეზოს სპექტაკლებში მონაწილეობდა. ჩვენც ვეძებთ ახალ მსახიობებს, ახალ ხმებს. შეიძლება ითქვას, რომ გახმოვანებისთვის კარგი დასი ჩამოყალიბდა.

ანზორ ერქომაიშვილის დიდი წვლილია სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაში. ვერდის მისეული გააზრებით, გაქართულებით. ძველი ჩანაწერები გამოვიყენეთ. ბევრი ახალი მუსიკა შესრულდა სპეციალურად სპექტაკლისთვის.

ორი წლის ნამუშევარია.

— შემდეგ წარმოდგენას როდისთვის ველოდოთ?

— სპექტაკლის დადგმას ჩვენთან ორი წელიწადი მაინც სჭირდება. შემდეგი შეიძლება იყოს „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“. ორი წელიწადი გაჩერებული გვქონდა ტექნიკური მიზეზების გამო და გვინდა ახალი ვერსიით აღდგენა. მერე მოჰყვება რეზოს პიესები, რომლებიც დადგმული არ არის. ასეთებზე ლაპარაკი რეზოს არ უყვარდა. ჩვენც ამ პრინციპს ვიცავთ.

— სწორია.

— სხვას ვერაფერს გეტყვით. გარდა იმისა, რომ გეგმა ბევრი გვაქვს და მონდომება არ გვაკლია. ძალას არ დავიშურებთ, ჩვენი მაყურებელი კვლავ რომ გავახაროთ.

* * *

მადლიერი მაყურებლების გულწრფელი ტაშით დამთავრდა სპექტაკლი. ღირსეულად, როგორც ნაღდ თბილისურ ინტელიგენციას და სპექტაკლის ავტორებს ეკადრებათ, ისეთით.

ტაშ-ფანდური არ გაგვიმართავს. ყველა წავიდა — წყვილწყვილად და ცალ-ცალკე. როგორც მოვიდნენ, ისე. მაგრამ ჩაფიქრებულები — მარიონეტების სასწაული სპექტაკლის ხილვით მოჯადოებული.

რეზო თეატრში ჩასასვლელთან იდგა და გვეკითხებოდა:

— ხომ მოგეწონათ?

ეს იყო მისტიკა. ჩვენ წარმოდგენებში დაბადებული.

შავთელის ქუჩას ორი ქალი მიჰყვებოდა, ნახევრად ჩაბნელებულს, პოლუმრაკიან ქუჩას. ნანი ბრეგვაძე და მისი ქალიშვილი ეკა მამალაძე, ორი ვარსკვლავი ამ საღამოს — მხოლოდ მაყურებლების როლში. რეზო გაბრიაძე ამ იშვიათობაზე ექსპრომტად სიუჟეტს შექმნიდა.

— სასტუმროს ოთახში კარს შემოგიღებდა რეზო და აუცილებლად მოგიყვებოდა თავიდან ბოლომდე. არა, ნანი?

არმაზ სანებლიძე

გვოზდიკა

ტუტუცა

კუკუ


ვიოლეტა და არაბული აბასთუმანში

ვიოლეტა და ჟერმონი

იუბილარი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოეტი, მთარგმნელი, ფერმწერი, ხელოვნებათმცოდნე, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისა და ქვეყნის მიწისქვეშეთის, მღვიმე-გამოქვაბულთა მკვლევარი, გამოჩენილ მთამსვლელ ჯაფარიძეთა შთამომავალი იმერი ხრეველი — სიმონ ჯაფარიძე 80 წლისაა.

«გვაქვს უთვალავი ფერითა»

„ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს?
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი?!
სჯობს, რომ არ გქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!“

ტიციან ტაბიძე

იმერი ხრეველი — სიმონ ჯაფარიძე — 80

პოეტი, მთარგმნელი, ფერმწერი, ხელოვნებათმცოდნე, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისა და ქვეყნის მიწისქვეშეთის, მღვიმე-გამოქვაბულთა მკვლევარი, გამოჩენილ მთამსვლელ ჯაფარიძეთა შთამომავალი იმერი ხრეველი — სიმონ ჯაფარიძე 80 წლისაა. დაიბადა ქალაქ ჭიათურაში 1941 წლის 26 ნოემბერს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ხელოვნების ფაკულტეტები.

სტუდენტობიდან მოყოლებული კვლევითი, შემოქმედებითი და ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩეოდა. მოძიებული და ჩაწერილი აქვს მრავალფეროვანი პოეტური და მუსიკალურ-ფოლკლორული მასალა, რომლებიც შესულია ქართული ზეპირსიტყვიერების მრავალტომეულში. არის ჟურნალ „არმაღანის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, არაერთი მეცნიერული თუ ლიტერატურული წიგნის გამომცემელ-რედაქტორი და ათი წიგნის ავტორი, მათ შორის შვიდი ორიგინალური ნაწარმოებია, სამი თარგმანი — ბულგარული ხალხური პოეზია და **ჰაინრიხ ჰაინეს** ორტომეული (**ზურაბ აბაშიძესთან** ერთად შესრულებული).

ჩვენი იუბილარი სხვადასხვა პერიოდში გახლდათ დედაქალაქის კეთილმოწყობის სამმართველოს მხატვრული გაფორმების კომბინატის, შემდეგ საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსი. მისი თაოსნობით განხორციელდა რამდენიმე ექსპედიცია, გადაღებულია მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, „დედაენის მედალი“ და „ხატი“, **აკაკის** საიუბილეო და ქართულ-ბულგარული კულტურის დეკადა (საჩხერე-ჭიათურა, 1990), „გადარჩენილი სიმღერა“ (ტყიბული, 1998) „რგანის ღვთისმშობლის ხატის აღდგენა-დაბრუნება“ (თბილისი-ჭიათურა, 1995-2010). **ძმასთან, სახელოვან მეცნიერ და მწერალ ივანე ჯაფარიძესთან ერთად, მშობლიურ სოფელ ხრეითში, მამაპაპისეულ სახლში დააარსა მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემორიალური მუზეუმი.**

იმერი ხრეველი მრავალმხრივი ინტელექტუალია. საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირი „გიორგი“ წარმოგიდგენთ მის მხოლოდ რამდენიმე მიღწევას, რომლებიც, დარწმუნებული ვართ, ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება.

I-II. 1991 და 2002 გრაფიკულად განონასწორებულ წელიწადს, რომელთა მსგავსი თარიღები — 2992 და 3003 — ერთმანეთის გვერდით მხოლოდ ათასი წლის შემდეგ დადგება, სიმონ ჯაფარიძემ იმერი ხრეველის ფსევდონიმით გამოსცა ორი პალინდრომული წიგნი — „ორდარა დრო“ და „უკუთქმანი“. ორივეგან ყველა ნაწარმოები ორმხრივად, როგორც მარცხნიდან მარჯვნივ, ისე მარჯვნიდან მარცხნივ, ერთნაირად ასო-ასო იკითხება. ასე გაჩნდა ქართულ ლიტერატურაში 223 უჩვეულო ლექსი და დამკვიდრდა ამ მოვლენის გამომხატველი ტერმინი „უკუთქმანი“. მსოფლიოში „არც ერთ სხვა ენაზე არ შექმნილა წიგნი, ასეთი უჩვეულო ფორმით რომ მიეტანოს აზრი მკითხველამდე!“ ასე აფასებენ პოეტის ფენომენურ მიღწევას აღნიშნული წიგნების რეცენზენტები თუ გამომცემელ-რედაქტორები: **ზურაბ ასკანელი, ლევან ბრეგაძე, მაია გოგიშვილი, პაატა ნაცვლიშვილი, ია შენგელია...**

III. გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში შეტანილია არაერთი ქართული რეკორდი. მათ შორისაა 8 თანხმოვნიანი სიტყვა „გვფრცქვნის“, რომელიც მსოფლიოში აღრიცხულ 5445 ენას შორის (ბიბლიის ლექსიკონის ცნობა) თანხმოვანთა მიჯრითი რაოდენობის მიხედვით სწორუპოვარია. ბატონმა სიმონმა ერთხელ კიდევ მიმოიხილა ქართული ენის მდიდარი ლექსიკა, ქართული პოეზიის შესაძლებლობანი და იპოვა იშვიათი, მიჯრით 10-თანხმოვანშეწყობილი ქართული სიტყვა „განჰგვბრდღვნის“, მოხსნა წინა რეკორდი და გინესის დირექციას შესთავაზა ქართული ფენომენის ახალი ნიმუში.

IV. „განდეგილი“ და „ბეთლემის ლეგენდა“ არის დედამიწის ზურგზე ზღვის დონიდან უმაღლესი მართლმადიდებლური სამონასტრო კომპლექსისა და ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“ სამყოფელი გამოქვაბულის — მყინვარწვერის წმინდა ადგილის ვრცელი გამოკვლევა, რომლის საჟურნალო ვარიანტი ალმანახ „საგურამოში“ დაიბეჭდა.

V. გრიგოლ ორბელიანით დაწყებული (1865), დღემდე **გოეთეს** ერთი ლექსი-შედევრი „მწუხრის მგზავრული“ საქართველოში 80-ზე მეტი თარგმანითაა გამორჩეული. მათ შორის სამი ბატონ სიმონს ეკუთვნის.

VI. დიდი **იაკობ გოგებაშვილის** დაბადების (1840) 170 და „დედა ენის“ პირველი გამოცემის (1876) 135 წლისთავის აღსანიშნავად ჩვენმა იუბილარმა დახატა სიმბოლური ემბლემა-მედალიონი, ანუ კომპლექსურად წარმოგვიდგინა ვიზუალური პოეზიის ნიმუში — მსოფლიოში უმცირესი ვერსიფიკაციული პალინდრომი „აი ია“, რომლის საფუძველზე მოზაიკური ფერწერის დიდოსტატმა ნელი ბერაიამ შექმნა ძვირფასი ქვებით დამშვენებული იისა და ჯვრის, ღვთისმშობლისა და ქრისტეს, ხატი „ღვთიური კვადრატი“. ეს დიდებული ნაწარმოები დღეს სამების ტაძარშია დავანებული.

VII. ცნობილია, რომ კანფეტის სამშობლოა იტალია, მარმელადის — საფრანგეთი, შოკოლადისა — ესპანეთი.... ასეთ ვითარებაში სიმონის პროექტმა — **„ჩურჩხელადი, როგორც თანამედროვე შოკოლადის სადარი ბრენდი“** (ოქტომბერი, 2011) ქალაქ თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული კონკურსის ნომინაციაში „გამომგონებლები“ დიდი მოწონება დამსახურა. ამასთანავე, გამოჩენილი ქართველი მევენახისა და მეღვინის, სოფელ გულგულას (თელავი) მკვიდრ **სიმონ გიგიტელაშვილის** მიერ დამზადებული გიგანტი — მსოფლიო სარეკორდო ჩურჩხელის კვალდაკვალ ქვეყანას შესთავაზა ვაზის სამშობლო საქართველოში (გოდერძის უღელტეხილის მიდამოები) აღმოჩენილი 15 მილიონი წლის გაქვავებული ვაზის ღეროს სადიდებელი სარეკორდო „ჩურჩხელადი“ — სიგრძე — 15 მ, სისქე — 1,5 სმ.

კავშირ „გიორგის“ მეცადინეობით, გამოსაცემად მზადდება ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) სახალისო ენციკლოპედია „საქართველო — ოქროს საწმისის ქვეყანა“. ილუსტრირებულ ერთტომეულში თავს მოიყრის ყველა ქართული მიღწევა, მოვლენა და ფენომენი, რომელთა მონაცემები მსოფლიოში არსებულს უტოლდება ან აღემატება.

სიმონ ჯაფარიძე აღნიშნული გამოცემის ერთ-ერთი გმირია; ამასთანავე, არის კავშირ „გიორგის“ ყველა მნიშვნელოვანი პროექტის თანაორგანიზატორი და რედაქტორი. 93 წლის პროფესორი, გერმანისტი **ზურაბ აბაშიძე,** რომელიც მისი თანამოაზრე და თანამოკალმეა, წერს: „მარად მედინი დრო თავბრუდამხვევი სიჩქარით მიქრის და აგერ ჩვენი სიმონი 80 წლის გახდა. იგი აღორძინების ეპოქის მოღვაწეთა მსგავსი მრავალმხრივობით გამოირჩევა; მოხდა ისე, რომ ჩვენ გვიან გავიცანით ერთმანეთი, მაგრამ ამჟა-

გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში შეტანილია არაერთი ქართული რეკორდი. მათ შორისაა 8 თანხმოვნიანი სიტყვა «გვფრცქვნის», რომელიც მსოფლიოში აღრიცხულ 5445 ენას შორის (ბიბლიის ლექსიკონის ცნობა) თანხმოვანთა მიჯრითი რაოდენობის მიხედვით სწორუპოვარია. ბატონმა სიმონმა ერთხელ კიდევ მიმოიხილა ქართული ენის მდიდარი ლექსიკა, ქართული პოეზიის შესაძლებლობანი და იპოვა იშვიათი, მიჯრით 10-თანხმოვანშეწყობილი ქართული სიტყვა «განჰგვბრდღვნის», მოხსნა წინა რეკორდი და გინესის დირექციას შესთავაზა ქართული ფენომენის ახალი ნიმუში

1991 და 2002 გრაფიკულად განონასწორებულ წელიწადს, რომელთა მსგავსი თარიღები — 2992 და 3003 — ერთმანეთის გვერდით მხოლოდ ათასი წლის შემდეგ დადგება, სიმონ ჯაფარიძემ იმერი ხრეველის ფსევდონიმით გამოსცა ორი პალინდრომული წიგნი — «ორდარა დრო» და «უკუთქმანი» ორივეგან ყველა ნაწარმოები ორმხრივად, როგორც მარცხნიდან მარჯვნივ, ისე მარჯვნიდან მარცხნივ, ერთნაირად ასო-ასო იკითხება. ასე გაჩნდა ქართულ ლიტერატურაში 223 უჩვეულო ლექსი და დამკვიდრდა ამ მოვლენის გამომხატველი ტერმინი «უკუთქმანი» მსოფლიოში «არც ერთ სხვა ენაზე არ შექმნილა წიგნი, ასეთი უჩვეულო ფორმით რომ მიეტანოს აზრი მკითხველამდე!»

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვეკითხები ქოცებს, ნაცებს, სხვა პარტიებს — ყველას, ვინც აშშ-დასავლეთს ბრმად ეთაყვანება: ბატონებო, რა ჭკუაზე დადგებოდა და როგორი რეაქცია ექნებოდა ძია სემს, რუსეთს მექსიკის ან კუბის წყლებში ამ ქვეყნების მონაწილეობით სამხედრო-საზღვაო წვრთნები რომ გაემართა? ხომ დიდი უბედურება დატრიალდებოდა? ამას, უწინარესად, ძია სემი უნდა ჩაუფიქრდეს და, როგორც არაკეთილმოსურნე, თავის წვრთნებიანად საქართველოს გაეცალოს.

დიდი იაკობ გოგებაშვილის დაბადების (1840) 170 და «დედა ენის» პირველი გამოცემის (1876) 135 წლისთავის აღსანიშნავად ჩვენმა იუბილარმა დახატა სიმბოლური ემბლემა-მედალიონი, ანუ კომპლექსურად წარმოგვიდგინა ვიზუალური პოეზიის ნიმუში — მსოფლიოში უმცირესი ვერსიფიკაციული პალინდრომი «აი ია», რომლის საფუძველზე მოზაიკური ფერწერის დიდოსტატმა ნელი ბერაიამ შექმნა ძვირფასი ქვებით დამშვენებული იისა და ჯვრის, ღვთისმშობლისა და ქრისტეს, ხატი «ღვთიური კვადრატი» ეს დიდებული ნაწარმოები დღეს სამების ტაძარშია დავანებული

მად გვაქვს ახლო მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა. 2018 წელს გამოიცა სიმონისა და ჩემ მიერ თარგმნილი ჰაინრიხ ჰაინეს ლექსების ორტომეული...

მინდა მას შევკადრო და მის მიერ ჩემდამი მოძღვნილი ლექსის სტრიქონები მივართვა მასვე:

„ზემოდან უმზერს სამზეოს, ედემს უცქერს და ოცდება, —
ზეციდან ტუჩმიუდებლად ეტრფის მზე და იკოცნება...
ზღვის ზედაპირი უთვალავ სხივს რომ ირეკლავს სარკეში,
ზღვაზე უზღვავეს განძს ეძებს სიტყვების სარკოფაგებში!“

სიმონმა დღემდე შემოინახა ხალისი, იუმორი, შემოქმედებითი გზნება და მე ვუსურვებ მას ჯანმრთელობას, სიკეთეს და თავისი უამრავი შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებას“.

იუბილარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის არის პიროვნება, რომელმაც ერთბაშად დაკარგა მხედველობა, მაგრამ ერთი წუთითაც არ გაჩერებულა. მესამე წელია, პენსიონერთა პანსიონატ „მუხრანის სავანეში“ იმყოფება და უჩვეულო შემოქმედებით შრომას ეწევა. შედეგიც აშკარაა. გამოსაცემად მომზადებული აქვს რამდენიმე წიგნი, მათ შორის ეპოპეა „ქება ქართული ვაზისა“, რომლიდანაც ჭაშნიკად რამდენიმე ათეულ სტროფს გთავაზობთ.

ქება ქართული ვაზისა

I

დედამიწა ვიდრე ბრუნავს,
ვიდრე ღვინო იწურება,
ქართველ კაცს არ
მოსწყინდება
საოცარი ვაზის ქება.

ალვის ხესთან შედარებით
ვაზი მართლაც დაბალია,
კაცისა და ქვეყნის ბედი
ჩვენს მაცხოვარს აბარია.

ვაზო, ნაზო და ლამაზო,
დრო რომ გიდგას ყვავილობის,
ვერც სამოთხე შეგედრება,
ვერც ბაღები ბაბილონის.

ნაწვიმარ ცას მზე რომ უმზერს,
ცისარტყელა იბადება,
ვაზის ყვავილს უხარია,
მზის სხივით რომ მიწა თბება.

შენ ინახავ საიდუმლოს
ნაომარი ველებისა,
ხარ ბრძოლებში დაცემულთა
ხმად ხმოვნის და ხსენებისა.

სიკეთე რომ სიბრძნეს წერდა,
ბოროტება ნაწერს შლიდა.
დღემდე თუმც ამაოდ დაშვრა,
ვერ იქნა და ვერ დამშვიდდა.

ათასჯერ გადაბუგული,
გადამწვარ-გადანადაგი
ვენახი მაინც ვენახობს
და ქვევრებს გვივსებს
ბადაგით.

II

არასდროს არ მომწყინდება
მზერა ზვრის და მზერა ვაზის.
მარად დღეა მზერა მზისა
მზვერავი ამ სილამაზის.

მიწა ფესვებს ასაზრდოებს,
მზე ეღვრება სხივად ვაზებს,
მტევანშია თავმოყრილი
ცის და მიწის სილამაზე.

ვაზზე მწიფე მტევნის
მარცვლებს
სხივის ათინათი ანთებს,
როგორც საპატარძლოს ყელზე
უხვად ასხმულ ბრილიანტებს.

შემოდგომის ქარი დაქრის
და ვაზებთან უვლის დავლურს,
მზეც ხანდახან იჭიატებს,
ზვარს რომ თვალი გადაავლოს.

როგორც ვაზის წვრილი
ლერწი
ტკბილი ყურძნის მტევანს
იჭერს,
ასე ლექსის ტაეპები
ასხივებენ მარგალიტებს.

შენი ლხინით რომ სხვა ხარობს,
შენც ხარობ სხვისი ლხინითა,
ვენახი მტევნით იცნობა,
ხე — მსხმოიარე ხილითა.

მეზვრევ, ვაზების მოზარევ,
სამზერი გაგიმზიანდეს,
ზვარში ვაზები გიმრავლოს,
ერთიც არ დაგიზიანდეს.

III

ბევრჯერ მინახავს კახეთი,
არ დავიღლები ნახვითა,
ერთხელ სიზმარშიც ვიხილე
თავის პატარა კახითა.

ხე უმიწოდ რა ხე არის,
ნავი უწყლოდ რა ნავია,
რქაწითელი მეფე არის,
დედოფალი მანავია.

სადაც ბუხრის კვამლი
ბოლავს,
სადაც მამლის ყივილია,
იქ ნამდვილად ლხინი ლხინობს
და ტკივილი ტკივილია.

ვაზს ეტრფიან სატირები,
მტევანში ზის ღვინის ხვითო,
ბახუსს ლაგამს თუ მოუშვებ,
შეიძლება აიწყვიტოს.

ღვინოს ორმაგი მსმელი ჰყავს
ლოთობისა და ლხინისა,
ცოტა სმა ხალისს მოგიტანს,
ბევრი — სიწითლეს ცხვირისა.

ჰგავს ქართული ლხინის სუფრა
ზეცის მზიურ აგონიას,
აქ მართალთა განდიდება
ჩვენი გამონაგონია.

განჭვრეტის ნიჭი ჭკვიანს
აქვს,
რეგვენთან ვერას გახდები,
ვაზო, მიწაზეც ვაზი ხარ
და ხეზეც, როცა მაღლდები.

ჩხუბი და აყალ-მაყალი
ვიცი რომ დასაძრახია,
მაგრამ ახია იმათზე,
ვინც ვაჟას გაულახია.

ყველა ენაზე მღერიან
„ციცინათელას“, „სულიკოს“,
მინდა, სულ გემღერებოდეთ,
ლხინის ხალისი სულ იყოს.

დასასრულ, ნება მიბოძეთ დავასახელო მადლიანი მამულიშვილები, რომელთა უანგარო თანადგომით ურთულეს წავარნებს ძლევენ და ფართო მკითხველ საზოგადოებამდე აღწევენ უსინათლო პოეტის გულითადი სტრიქონები. მათი სახელებია: **ელენე აბაშიძე, ნინო არსენაშვილი, ზურაბ ასკანელი, ლევან ბრეგაძე, ირაკლი და ნატო ბრეგვაძეები, ნანა გოგრიჭიანი, ნაირა დოლიძე, გიორგი, ირაკლი და მეგი ვართაგავეები, ძეთევან მგალობლიშვილი, დავით მორგოშია, მედეა მოსულიშვილი, პაატა ნაცვლიშვილი, გოჩა სოზიაშვილი, ლევან სოლოღაშვილი, თამარ ფარჩუკიძე, თამაზ ქვლივიძე, ზურაბ ძობალია, ნანა ცქიტიშვილი, ტიტე ხუხუა, ქეთევან ჯაფარიძე...**

გვანჯი მანია,
ჟურნალისტი, კავშირ „გიორგის“ თავმჯდომარე

პოლიტიკური მინიატურები

საქართველოს გეოგრაფიული სივრცის კარნახით, მკითხველს განსასჯელად პოლიტიკურ მინიატურებს ვთავაზობ.

ახლახან, 9 ნოემბერს, ბათუმში აშშ-ის სამხედრო ხომალდი ვიხილეთ, რომელმაც საქართველოში სამხედრო-საზღვაო წვრთნებისათვის აღჭურვილობა ჩამოიტანა. ასეთი წვრთნები მეზობელი რუსეთის სიახლოვეს საქართველოს სარგებლობის ნაცვლად დიდად აზიანებს — რუსეთი მას ბორდერიზაციის, მავთულხლართების გავლების, მცოცავი ოკუპაციის პრაქტიკით პასუხობს.

ვეკითხები ქოცებს, ნაცებს, სხვა პარტიებს — ყველას, ვინც აშშ-დასავლეთს ბრმად ეთაყვანება: ბატონებო, რა ჭკუაზე დადგებოდა და როგორი რეაქცია ექნებოდა ძია სემს, რუსეთს მექსიკის ან კუბის წყლებში ამ ქვეყნების მონაწილეობით სამხედრო-საზღვაო წვრთნები რომ გაემართა? ხომ დიდი უბედურება დატრიალდებოდა? ამას, უწინარესად, ძია სემი უნდა ჩაუფიქრდეს და, როგორც არაკეთილმოსურნე, თავის წვრთნებიანად საქართველოს გაეცალოს.

* * *

უზნეობა-უხამსობის შედევრი ვუწოდე წიგნს, რომელიც „ბიბლუსის“ ვიტრინებში გასაყიდადაა გამოფენილი. მისი სახელწოდებაა „ყველაფერი ტრა* შია“; თურმე ყველაფერი ძია სემის უკანალში ყოფილა მოთავსებული. მრავლიმსთქმელია ის ფაქტიც, რომ ეს წიგნი ბესტსელერად არის აღიარებული. წიგნის ავტორი გახლავთ **მარკ მენსონი,** ხოლო ინგლისურიდან ქართულად მთარგმნელი — **დავით ახალაძე.** ბატონი დავითი აცხადებს, რომ წიგნი უხამსი გამონათქვამებითაა გამორჩეული. მადლობა მთარგმნელს, რომ მან ქართველ მკითხველს გააცნო ცხოვრების ამერიკული წესის მთელი სიბინძურე და ყოფიერება.

ვკითხულობთ წიგნს და ძალაუნებურად გვახსენდება მასთან მიახლოებული შორეული წარსულის ანალოგი — ფრანგი მწერლის **მარკიზ დე სადის** ვაითხზულებები, რომლებიც საზოგადოებაში ცნობილია, როგორც სადისტური.

გივი გურეშიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან

უზნეობა-უხამსობის შედევრი ვუწოდე წიგნს, რომელიც «ბიბლუსის» ვიტრინებში გასაყიდადაა გამოფენილი. მისი სახელწოდებაა «ყველაფერი ტრა*შია». თურმე ყველაფერი ძია სემის უკანალში ყოფილა მოთავსებული. მრავლიმსთქმელია ის ფაქტიც, რომ ეს წიგნი ბესტსელერად არის აღიარებული

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნაცრეჟიმის დროსაც ასე იყო და ასეა ახლაც: ის, რაც არ ეპატიება ნემსის ქურდს, ეპატიება მილიონების გამფლანგველს. სამართალმა პური ჭამაო, — ამბობს ხალხური სიბრძნე. ჰოდა, ამას ელოდება დღეს ერი და ბერი „ოცნების“ ხელისუფლებისგან, რომლისთვისაც ღირსებისა და ნდობის აღსადგენად ეს ერთადერთი შანსია.

«დიდპატარაობასა და მაღალდაბალობაზედ დაფუძნებული» სამართალი და «თვითთვეულის ჩვენგანის უფლების დარღვევა»

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

„კანონის მიერ მონიჭებული თანასწორობა საჯარო უფლებაა, ერთნაირად კუთვნილი ყველასი და მაშასადამე, ერთნაირად ძვირფასი ყველასათვის“ —

ეს სიტყვები დიდი ხნის წინათ თქვა დიდმა ილიამ, ამას გაიძახიან დღეს ნაცრეჟიმის შემოქმედის უსამართლობის მომსწრე ადამიანები და გულისწყრომას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბრალდებულის სკამზე მჯდომი მიხეილ სააკაშვილი სხვა პატიმრების ბედს არ იზიარებს — მისთვის დასაშვებია ის, რაც სხვას ეკრძალება.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, კანონის უზენაესობაზე საუბრობდა ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იმანუელ კანტი. მისი აზრით, სამოქალაქო მშვიდობის მისაღწევად აუცილებელია სამი რამ: საზოგადოების წევრთა თავისუფლება, თავისუფალ მოქალაქეთა კანონისადმი მორჩილება და თანასწორობა. შესაბამისად, კლასიკური გაგებით სამართლებრივი სახელმწიფო სამ უმთავრეს ელემენტს მოიცავს: **პირველი** — სახელმწიფო უნდა ემსახურებოდეს ადამიანებს (და არა, მაგალითად, მმართველს); **მეორე** — სახელმწიფო უნდა იყოს შეზღუდული ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებით, ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს თვითნებობის საშუალება; **მესამე** — სახელმწიფო უნდა იმართებოდეს რაციონალური კანონების საფუძველზე.

კანონის უზენაესობის პრინციპის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე საუბრობდნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ვაჟა-ფშაველა, სერგეი მესხი და სხვები. განსაკუთრებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის წერილი კანონის უზენაესობის პრინციპის შესახებ, რომელშიც ის წერდა: „კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითთვეულისა ცალკე ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება“.

აი ეს წერილიც:

„კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია“

«კანონის მიერ მონიჭებული თანასწორობა საჯარო უფლებაა, ერთნაირად კუთვნილი ყველასი და მაშასადამე, ერთნაირად ძვირფასი ყველასათვის. ამიტომაც იგი თანასწორობა ერთნაირად გასაფრთხილებელია, ერთნაირად საქომაგებელი, ერთნაირად დასაცველი, თუ კაცს ცოტა რამ ამ ქვეყნიერობისა შეუგნია და სიყვარული წესიერობისა და რიგიანობისა გულს ჩასახვია. დარღვევა ამნაირის თანასწორობისა თვითთვეულის ჩვენგანის უფლების დარღვევაა»

კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითთვეულისა ცალკე ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება. **იგი კანონი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდპატარაობას, მაღალ-მდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ. რაკი ერთისათვის ერთი კანონია და მეორესათვის მეორე, კანონი ჰკარგავს თვის უდიდეს მნიშვნელობას საყოველთაო მფარველობისას და შემწეობისას, რადგანაც თვის მადლს და თვის მსჯავრს ერთნაირად ვერ მოჰფენს ყველასა, ვინც კი მისკენ მიიმართება გაჭირების დროს.**

ბუნებითად კანონი ყველასათვის ერთნაირი დავალებაა, ერთნაირი უფლება და როცა იგი ერთს ერთნაირად ექცევა და მეორეს სხვანაირად, მაშინ იგი სხვა არა არის რა, თუ არ რჯულად შექმნილი უპირატესობა ერთისა მეორის წინაშე. ვერა წესიერად მოწყობილი მოქალაქური ცხოვრება ვერ შეიფერებს ამისთანა უსწორმასწორობას უიმისოდ, რომ თვითზედ არ გადაეგოს, პირქვე არ დაემხოს და **ამიტომაც არ არის ქვეყანაზედ არც ერთი იმისთანა განათლებული სახელმწიფო, საცა ყველას თანასწორობა კანონის წინაშე დედააზრად, სათავედ არ ედვას ყოველს კანონმდებლობას, ყოველს რჯულიერებას.** რუსეთის სახელმწიფოშიაც ეს თანასწორობა ყველასი კანონის წინაშე ცხადად გამოთქმულია. განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე II განსამართლების რჯულდებამ ეს თანასწორობა მტკიცე საფუძველზედ დააყენა რუსეთის იმპერიაში და აწ არსებული და მომქმედნი კანონები ყველას ერთგვარად და განურჩევლად უქადიან მფარველობას და შემწეობასა.

თუმცა რჯულიერება კანონის წინაშე ეგრე გვასწორებს ყველასა, მაგრამ **ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონ ცხოვრება, რომელსაც ჯერ ვერ აღმოუფხვრია ძირიანად ძველნი ზნენი და წადილნი, ჯერ კიდევ ეურჩება კანონს და დიდი ჰბედავს შებღალვას პატარის უფლებისას მარტო იმ აზრით, რომ მე დიდი ვარ და ის პატარაო. ამ მავნებელის ზნის აყოლა მიეტევება გაუნათლებელს კაცსა, იმისთანა კაცსა, რომელსაც არ ესმის, რომელსაც ჯერ ვერ მიუგნია, რა დიდი მადლია ქვეყნისათვის, კაცთა საზოგადოების ბედნიერად ცხოვრებისათვის თანასწორობა კანონის წინაშე. ხოლო არ მიეტევება მას, ვინც გარეგანის ნიშნებით მაინც საგულისხმოა, რომ სწავლაში ყოფილა, განათლების შუქი ცოტად თუ ბევრად მოჰფენია და თვის საზოგადოებაშიც იმისთანას მდგომარეობა აქვს, რომ მოეთხოვება სამართლიანი მართებული ქცევა ყველგან და ყველას წინაშე, დიდი იქნება თუ პატარა.**

ყოველივე ეს გვათქმევინა ერთმა შემთხვევამ, რომელიც დღეს ახალს ამბებშია დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. ერთი იმერელი მოსამსახურე გაუგზავნია თავის პატრონს ფაეტონის მოსაყვანად. დიდხანს ჰცდილა ეს მოსამსახურე, მრავალს მეფაიტონეებს შეჰხვეწნია, მაგრამ არავინ გამოჰყოლია. ბოლოს, როგორც იყო უშოვნია ფაეტონი. იქაც მახლობლად მდგარა სამი სამხედრო წოდების კაცი, ერთს მათგანს უბრძანებია მოსამსახურის მიერ დაჭერილ მეფაიტონესათვის, მე წამიყვანეო, მოსამსახურე უარზედ დამდგარა, ძლივძლივობით ვიშოვე ფაეტონი, ჩემი დაჭერილია და ვერ დაგითმობთო. სამხედრო წოდების კაცს ბევრი აღარ ულაპარაკნია, ფაეტონი წაურთმევია, დაუძახნია პოლიციელისათვის და უბრძანებია, ურჩი მოსამსახურე სადმე გამაცალეო. ამისთანა ძალმომრეობა ხშირია ჩვენში, მაგრამ იშვიათად გამომჟღავნდება ხოლმე. სამართლამდე რომ მიაღწიოს ამ საქმემ, რასაკვირველია, ამ ძალმომრეობას, მარტო დიდპატარაობასა და მაღალდაბალობაზედ დაფუძნებულს, თავისი შესაფერი მსჯავრი დაედებოდა, მაგრამ საწუხარო ეს არის, რომ დიდმა იცის, პატარა ამაებს არ გამოუდგება და დანაშაული შერჩება დამნაშავესა. უსათუოდ ამისთანა ბოლოც ექმნება ამ საქმესა: მოსამსახურე არ იჩივლებს და ეს ამბავი ჩაილულის წყალს დალევს. ჩვენ კი არ შეგვეძლო ხმა არ ამოგვეღო ამ საგანზედ.

კანონის მიერ მონიჭებული თანასწორობა საჯარო უფლებაა, ერთნაირად კუთვნილი ყველასი და მაშასადამე, ერთნაირად ძვირფასი ყველასათვის. ამიტომაც იგი თანასწორობა ერთნაირად გასაფრთხილებელია, ერთნაირად საქომაგებელი, ერთნაირად დასაცველი, თუ კაცს ცოტა რამ ამ ქვეყნიერობისა შეუგნია და სიყვარული წესიერობისა და რიგიანობისა გულს ჩასახვია. დარღვევა ამნაირის თანასწორობისა თვითთვეულის ჩვენგანის უფლების დარღვევაა და ამიტომაც საქებურია გულწყრომა იმისი, რომელმაც ეს ამბავი გვაუწყა ჩვენ გაზეთში დასაბეჭდად და სამართლიანია იგი გულამღვრევაც, რომელიც ამის მოამბეს უგრძვნია ამ ამბავის მოხდენის დროს. **ეგ თანასწორობა, ეგ საჯარო უფლება რომ დაუსჯელად ილახებოდეს, მაშინ ვერავინ კარშიაც ფეხს ვერ გამოჰყოფდა, რადგანაც პატარას დიდი არ დაელევა და დიდს კიდევ უფრო დიდი. ეს რომ ასე იყოს, მაშინ კაცთა საზოგადოება ცნობიერთა არსებათა კრებას კი არ წარმოადგენდა, არამედ შავის ტყის ნადირთა გროვას, საცა ვინც ძლიერია, მართალიც ის არის.** ჩვენდა სასიამოვნოდ, ამისთანა ამბებს აწ არსებული კანონები არ იწყნარებენ და სანატრელია, რომ არც ამ ზემოხსენებულს შემთხვევაში შეიწყნაროს.

* * *

„დიდპატარაობასა და მაღალდაბალობაზედ დაფუძნებული“ სამართალი არც ჩვენთვის არის უცხო. მსგავსი დამოკიდებულების შედეგად დატრიალებული ტრაგედიები გასცდა მხოლოდ ოჯახის ტრაგედიებს და საყოველთაო ხასიათი შეიძინა. დღეს საქართველოში არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც გაგონილი არ ჰქონდეს გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის ოჯახების შესახებ...

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მეოთხე მუხლის მიხედვით **„სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“, ძლიერთა ამა ქვეყნისა მისი დარღვევისთვის არ ისჯებიან.** კონსტიტუციითვეა განმტკიცებული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი; იმ კონსტიტუციით, რომლის თანახმადაც **„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.**

ილიაც გვეუბნება, რომ **„კანონის მიერ მონიჭებული თანასწორობა საჯარო უფლებაა, ერთნაირად კუთვნილი ყველასი და მაშასადამე, ერთნაირად ძვირფასი ყველასათვის“, ხოლო „დარღვევა ამნაირის თანასწორობისა თვითთვეულის ჩვენგანის უფლების დარღვევაა“.** მაგრამ, „დიდპატარაობასა და მაღალდაბალობაზედ დაფუძნებული“ სამართალი რაკი ძალაშია, ამაზე სააკაშვილის პრივილეგირებული პატიმრის სტატუსით სარგებლობაც მეტყველებს. არადა, **„ბუნებითად კანონი ყველასათვის ერთნაირი დავალებაა, ერთნაირი უფლება და, როცა იგი ერთს ერთნაირად ექცევა და მეორეს სხვანაირად, მაშინ იგი სხვა არა არის რა, თუ არ რჯულად შექმნილი უპირატესობა ერთისა მეორის წინაშე“.** ეს კი საზოგადოების არა მხოლოდ სამართლიან გულისწყრომასა და იმედგაცრუებას იწვევს, არამედ ბრალდებულ სააკაშვილისთვის სამართლიანი განაჩენის გამოტანასაც ეჭვქვეშ აყენებს.

ნაცრეჟიმის დროსაც ასე იყო და ასეა ახლაც: ის, რაც არ ეპატიება ნემსის ქურდს, ეპატიება მილიონების გამფლანგველს.

სამართალმა პური ჭამაო, — ამბობს ხალხური სიბრძნე. ჰოდა, ამას ელოდება დღეს ერი და ბერი „ოცნების“ ხელისუფლებისგან, რომლისთვისაც ღირსებისა და ნდობის აღსადგენად ეს ერთადერთი შანსია.

ღირებულებათა ერთი შტო სექსუალურ ორიენტაციაშეცვლილთა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების განმტკიცებაა. განმტკიცება კი არა, ამათ ისეთი გავლენა მოიპოვეს, ისე დამკვიდრდნენ ქვეყნების ხელმძღვანელობებში, სახელმწიფო ორგანოების სათავეში, რომ სუპერსახელმწიფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკის თუნდაც მსოფლიო ლიდერთა კადრებით მომარაგება პრაქტიკულად მათ ხელში გადავიდა. მსოფლიო ქვეყნების პროპაგანდისტული მანქანა მათზეა აწყობილი.

25-ე გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გიჟების ადგილი ციხის ლაზარეთშია

— მე საკუთარ თავზე კარგი წარმოდგენის ვარ. საკმარისი იყო, ორი დღის წინათ ტელეპროგრამაში მეთქვა, — დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ბორისი კლოუნიაო, რომ დღის მიწურულს ტელეეკრანზე გამოხტა საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი და დაადასტურა:

— ბორისი კლოუნია!

მათ შორის დღეს დიდი კონკურენციაა: ვინ უფრო მეტი კლოუნია — ინგლისის პრემიერი ბორისი თუ უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირი, ჯონსონი თუ ზელენსკი.

პოლიტიკა ცირკის არენად აქციეს ევროპის ლიდერებმა, ამ შემთხვევაში — სამმა მათგანმა. „თუ ამ აჭრილი შემადგენლობიდან ორი პროფესიის გამო გახდა სამასხარაო, მესამე — თანდაყოლილი თვისებების წყალობით“, — განაცხადა ავტორიტეტულმა ისრაელელმა ანალიტიკოსმა იაკობ კედმიმ.

იაკობ კედმი

აშშ ცდილობს, ხაზი გადაუსვას კაცობრიობის ისტორიას, აქციოს იგი უსახოდ და სანაცვლოდ შემოგვთავაზოს ახალი წესრიგი, რომლის ძალით ყველა ქვეყანა დაემორჩილება შტატების აბსოლუტურ ძალაუფლებას. მისი მიზანია ცივილიზაციაზე გაბატონება, მაგრამ, რადგან ისინი ყველაფრის გაკეთებას ძალის გამოყენებით ცდილობენ, კანონების დარღვევით, ჩვენც მოგვიწევს მათი შეჩერება მაინცდამაინც ძალის მეშვეობით

მაშ ასე, ანალიტიკოსები იწყებენ ერთ, ფრიად საჩოთირო თემაზე, გენდერულ საკითხებზე საუბარს: ვინ ვართ ჩვენ — ადამისა და ევას შთამომავლები, ქალები და კაცები, ან, იქნებ, ქალ-კაცები — კენტავრების მსგავსი არსებები: არც — იქით, არც — აქეთ, მამათმავლები, ლესბოსელები?

ამ გაუკუღმართებულების ჯიში და ჯილაგი?!

რომლებიც იპყრობენ მსოფლიოს ან უკვე დაპყრობილი აქვთ. ამ თემაზე იაკობსაც (და სხვებსაც) ბევრი უთქვამთ.

რას იტყვის ამჯერად?

მოვუსმინოთ.

კედმის გულწრფელად ეცოდება დიდი ბრიტანეთის დედოფალი და აცხადებს: თუ ღმერთს იგი უყვარს, რაც შეიძლება მალე უნდა წაიყვანოს თავის საუფლოში, რათა მოაშოროს იმ სირცხვილისა და სიბინძურის გარემოს, რომელშიც აზილეს მისი სამეფო, მისი სამკვიდრო, ქვეყანა სრულად.

ეცოდება იმიტომ, რომ წარმოდგენაც კი ძნელია, როგორ განიცდის იგი ამ სიმახინჯეს, რომელშიც ყოველდღე უწევს ტრიალი.

რით არიან ესენი გამორჩეულები, ახალი რელიგიის მქადაგებლები და მათი კამარილია, რომლებიც გამოდიან მიტინგებზე და ყვირილით ილაშქრებენ ძალადობის წინააღმდეგ და აიძულებენ ადამიანებს მიიღონ მათი იდეოლოგია?

ძალით, უხეში ძალით!

არღვევენ ყველა კანონს, ფეხქვეშ თელავენ ყველა პრინციპსა და ტრადიციას, ამახინჯებენ, წარყვნიან და ამას დემოკრატიის სახელით სჩადიან, დემოკრატიულობის გზების გამოყენებით.

გაუკუღმართებული ფსიქიკის ადამიანები.

გამოშტერებულები, აბსოლუტურად უნიგნურები, რომლებსაც არაფრის და არავის მიმართ მორიდება არ გააჩნიათ.

რას გვეუბნება დღევანდელი ეს საყოველთაო გენდერული ისტერიკა?

რა კავშირი აქვს ამას, თუ როგორ იკმაყოფილებს ადამიანი თავის სქესობრივ მოთხოვნილებას მისსავე სქესობრივ კუთვნილებასთან?! არავითარი კავშირი არ არსებობს. იმათ კი ტოლობის ნიშანი დაუსვეს.

მთელმა მსოფლიომ აღიარა და სრული სიმშვიდით აღიქვამს ერთი და იმავე სქესის პირთა შორის სექსუალურ კავშირს. თუ სურთ და მონდომებული არიან, შეუძლიათ, ერთმანეთთან ისიყვარულონ.

არავინ უშლის ხელს. ქალი იქნება თუ კაცი.

მაგრამ ქალი ამ შემთხვევაშიც ქალად რჩება, კაცი — კაცად და ვერავითარი ქირურგია ამას ვერ შეცვლის. შეიძლება დაამახინჯონ ქალის ნატიფი სხეული, მოკვეთონ მკერდი, ამოჭრან საშვილოსნო, იგი მაინც დარჩება, როგორც ქალის სხეულის ნამორალი, მაგრამ მამაკაცის სხეულად ვერასოდეს გარდაიქმნება. დამახინჯდება, მაგრამ თავად თუ ხელს აძლევთ, შეერგოთ!

თუ მავანს თავისი ფსიქიკური კონსტრუქცია მოსთხოვს, დაიმახინჯოს სხეული, ჩვენ რა ხელი გვაქვს, კეთილი და პატიოსანი.

— ფსიქიატრთან წავიდეს? — ჩაეკითხებიან კედმის.

— არა. ასე არ მითქვამს. მიდი, დაიმახინჯე, სამუდამოდ დარჩი ფიზიკურად გადაგვარებული! ჩვენ ხელი დაგვიბანია. როგორიც გსურს, ისეთი იყავი.

ბუნებაში მხოლოდ ორი სქესი არსებობს — ქალის და კაცის, მესამე არ არის; არც იქნება, რაც გინდა ეცადო. დაიმახინჯე თავი.

ფიზიკური სიმახინჯე მაქვს მხედველობაში.

გადადგა ეს ნაბიჯი?

ანგარიში უნდა გაუწიო.

ვის რა ფანტაზიაც მოუვა თავში, ვისი რა საქმეა. ტრაგედია მაშინ დაიწყება, როცა შესაძლებელი იქნება გენეტიკის დონეზე ადამიანის სქესის შეცვლა. თუმცა შეიძლება ტრაგედია არც იყოს. მანამდე კი მხოლოდ ქირურგიაა: ქალი ქალად რჩება, კაცი — კაცად.

გენეტიკის დონეზე, არ ვიცი, რომელ ასაკში იქნება შესაძლებელი ამ მანიპულაციის განხორციელება. არასრულწლოვანისთვის სრულად უნდა აიკრძალოს. ბავშვებს სიცოცხლე არ უნდა გავუმწაროთ, შევუცვალოთ ბავშვს სქესი მხოლოდ იმიტომ, რომ ასე ისურვეს მისმა მშობლებმა, კატეგორიულად დაუშვებელია.

ზოგან შემორჩენილია ველური ჩვეულება: აფრიკაში, მაგალითად, გოგონებს წინადაცვეთენ. ევროპაში — ასამართლებენ. თუ გოგონა ამას თავისით გააკეთებს, მშობლებს ასამართლებენ.

რატომ?

თუ ქალიშვილი 24 წლისაა და მან ეს ოპერაცია ჩაიტარა, ეს რა, შესაძლებელია?!

ესეც ხომ სიმახინჯე და სიგონჯეა!

ეს ჩვენი ფსევდო ფემინისტები კი შეუჩერებლივ გაჰყვირიან — არ შეიძლება მისი, როგორც ქალის, უფლებები შეიზღუდოსო.

თქვენ რასა იქმთ?

არც ერთ გოგონას არ უთხოვია წინადაცვეთის გაკეთება. თუ ითხოვა, დანაშაული ჩაუდენია. მიუფურთხებიათ ფსევდოფემინისტებს ჩვენი კანონებისთვის...

ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა, რომ ასე მოისურვეს გერმანელმა კაპიტალისტებმა და დიდი ფული გაიღეს, რათა იგი გერმანელი კომუნისტებისთვის დაეპირისპირებინათ. ამერიკელებმა, ბრიტანელებმა, ფრანგებმა ჰიტლერი დააფინანსეს, საბჭოთა კავშირისთვის რომ დაეპირისპირებინათ ის და ახალი გერმანია.

ეს ფინანსური დახმარება რომ არა, ჰიტლერის არსებობას ვერავინ გაიგებდა.

მსგავსი რამ მეორდება დღეს: **ყველა, ვინც ფულს დებს, გახრწნილების ფესტივლების (გეიაღლუმების) ორგანიზებაში, ყველას ერთი მიზანი აქვს — მოსპოს და გაანადგუროს საკაცობრიო კულტურა სრულად. მთელი ბაზა, რომელზეც დგას დღეს კაცობრიობა, ყველა კულტურული და ზნეობრივი ღირებულება, რომლებიც შეიქმნა და განვითარდა კაცობრიობის ცივილიზაციის 4-5 ათასწლეულის განმავლობაში.**

ახლის შენების საფუძველი.

ამიტომ **საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების „კოლექტიური ექსკურსია“ გასულ გაზაფხულზე თბილისში გამართული მამათმავალთა პრაიდის ღონისძიებებზე იყო არა ლგბტ თემის მხარდაჭერის დემონსტრაცია, არამედ ქართული კულტურისა და ზნეობის, მართლმადიდებლური სარწმუნოების წინააღმდეგ გალაშქრებით.**

არ მივიდოდნენ და კარგ კურდღელსაც დაიჭერდნენ, რადგან პედერასტების იგნორირება თავიანთი კარიერული ზრდის კრახად შემოუბრუნდებოდათ.

ამ პოლიტიკის გამტარებლები დღეს ევროპას არიან მომჯდარნი და ჯერ არ გაუხედნიათ ხარი, რომელიც, ევროპის გატაცების მსგავსად, ჭიაღუებს მოაცილებდა ორიენტაციააღრეულ ბებერ კონტინენტს, რომლის დასავლეთიდან ამოსულ მზეს ღრუბელი გადაეფარა.

ახლა ორივე მხარე ცდილობს, გაუცხოების ეს ბზარი, სასწრაფო ღონისძიებებით თუ არა, კულტურულ-ზნეობრივ ღირებულებათა ერთობლიობის საჯაროდ დემონსტრაციით ამოავსოს.

და ორივე საეჭვო ერთსულოვნობით აქებს და ადიდებს საქართველოს. დავჭირდით, ეტყობა. თანადგომას გვპირდებიან ევროკავშირისა და ნატოს წევრად მიღების საქმეში.

ჩვენ ვიჯერებთ და ვდნებით, რადგან დიპლომატიურ „იარმარკაზე“ ვაჭრობისა და გამორჩენის ხელსაყრელი მომენტია დამდგარი.

(აქტუალური გადახვევა მთავრდება აქ).

აშშ ცდილობს, ხაზი გადაუსვას კაცობრიობის ისტორიას, აქციოს იგი უსახოდ და სანაცვლოდ შემოგვთავაზოს ახალი წესრიგი, რომლის ძალით ყველა ქვეყანა დაემორჩილება შტატების აბსოლუტურ ძალაუფლებას. მისი მიზანია ცივილიზაციაზე გაბატონება.

მაგრამ, რადგან ისინი ყველაფრის გაკეთებას ძალის გამოყენებით ცდილობენ, კანონების დარღვევით, ჩვენც მოგვიწევს მათი შეჩერება მაინცდამაინც ძალის მეშვეობით.

— თქვენ მიგაჩნიათ, — რიტორიკულ შეკითხვას სვამს ანალიტიკოსი, — რომ ამ ღირებულებათა დასამკვიდრებლად იბრძოლებს უნგრეთის არმია? ან პოლონეთის არმია? ან უნგრელები, თურქები?

აბა, გაბედონ და მოვიდნენ ჩვენთან — ახლო აღმოსავლეთში თავიანთი ღირებულებებით; სცადონ, ცხვირი შეჰყონ აფრიკაში ამ ღირებულებებით, ან აზიაში, ჩინეთში „აბრეშუმის გზით“ მისვლამდე.

ამ ღირებულებათა ერთი შტო სექსუალურ ორიენტაციაშეცვლილთა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების განმტკიცებაა. განმტკიცება კი არა, ამათ ისეთი გავლენა მოიპოვეს, ისე დამკვიდრდნენ ქვეყნების ხელმძღვანელობებში, სახელმწიფო ორგანოების სათავეში, რომ სუპერსახელმწიფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკის თუნდაც მსოფლიო ლიდერთა კადრებით მომარაგება პრაქტიკულად მათ ხელში გადავიდა.

მსოფლიო ქვეყნების პროპაგანდისტული მანქანა მათზეა აწყობილი.

ბოლო პერიოდში ჰერმაფროდიტებმაც წამოყვეს თავი, — ჩვენც გვაქვს ბედნიერად ცხოვრების უფლებაო, მაგრამ პატრიარქალური საზოგადოება ხელს გვიშლისო.

კედმის აზრით, ჰერმაფროდიტების პრობლემა ისაა, რომ მათ არ იციან, რომელ სქესს უნდა მიეკუთვნონ; თუ იციან — არ შეუძლიათ.

დასკვნა მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს: ეს ადამიანები ფსიქიკური გადახრებით არიან დაავადებულები, ეს მძიმე ავადმყოფობაა და აქიმობა სჭირდებათ.

თუნდაც ციხის ლაზარეთში.

არმაზ სანებლიძე

სქოლიოგრაბა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მისი პოლიტიკური ორიენტაცია იყო მართლმადიდებელ საბერძნეთთან თანასწორუფლებიანი კავშირი, ქვეყნისა და ეკლესიის დამოუკიდებლობა და ერთიანობა.

წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი: ეძიებდეთ სიკვდილს ქრისტესთვის

13 დეკემბერი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული მეფის ვახტანგ I გორგასლის ხსენების დღეა. ქართლის მეფე, პოლიტიკური მოღვაწე და სარდალი — ვახტანგ I საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად.

წმიდა მეფემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დღევანდელ დედაქალაქ თბილისს. მისი პოლიტიკური ორიენტაცია იყო მართლმადიდებელ საბერძნეთთან თანასწორუფლებიანი კავშირი, ქვეყნისა და ეკლესიის დამოუკიდებლობა და ერთიანობა.

წმიდა მეფემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დღევანდელ დედაქალაქ თბილისს. მეფემ ტფილისის ხეობა მოიხილა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა ტფილისის ადგილმდებარეობის სამხედრო, საპოლიტიკო და სამეურნეო მოხერხებულობაში

ვახტანგ გორგასალი იზრდებოდა სპასპეტ საურმაგთან. 7 წლისას გარდაეცვალა მამა — მირდატ მეფე. მძიმე დღეში ჩავარდა დაქვრივებული საგდუხტ დედოფალი, რომლის მამა — ბარზაბოდი, ბარდავის ერისთავი, მაზდეანი იყო და პროსპარსულ პოლიტიკას უჭერდა მხარს. ის ქრისტიანობის წინააღმდეგი იყო და სიძე-ხელმწიფის მიმართაც მტრობას იჩენდა. საგდუხტმა კარგად იცოდა მშობლის ხასიათი, ამიტომ დაასწრო, თვითონ ეახლა მამას ბარდავში და სთხოვა, არ გაემაზდიანებინა ვახტანგი. ბარზაბოდმა შეიწყალა საგდუხტი, მაგრამ დიდი საფასურის სანაცვლოდ, მცხეთაში უნდა დამჯდარიყვნენ მოგვები და ხალხსაც თვითონ უნდა აერჩია სჯული. დედოფალს სხვა გზა არ ჰქონდა და დათანხმდა.

მცხეთაში მოსულ მოგვთა უმაღლესი ქურუმი იყო ბინქარანი, რომელმაც უამრავი ქართველი ქრისტიანი აცდუნა და გაამაზდიანა. ქრისტიანული სამწყოს მეთაურიც სპარსეთის მსტოვარი იყო მცხეთაში, ეპისკოპოსი მობიდანი გარეგნულად მართლმადიდებელი, შიგნიდან მაზდიანი და ყოველგვარი ქართულის შეფარვით მოძულე გახლდათ.

ცხადია, ასეთი სიტუაცია კარგს არაფერს უქადდა საქართველოს, მაგრამ, საბედნიეროდ, მცირე ხნის შემდეგ ზედიზედ დაიხოცნენ ბარდავის ერისთავი ბარზაბოდი, სპასპეტი საურმაგი და ეპიკოპოსი მობიდან. საგდუხტ დედოფალმა კი დრო იხელთა და კონსტანტინოპოლიდან გამოიწვია **მიქაელ მღვდელი**, რომელიც ეპისკოპოსად დასვა მცხეთაში. მიქაელი საკმაოდ ენერგიული კაცი გამოდგა, შეუპოვრად აღუდგა წინ ბინქარანს, მაგრამ სპარსული პოლიტიკა მცხეთაში მაინც მძლავრობდა.

451 წელს ჩრდილოეთიდან გადმოვიდნენ ოვსნი, მოაოხრეს ქართლი, დაეცნენ კასპს და მოიტაცეს ვახტანგის სამი წლის და მირანდუხტი. შემდეგ კი საქართველოს მიწებს თავს დაესხნენ ბიზანტიელები. მანამდე მათ კლარჯეთიც დაიჭირეს, ამჯერად იმპერატორმა მარკიანემ აფხაზეთში ლეგიონები გადმოსხა. ისინი ეგრისს შემოესივნენ და ციხეგოჯამდე მივიდნენ.

15 წლის ვახტანგი საქართველოს ტახტზე ავიდა. მან მოუწოდა ყოველ წარჩინებულ ქართველს და შეკრიბა დარბაზი. ჭაბუკი მეფე დაჯდა ტახტზე, მარჯვნივ დაისვა მთავარსარდალი ჯუანშერი, მარცხნივ კი — მღვდელმთავარი მიქაელი. ეს ვახტანგის პირველი სახელმწიფო გამოსვლა იყო. მან განსაჯა ქართველთა მდგომარეობა, მტერთა მოძალება, სულიერი დაცემულობა და სჯულიერი მერყეობა. ძველი მამაპაპეული სიმტკიცე უნდა აღზდგესო, მტერი დაითრგუნოსო და ქართული სამანები ისევ ძველი საზღვრების გასნვრივ უნდა აღიმართონო. იმ დღესვე მეფემ პირველი გალაშქრება დანიშნა ჩრდილოეთისკენ, რომელშიც თვითონ უსარდლებდა ლაშქარს.

ვახტანგ გორგასალს დედოფალმა ბალენდუხტმა ორი შვილი აჩუქა — ძე და ასული, მაგრამ თვითონ მშობიარობას გადაჰყვა. ტახტის მემკვიდრეს დაჩი დაარქვეს.

მეფე ვახტანგ პირველს გორგასლის მუზარადზე წინიდან გამოსახული იყო მგელი, უკან — ლომი. სპარსელები ამ მუზარადს სადაც დაინახავდნენ, ატეხდნენ ღრიალს: „დურ აზ გორგასარ!“ („ერიდეთ თავსა მგლისასა!“). ასე გაჩნდა წოდება „გორგასალი“.

ვახტანგ მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოში კათალიკოსის თანამდებობა შემოეღო. პირველ კათალიკოსად მას უნდა დაესვა პეტრე, ხოლო მცხეთის ეპიკოპოსად — სამოელი. დანარჩენნი ეპისკოპოსებად უნდა გამწესებულიყვნენ საქართველოს სხვადასხვა სამწყსოში. კათალიკოსობის შემოღებას უნდა აღემაღლებინა ქართული ეკლესიის როლი და ავტორიტეტი მსოფლიო საქრისტიანოს სარბიელზე. როდესაც მიქაელ ეპისკოპოსმა შეიტყო მეფის განზრახვა, ძლიერ განრისხდა.

წმიდა მეფემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დღევანდელ დედაქალაქ თბილისს. მეფემ ტფილისის ხეობა მოიხილა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა ტფილისის ადგილმდებარეობის სამხედრო, საპოლიტიკო და სამეურნეო მოხერხებულობაში. შემდგომ გზა განაგრძო და არმაზის ხევთან იხილა მცხეთიდან მომავალი ბრწყინვალე ტაძრიონი, რომელსაც წინ მოუძღვოდა მეფის ცამეტი წლის ძე დაჩი. მეფის წინაშე წარსდგა ჯუანშერ სპასპეტი და თაყვანი სცა მას. **მთელი ტაძრიონი ეთაყვანებოდა დიდებულ გვირგვინოსანს. ამ დროს გამოჩნდა მიქაელ ეპისკოპოსი; როდესაც მას მეფე კურთხევის მისაღებად მიუახლოვდა, ეპისკოპოსმა მეფეს ცილი დასწამა ქრისტიანობის უარყოფაში, ფეხი მოუქნია და კბილებში სცა საქართველოს დიდებულ ხელმწიფეს.** მეფეს წინა კბილი მოტყდა და სისხლი წამოუვიდა. ვახტანგის ბრძანებით მიქაელი კონსტანინოპოლის პატრიარქთან დასასჯელად წაიყვანეს.

ვახტანგ მეფე დიდი აღმშენებლობითი საქმიანობით იყო დაკავებული. მან მცხეთაში ძველი, წმინდა ნინოსა და მირიან მეფის დროინდელი ხის ეკლესიის ადგილზე წამოიწყო ქვის დიდი სიონის მშენებლობა. ეს იყო მცხეთის სახელოვანი სვეტიცხოვლის მეორე ხუროთმოძღვრული გარდასახვა. აქვე მეფემ საქართველოს დედოფლის გვირგვინი თავზე დაადგა თავის მეუღლე ელენეს — ლეონ პირველის ასულს. იმავე ხანებში ვახტანგმა დაასრულა თავისი ახალი რეზიდენცია **უჯარმა.**

502 წელს ქართლს სპარსეთის ურდო შემოესია. ვახტანგ გორგასალმა ელენე დედოფალი შვილებითურთ უჯარმაში გაუშვა. მცხეთა-არმაზისა და მისი შემოგარენის საპატრონოდ კი სამი ერისთავი გაგზავნა: დემეტრე, ნერსე და ბივრიტიანი. უთვალავ მხედრობას თვითონ კავად შაჰი და უფლისწული ბარტამი მოუძღოდნენ. ბრძოლის წინ კათალიკოსმა დალოცა მეფე ვახტანგი და მისი ჯარი. ბრძოლაში ვახტანგ მეფე ისრით დაჭრეს იღლიაში, რომელიც დასტაქრებმა ძლივს ამოიღეს, მაგრამ მეფის გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

ვახტანგმა გარდაცვალების წინ ახალ ხელმწიფედ დაჩი გამოაცხადა და ქართველ ერს ანდერძი დაუტოვა: ეძიებდეთ სიკვდილს ქრისტესთვის.

ვახტანგმა იმეფა 45 წელი და აღესრულა 60 წლისა 502 წელს.

მთელი საქართველო გლოვობდა ქრისტესთვის აღსრულებულ მეფეს, უჯარმიდან მცხეთაში გადაასვენეს, მის მიერ აგებულ სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს დიდი პატივით და გულზე თავისი ზომის ლოდი დაადეს. ამის შემდეგ არასოდეს შეუწყვეტია საქართველოს ლოცვა წმიდა მეფესთან და ყოველთვის გრძნობს მის მეოხებას.

2020/2021 წლების სეზონში მესიმ ორი მნიშვნელოვანი ტიტული მოიპოვა — ესპანეთის თასი „ბარსელონასთან“ ერთად და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი არგენტინის ნაკრების მაისურით. შედეგად, მეშვიდედ დაიმსახურა „ოქროს ბურთი“ და მასთან ერთად PURNEL-ის ფირმის 18-კარატიანი ვარდისფერი ოქროსგან დამზადებული უნიკალური საათიც.

სპორტი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მესის მეშვიდე «ოქროს ბურთი»

არგენტინელმა ჯადოქარმა, „ბარსელონას“ ლეგენდამ და ამჟამად პარიზული პსჟ-ს თავდამსხმელმა მეშვიდედ მოიპოვა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული, ოღონდ ამჯერად არც ისე იოლად, როგორც წინა 6 შემთხვევაში — 2009, 2010, 2011, 2012, 2015 და 2019 წლებში. ფრანგული პოპულარული გამოცემა „ფრანს ფუტბოლის“ ამ პრესტიჟული ჯილდოს კიდევ ერთხელ დაუფლებით მესიმ გააუმჯობესა თავისივე რეკორდი და ახლა 2 „ოქროს ბურთით“ უსწრებს პორტუგალიელ რონალდოს, რომელიც 2021 წელს საუკეთესოთა ხუთეულშიც ვერ მოხვდა.

კენჭისყრის საბოლოო შედეგები:
1. ლიონელ მესი, პსჟ — 613 ხმა;
2. რობერტ ლევანდოვსკი, მიუნხენის „ბაიერნი“ — 580;
3. ჟორჟინიო, ლონდონის „ჩელსი“ — 460;
4. კარიმ ბენზემა, მადრიდის „რეალი“ — 239;
5. ნ’გოლო კანტე, ლონდონის „ჩელსი“ — 186;
6. კრისტიანუ რონალდუ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — 178;
7. მოჰამედ სალაჰი, „ლივერპული“ — 121;
8. კევინ დე ბრიუნე, „მანჩესტერ სიტი“ — 73;
9. კილიან მბაპე, პსჟ — 58;
10. ჯანლუიჯი დონარუმა, პსჟ — 36.

პარიზის თეატრ „შატლში“ გამოსვლისას, სადაც დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, მესიმ რობერტ ლევანდოვსკის ასე მიმართა: „მინდა ვუთხრა რობერტს, რომ ჩემთვის პატივი იყო მასთან ბრძოლა „ოქროს ბურთისთვის“. მან დაიმსახურა გამარჯვება 2020 წელს“.

2020 წელს კორონავირუსის პანდემიის გამო „ოქროს ბურთი“ არავისთვის გადაუციათ, მაგრამ მესის სიტყვების შემდეგ „ფრანს ფუტბოლის“ მესვეურებმა განაცხადეს, რომ იფიქრებენ ამ საკითხზე და არ არის გამორიცხული, 2020 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო ლევანდოვსკის გადასცენ.

„ოქროს ბურთისთვის“ ცხარე ბრძოლა ჯილდოს გადაცემის პირველივე ცერემონიაზე გაიმართა — 1956 წელს ინგლისელმა **სტენლი მეტიუზმა** ხმების 47 ხმა მოაგროვა და 3 ხმით მოუგო არგენტინული წარმოშობის ესპანელ **ალფრედო დი სტეფანოს** (მადრიდის „რეალი“); 1966 წელს კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ სიმბოლომ **ბობი ჩარლტონმა** 1 ხმით მოუგო „ბენფიკას“ ფორვარდ **ეუსებიოს.**

ლიონელ მესი პარიზის პსჟ-ში მიმდინარე წლის ზაფხულში გადავიდა და ჯერჯერობით ისეთი ბრწყინვალე თამაშით ვერ გამოირჩევა, როგორითაც დაგვამახსოვრა თავი „ბარსელონაში“. საფრანგეთის დედაქალაქის კლუბის მაისურით მან 12 მატჩი ჩაატარა (8 საფრანგეთის ჩემპიონატში და 4 ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში. სულ გაიტანა 4 გოლი (3 ჩემპიონთა ლიგაზე და 1 საფრანგეთის ჩემპიონატზე) და გააკეთა 3 საგოლე გადაცემა (საფრანგეთის ჩემპიონატში).

ფრანგული კლუბის რიგებში არგენტინელმა გენიოსმა კარში დარტყმებსაც მოუკლო („ბარსელონაში“ — 4,2, პსჟ-ში — 3,4) და აქტიურობასაც, („ბარსელონაში“ მატჩში ბურთს საშუალოდ 95,9-ჯერ ეხებოდა, პსჟ-ში — 85,8), არადა, საფრანგეთის ლიგა შედარებით სუსტია ესპანეთის ლა ლიგაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ახალ კლუბში მესის გვერდით ყოფილი „ბარსელონელი“, ბრაზილიელი **ნეიმარი,** არგენტინის ნაკრების წევრები — **ანხელ დი მარია** და **ლეანდრო პარედესი,** აგრეთვე, მსოფლიოს ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი **კილიან მბაპე** თამაშობენ, არგენტინელი ისე მოტივირებული არ არის, როგორც „ბარსელონაში“ იყო და მისი თამაში გაფერმკრთალდა. როგორც ჩანს, მესი კვლავ ადაპტაციის პროცესშია და ნოსტალგიას განიცდის — ის ძალიან არის მიჯაჭვული „ბარსელონაზე“, რომლის კლუბშიც 13 წლიდან თამაშობდა და 21 წელი გაატარა.

არგენტინელი ვარსკვლავის მეშვიდე „ოქროს ბურთს“ სხვადასხვანაირად შეხვდნენ ცნობილი ფეხბურთელები და გულშემატკივრები. მაგალითად, იტალიელი **ფრანჩესკო ტოტის** განცხადებით, მისი ნება რომ ყოფილიყო, 2021 წლის „ოქროს ბურთს“ რობერტ ლევანდოვსკის გადასცემდა.

„ამ არჩევანის შემდეგ უკვე აღარ მესმის საფეხბურთო სამყაროსი. ლიონელ მესისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, „ოქროს ბურთს“ ლევანდოვსკი იმსახურებდა“, — განაცხადა მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა **ლოთარ მათეუსმა** 34 წლის ლიონელ მესისთვის მეშვიდე „ოქროს ბურთის“ გადაცემის შემდეგ. მას მხარი აუბა ფრანგმა **პატრიკ ევრამ,** რომელიც ძალიან გამწარებული ჰყავს მესის — ევრას გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბარსელონასთან“ 3-ჯერ დამარცხდა: 2-ჯერ, როცა „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდა (2008-2009 და 2010-2011 წლებში) და ერთხელ, როცა ტურინის „იუვენტუსის“ ღირსებას იცავდა (2014-2015).

ევრას მიბაძა პორტუგალიელმა კრიშტიანუ რონალდუმაც, რომელსაც მესისთვის მეშვიდე „ოქროს ბურთის“ გადაცემა ძალიან ეწყინა და რომელზეც ამ ჯილდოს დამწესებელ გაზეთ **„ფრანს ფუტბოლის“ მთავარმა რედაქტორმა პასკალ ფერემ განაცხადა: „რონალდუს მითხრა, რომ მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — კარიერა ისე დაასრულოს, რომ მესიზე მეტი „ოქროს ბურთი ჰქონდეს“.**

ისე, სჯობს, რონალდუმ 2013 წლის „ოქროს ბურთის“ დაჯილდოება გაიხსენოს, როცა თვითონ მას მართლა ძალიან უსამართლოდ გადასცეს ეს პრესტიჟული ჯილდო და მწარედ იმედგაცრუებული დატოვეს მიუნხენის „ბაიერნის“ ფრანგი თავდამსხმელი **ფრანკ რიბერი,** რომელმაც იმ სეზონში 5 პრესტიჟული შეჯიბრება მოიგო — გერმანიის ჩემპიონატი, გერმანიის თასი, ჩემპიონთა ლიგა, უეფას სუპერ თასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი...

ამ გამოხდომების მიუხედავად, ბევრმა წამყვანმა ფეხბურთელმა და გამოცემამ გულწრფელად მიულოცა მესის ეს წარმატება, მათ შორის ურუგვაელმა **ლუის სუარესმა,** ბრაზილიელმა **ნეიმარმა,** ინგლისელმა **გერი ლინეკერმა,** რომელმაც მესის გამარჯვებას „შესანიშნავი შვიდეული“ უწოდა, კამერუნელმა **ეტო’ომ,** ესპანელებმა — **ინიესტამ, ხავიმ, სერხიო რამოსმა, პეპ გვარდიოლამ** და სხვებმა, აგრეთვე გამოცემებმა — მადრიდის „რეალის“ ფანატიკოსი ჟურნალისტებით დაკომპლექტებულმა ესპანურმა „მარკამ“, ბრიტანულმა Sky Sports-მა, ფრანგულმა LEquipe-მ, ბრიტანულმა The Times-მა, გერმანულმა kicker-მა და სხვ.

ვარდისფერი ოქროსგან დამზადებული საათი, რომელიც მესის გადასცეს

2020-2021 წლების სეზონში მესიმ ორი მნიშვნელოვანი ტიტული მოიპოვა — ესპანეთის თასი „ბარსელონასთან“ ერთად და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი არგენტინის ნაკრების მაისურით. შედეგად, მეშვიდედ დაიმსახურა „ოქროს ბურთი“ და მასთან ერთად Purnel-ის ფირმის 18-კარატიანი ვარდისფერი ოქროსგან დამზადებული უნიკალური საათიც.

ნიკა კორინთელი

საქართველოს პატრიარქმა მადლობა გადაუხადა რუსეთის პატრიარქს სოხუმისა და ცხინვალისთვის

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ წერილი გაუგზავნა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს და მას 75 წლის შესრულება მიულოცა.

„კიდევ ერთხელ მსურს, გამოვხატო მადლიერება თქვენდამი და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი იმის გამო, რომ, პოლიტიკური ინტერესების მიუხედავად, მაგრამ საეკლესიო კანონების გათვალისწინებით, ოფიციალურად აღიარებთ ჩვენს ძირძველ მიწებს — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილად. ჩვენი ხალხი და ჩვენც მადლობას გიხდით, აგრეთვე, იმის გამო, რომ არაერთხელ დაგვეხმარეთ ჩვენი მოქალაქეების გათავისუფლებაში, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ დროებითი საზღვრის დარღვევის გამო“, — ნათქვამია ილია II-ის წერილში.

ამასთანავე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თქმით, ჯერ კიდევ მოუგვარებელია რთული საკითხები, რომლებიც ქმნიან პრობლემებს!

„მაგრამ უკეთესი მომავლის იმედი ცოცხლობს და ჩვენი კეთილგანწყობა თქვენ მიმართ გულწრფელია“, — ნათქვამია მისალოც წერილში.

eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
ლუკა მაისურაძემ

პუტინი: რუსეთი არ დაუშვებს ნატოს გაფართოებას აღმოსავლეთით

„რუსეთი მოითხოვს აშშ-ისა და მისი ნატოელი მოკავშირეებისგან, უარი თქვან აღმოსავლეთით გაფართოებაზე“, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთმა უნდა წარმოადგინოს უსაფრთხოების საიმედო და ხანგრძლივვადიანი გარანტიები.

„აშშ-სა და მის მოკავშირეებთან დიალოგისას ჩვენ მოვითხოვთ კონკრეტულ შეთანხმებას, რომელიც გამორიცხავს სამომავლოდ ნატოს ნებისმიერ წინ წაწევას აღმოსავლეთით და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის ახლოს იარაღის განლაგებას“, — თქვა პუტინმა ელჩებისთვის სიგელების გადაცემის ცერემონიაზე.

„ნატოს ქვეყნები სიტყვით გვარწმუნებდნენ, რომ აღმოსავლეთით წინ აღარ წაიწევდნენ, მაგრამ პირიქით იქცევიან, — აღნიშნა რუსეთის სახელმწიფო მეთაურმა. — ახლა მოსკოვს დასავლელი კოლეგებისგან სურს არა შეუსრულებელი სიტყვიერი დაპირებები, არამედ „სამართლებრივი, იურიდიული გარანტები“.

„უსაფრთხოების სფეროში რუსეთის კანონიერი შეშფოთება იგნორირებული იყო და ახლაც განაგრძობენ იგნორირებას“, — დასძინა რუსეთის ლიდერმა.

მანამდე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** განაცხადა, რომ ნატო რუსეთის საზღვრებთან „თავს უყრის მნიშვნელოვანი რაოდენობის ქვედანაყოფებსა და სამხედრო ტექნიკას, მათ შორის ამერიკულსა და ბრიტანულს“. ამასთანავე, ალიანსის წევრები ანტირუსული მოქმედებებისკენ უბიძგებენ კიევს, რომელმაც, მისი თქმით, შეიძლება დაიწყოს სამხედრო ავანტიურები. **„თუ დასავლეთი ვერ შეძლებს უკრაინის შეჩერებას და პირიქით — წააძეზებს, მაშინ მოსკოვი იძულებული იქნება, მიიღოს აუცილებელი ზომები თავისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“,** — აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
ნიკა კორინთელმა

სერგეი ლავროვი: ის, ვინც იმეორებს ბუქარესტის ნატოს სამიტის თეზისებს, ცეცხლს ეთამაშება

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა სტოკჰოლმში ეუთოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სესიაზე განაცხადა, რომ ბუქარესტის ნატოს სამიტის თეზისების გამეორება ცეცხლთან თამაშია.

როგორც ლავროვი აღნიშნავს, ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად საქართველო და უკრაინა მოიპოვებენ ნატოს წევრობას, ნაღმია, რომელიც 2008 წლის აგვისტოში უკვე აფეთქდა.

„ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ უკრაინა და საქართველო იქნებიან ნატოს წევრები, არის ნაღმი, რომელიც ჩადებულია ევროპის უსაფრთხოების საძირკველში. ერთხელ, 2008 წლის აგვისტოში, ეს ნაღმი უკვე აფეთქდა, როდესაც სააკაშვილმა, რომელიც ნატოს პერსპექტივისგან ეიფორიაში იყო, ავანტიურაზე წასვლა გაბედა, რომელიც უმძიმესი შედეგებით დაუბრუნდა საქართველოს და უსაფრთხოების სფეროში არსებული ვითარება სახიფათო ნიშნულამდე მიიყვანა. ისინი, ვინც ბუქარესტის თეზისებს იმეორებენ და ამბობენ, რომ ნატოს გაფართოების საკითხში მესამე ქვეყნებს არ აქვთ უფლება, გამოხატონ თავიანთი პოზიცია, ცეცხლს ეთამაშებიან. შეუძლებელია მათ არ გააცნობიერონ ეს“, — განაცხადა ლავროვმა და დასძინა, რომ რუსეთის მეზობელი ქვეყნების გადაქცევა მასთან წინააღმდეგობის პლაცდარმად, ნატოს ჯარების განლაგება რუსეთის უსაფრთხოებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონების სიახლოვეს კატეგორიულად მიუღებელია.

ipn.ge

პოლონეთისა და გერმანიის ურთიერთობა გამწვავდა: კაჩინსკი გერმანიის მეოთხე რაიხზე ალაპარაკდა

ევროკავშირთან სამართლებრივი კონფლიქტის ფონზე პოლონეთმა გაამწვავა ტონი გერმანიასთან ურთიერთობაში, — იუწყება გერმანული გამოცემა Frankfurter Allgemaine. პოლონეთის მმართველი პარტიის „სამართალი და სამართლიანობის“ (PiS) ხელმძღვანელმა იაროსლავ კაჩინსკიმ განაცხადა, რომ „ბერლინს მეოთხე რაიხის აშენება სურს“.

ამასთანავე, ვარშავიდან სულ უფრო ხშირად ისმის ბერლინისადმი მოწოდება, გადაიხადოს რეპარაციები მეორე მსოფლიო ომისთვის. ყურადღებას იპყრობს ანტიგერმანული სარეკლამო კამპანიაც, რომელიც მიმართულია გერმანიის ელჩის დისკრედიტაციისკენ.

პოლონეთის მმართველი პარტიის ხელმძღვანელმა **იაროსლავ კაჩინსკიმ** ჰენრიკ სენკევიჩის ცნობილი ნაწარმოებიდან მოიყვანა ციტატა და განაცხადა: „ევროპა მძიმე გამოცდის წინაშეა. გერმანიამ ბანქო გახსნა და სურს, ააშენოს მეოთხე რაიხი. ჩვენ ამას არ დავუშვებთ პარტიის სხდომაზე“.

russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძემ

სტოლტენბერგს მშობლიური ოსლოდან «სილა გააწნეს»

ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრ ანიკენ ვიტფელდის განცხადება ამ ქვეყნის მთავრობის სახელით, რომ რუსეთთან საზღვარზე ოსლო არ მოითმენს ნატოს სამხედრო ძალებს და ყველა პრობლემას თვითონ გაუმკლავდება, სილის გაწვნა იყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის, ასევე ნორვეგიელი იენს სტოლტენბერგისთვის.

რამდენიმე დღის წინათ სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ რუსეთს არ შეიძლება ჰქონდეს თავისი გავლენის სფეროები. მისი თქმით, მოსკოვს არ შეიძლება ჰქონდეს თავისი თვალსაზრისი ნატოში უკრაინის შესვლაზე და ამის დასამტკიცებლად ნორვეგიის მაგალითი მოიყვანა.

„მე თვითონ რუსეთის მოსაზღვრე პატარა ქვეყნიდან ვარ და მიხარია, რომ ჩვენი ნატოელი მოკავშირეები არასდროს სცემდნენ პატივს რუსეთის ვითომ უფლებას, დაედგინა თავისი გავლენის სფერო ჩრდილოეთში, და იმას, რა უნდა გაეკეთებინა და რა არა ნორვეგიას — პატარა ქვეყანას“.

ამ განცხადებიდან 24 საათიც არ იყო გასული, რომ სტოლტენბერგმა პასუხი მიიღო, ოღონდ არა მოსკოვიდან, არამედ მშობლიური ოსლოდან. ნორვეგიის მთავრობამ ყოველგვარი პატივისცემის გარეშე უარი უთხრა ნატოს ე.წ. გავლენის სფეროს უფლებაზე ნორვეგიაში, ყოველ შემთხვევაში ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელზეც რუსეთ-ნორვეგიის საზღვარი გადის, და ნათლად მიხვედრა, რომ, მართალია, ნორვეგია პატარა ქვეყანაა, მაგრამ თვითონ გადაწყვეტს, რა უნდა გააკეთოს და რა — არა.

news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძემ

საქართველო
ბსურთ
თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურეობით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო
ბსურთ
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894